ეროვნული ბიბლიოთეკა

სიურპრიზი ფიბასგან

ითამაშეთ ევროპაზე!

ალიბრა გვიჩა

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

6 სექტემბერი **ორშაბათი** 2010
№209(13 197) ფასი 60 თეთრი

საბჭოთაშორის, აღმოსავლეთ ევროპის ფიფა-ს ფეხბურთის ეროვნული ბიბლიოთეკა

დანიშნულების ადგილი და დრო: ლიტვა, 2011 წლის სექტემბერი

გვ. 10

გვ. 2

მცირე შანსიც შანსია

შაბათს საქარიაში. თურქეთი-საქართველო 0:1

ქართული ჭიდაობა ეროვნული საუნჯეა!

ამიერიდან ქართული ჭიდაობის ფედერაცია „ლელოს“ ფურცლებზე სპეციალურ გამოშვებებში რეგულარულად გააცნობს მკითხველს სპორტის ამ ძირძველი ქართული სახეობის წარსულს, დღევანდელობას და განვითარების პერსპექტივას...

გვ. 12

თბილისი, 2010 წლის მარტი. ქართული ჭიდაობის სკოლის გახსნაზე

● პრესკონფერენცია

თემურ ქეცბაია

ეს ორი დღე მაინც მოგვასვენონ!

...ისე, ჩვენ სპონსორები არ გვყავსო?!

სასტუმრო, რომელიც შეიძლება ასიდან ასმა თბილისელმაც არ იცოდეს, ვაშლიჯვრის მეურნეობის ტერიტორიაზე მდებარეობს. წყნარი, მყუდრო და კომფორტული სასტუმროა და... მიუდგომელიც. სწორედ ამ სასტუმროში დააბინავა თემურ ქეცბაიამ ეროვნული ნაკრები. მწვრთნელი მიიჩნევს, რომ გუნდის მოსამზადებლად აქ მშვენიერი ადგილია. ეს თემა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა პრესკონფერენციაზეც ახსენა და მისი სიტყვებიდან გასაგები გახდა, თუ რატომ არჩია სასტუმრო, რომლის მიგნებაც თბილისელებსაც ძალიან გაუჭირდებათ.

საბერძნეთში ფრედ (1:1) დასრულებული მატჩის შემდეგ „თემური და მისი რაზმი" სამშობლოში დაბრუნდა და 7 სექტემბერს ისრაელთან საშინაო მატჩისთვის მზადება დაიწყო. ხსენებულ სასტუმროში გუშინ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა პრესკონფერენცია კაპიტან კახა კალაძესა და ლევან კობიაშვილთან ერთად გამართა.

- პირველ ყოვლისა, მსურს გითხრათ, რომ საბერძნეთში ბიჭებმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ კარგი შედეგით წამოვსულიყავით. ახლა მთავარია, ამ შედეგებით არ დავკმაყოფილდეთ და ასევე გავაგრძელოთ. პირეოსში იოლი მატჩი არ გვქონია, მაგრამ აქ ისრაელთან უფრო რთული შეხვედრა გველის. მართალია, ჩვენს ჯგუფში ფავორიტებად საბერძნეთსა და ხორვატიას მიიჩნევენ, მაგრამ ისრაელი მათზე ნაკლები ნამდვილად არ არის. მათ რამდენჯერმე შეეხვდით და ყოველთვის კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდნენ. იმედია, ხალხი მოვა, სტადიონს შეავსებს და წარმატებულ სტარტს უფრო მეტი წარმატებით გავაგრძელებთ. საამისოდ კი, მაქსიმალური მობილიზაცია გვჭირდება. ამიტომ, ჩემი თხოვნა იქნება ნათესავების, მეგობრებისა და ოჯახის წევრებისადმი - ფეხბურთელებს ამ ორ დღეს მაინც ნუ შეაწუხებენ და ამით დაგვეხმარონ, რომ ისრაელისთვის კარგად მოვემზადოთ. ბოლო წლებში ნაკრების შეკრებისას ეს რეალური პრობლემა იყო, მილიონი ადამიანი თავისი პრობლემებითა და გაჭირვებით მოდიოდა. ამიტომ გვინდა, ეს ორი დღე მთლიანდ თამაშისთვის მზადებას დავუთმოთ. ამით იყო სწორედ სასარგებლო კვიპროსული შეკრება და აქაც მსგავსი გარემო გვინდა. მადლობა სასტუმროს მეპატრონეებს, რომლებმაც კარგი პირობები შეგვიქმნეს.

- თქვენ თქვით, ისრაელთან უფრო რთული თამაში იქნებაო. რატომ?

- პირველი მატჩი მალტასთან 3:1 მოიგეს და ჩვეულებრივზე მეტად მობილიზებულები იქნებიან. მათთვის ადვილია ძლიერი ნაკრების ჩამოყალიბება, რადგან ეროვნული ჩემპიონატის მოთამაშეებით არიან დაკომპლექტებული და რამდენიმე ლეგიონერი ჰყავთ.

- ისრაელის გამოკვეთილი ლიდერი გუნდის კაპიტანი იოსი ბენაიუნია. მთლიანად გუნდს როგორ დაახასიათებდით?

- ბენაიუნი რომ ძალიან კარგ ფორმაშია, მალტასთანაც გამოჩნდა, სადაც 3 გოლი გაიტანა, თუმცა სხვა ძლიერი მოთამაშეებიც ჰყავთ. ისრაელს ჩემპიონთა ლიგაში გუნდი ჰყავს. ნაკრების წევრთა უმრავლესობა ადგილობრივი პირველობიდან აიყვანეს, ესე იგი, მაღალი დონის ჩემპიონატი აქვთ. ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ ვიბრძოლებთ, თუკი ბიჭები ისეთივე მონდომებით ითამაშებენ, როგორც საბერძნეთთან, წარმატებას მივაღწევთ.

- ნაკრებში მოსვლის შემდეგ რამდენიმე ფეხბურთელს პოზიცია შეუცვალეთ: ახლა კალაძე მარცხენა მცველია, ხიზანიშვილს კი, „ნორჩი დინამოელის" შემდეგ, საყრდენად თამაში გაახსენეთ. ასეთი ცვლილებების აუცილებლობა რამ გიკარნახათ?

- მე არ ვიცი, ხიზანიშვილი „ნორჩ დინამოელში" რა პოზიციაზე თამაშობდა, შეიძლება, მიზანშეწონილი არცაა ზოგიერთი ფეხბურთელის სხვა ადგილზე დაყენება, მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს ბიჭები საბერძნეთში თავთავიანთ პოზიციებზე სასარგებლონი იყვნენ. მოგება თუ გვსურს, ტაქტიკურად სხვა თამაში უნდა ვითამაშოთ, უნდა შევუტიოთ. ამიტომ ტაქტიკური ცვლილებები იქნება. კარგია, რომ ბევრი უნივერსალური ფეხბურთელი გვყავს, მათ რამდენიმე პოზიციაზე შეუძლიათ თამაში. ისრაელთან მატჩი გვაჩვენებს, რა შეგვიძლია. 7 სექტემბერს თუ ვერ მოვიგეთ, ჯგუფიდან გასვლაზე ლაპარაკიც ზედმეტი იქნება.

- საბერძნეთთან მატჩმა რაიმე თვალსაზრისით უკმაყოფილების გრძნობა დაგიტოვათ?

- ვერ ვიტყვი, რომ უკმაყოფილო ვარ ბიჭებით, მათი მონდომებითა და თავდადებით. ფეხბურთელებმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ბერძნებისთვის არაფერი დაეთმოთ. 3 ქულის მოპოვებაც შეგვეძლო, თუმცა არ მინდა ვთქვა, რომ ბედი არ გვწყალობდა და ფრე ლოგიკური შედეგი არ იყო.

- კითხვა კახა კალაძესთან: სეიტარიდისთან კონფლიქტი რატომ მოგივიდათ?

კახა კალაძე: - ეს ფეხბურთია და მსგავსი ამბებიც ხდება, შეიძლება შენ ვერ მოზომო, ან მეტოქემ, ორივე ვნერვიულობდით და ჩვეულებრივი ამბავი იყო. სერიოზული არაფერი ყოფილა. შეხვედრას რაც შეეხება, მართლაც მაქსიმალურად კონცენტრირებულები ვიყავით და არაფერი დავთმეთ..

- მაყურებლის მხრიდან აგრესია თუ იყო?

- ჩვენი მიმართულებით არ ყოფილა. სტადიონზე შეკრებილი ჩვენი გულშემატკივარი კი 90 წუთი არ გაჩერებულა და ეს ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო სიურპრიზი იყო. ამისთვის საბერძნეთის ქართველობას უდიდესი მადლობა ეკუთვნის. ჩვენს წარმატებაში მათ საკმაოდ დიდი როლი შეასრულეს.

ლევან კობიაშვილი: - ქართველობა გუნდს ისე კარგად გულშემატკივრობდა, მათი აქ ჩამოყვანა გვინდოდა.

- ეტყობა, საბერძნეთში ქართველებს კარგი გულშემატკივრობაც ასწავლეს...

თემურ ქეცბაია: - არა მხოლოდ გულშემატკივრობა, ბევრი რამ ისწავლეს. ამ ხალხს უდიდესი მადლობა მინდა გადავუხადო.

კახა კალაძე: - მიმაჩნია, რომ ფრე ლოგიკური შედეგია. მართალია, ბერძნებს მეტის გატანაც შეეძლოთ, თუმცა ამის საშუალება არ მივეცით. გატანა ჩვენც შეგვეძლო.

ლევან კობიაშვილი: - ახალი გუნდი გვყავს, ახალი მწვრთნელი... ბევრი ისეთი ფეხბურთელი დაგვიბრუნდა, რომელთაც სხვადასხვა მიზეზით, ადრე არ იწვევდნენ. მიხარია, გუნდი გუნდს რომ ემსგავსება. იგრძნობა უჩვეულო მონდომება, რომ თითოეულ ჩვენთაგანს წარმატების მიღწევა სურს.

» მე-3 გვერდზე

● U21

ზედიზედ მეორე საგარეო: მშვენიერიც და უნიკალურიც...

04.10. საქარია. ადაპაზარი
ათათურქი

თურქეთი	0
საქართველო	1

0:1 ქალდირიმი (50 საკ.კარში)

თურქეთი: ქარაბულუთი - ქურთულუში, ქალდირიმი, ქეზიმალი, თექდემირი - ქორქმაზი (39. მაპმუთი), უისალი (73. გიულე), ქესე, ეილიქი - ჩოლაქი, აიგიუნეში (46. ჩექი).

სათადარიგოები: ფ. *კაპლანი, არსლანი, ბ. კაპლანი, შახინი.*

საქართველო: კვასხვაძე - კვეკვესკირი, თომაშვილი, კაკუბავა, თოთაძე - კლიმიაშვილი (81. შარაშენიძე), დაუშვილი, განუგრავა, ივანიშვილი, ოქრიაშვილი - ბარაბაძე (71. წინამძღვრიშვილი).

სათადარიგოები: ბახტაძე, *რეხვიაშვილი, შონია, გუგუჩია, ჭედია.*

გაფრთხილებები: გიულე (86)

არბიტრი: სლავკო ვინჩიჩი (სლოვენია)

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა, ქართველებზე სადღეგრძელოთი არ დავინყებ. საქარიაში გამარჯვების შემდეგ შვეიცარიელთა მთავარი მწვრთნელი **პიერლუიჯი ტამი** გამახსენდა, გასულ წელს ზესტაფონში, საქართველო-თურქეთის მატჩის შემდეგ რომ ბრძანა - ჯგუფის ლიდერის სანაცვლოდ ჩამოვედი და მოულოდნელად აღმოვაჩინე, რომ ლიდერი საქართველო ყოფილა და არა - თურქეთიო.

ამ სიტყვებმა მაშინ ყველა გაგვახარა, თუმცა მორიგ ქათინაურად მივიჩნიეთ. სტუმრის დიპლომატიისა მოგეხსენებათ...

ამ კაცის გონიერება და საქმის ცოდნა შვეიცარიის ახალგაზრდულის შედეგიდანაც ჩანს - ჯგუფში პირველ ადგილზეა და ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსიც აქვს. საქართველოსთან დაკავშირებული მისი სიტყვებიც ახდა - ბარაქალა **ოთარ გაბელიასა** და ჩვენს ახალგაზრდებს. საქარიაში გამართულ უმძიმეს შეხვედრაში ჩვენმა ბიჭებმა თურქებს 1:0 სძლიეს, ჯგუფში მერე ადგილზე აინაცვლეს და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრის შანსი (თუმც მცირე, მაგრამ მაინც) შეინარჩუნეს. საქართველოს 21-წლამდელებმა ზედიზედ მეორე გასვლითი მოგება გაიფორმეს, რაც უდავოდ მშვენიერი შედეგია, მშვენიერიც და - უნიკალურიც.

თურქებმა სერიოზული შეცდომა ჯერ კიდევ მატჩამდე დაუშვეს, როცა შეხვედრა საქარიას „ადაპაზარი ათათურქზე" დანიშნეს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პიარმენეჯერის **თათია ბურდულის** ინფორმაციიდან ირკვევა, რომ მოედნის საფარი საკმაოდ შელახული იყო, ტრიბუნები კი - ნახევრად დამტვრეული და ეტყობა, სტუმრებს მშობლიური გარემო გაახსენდათ. თურქები ასეთ მოედნებზე თამაშს შეჩვეულები არ არიან, ჩვენ კი თავს ისე ვგრძნობდით, როგორც თევზი წყალში...

ხუმრობა იქით იყოს და, გაბელია ყველა მატჩის წინ ფსიქოლოგიურ ფაქტორებზე ამახვილებდა ყურადღებას - უმნიშვნელოვანესი მატჩისთვის ნაკრების ყველა ფეხბურთელმა ძალთა მაქსიმუმი უნდა გაიღოსო. მისი აქცენტი იყო ბრძოლა და ბრძოლისუნარიანი გუნდი შეკრიბა კიდეც. ქართველებმა საქარიაში იომეს და ბევრისთვის წარმოუდგენელ შედეგს მიაღწიეს: თურქების შემადგენლობაში გერმანიის მოქალაქეები - კაპიტანი **თევფიქ ქესე** და **შახინ აიგიუნეში** თამაშობდნენ. მატჩი მასპინძელთა შეტევით დაიწყო. პირველივე წუთზე კარში სწორედ ქესემ დაარტყა - საბედნიეროდ, არაზუსტად. მე-5 წუთზე მან კიდევ ერთხელ სცადა ქართველთა კარის აღება, მაგრამ კვლავ უშედეგოდ.

» მე-3 გვერდზე

● შესარჩევი მატჩების წინ

დრო ვერ გაიფინევა

ქართველ გულშემატკივართა ინტერნეტპორტალმა championat.ge-მ გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას მიმართა:

„2010 წლის 7 სექტემბერს 21 საათზე ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე გაიმართება ევრო 2012-ის შესარჩევი მატჩი საქართველოსა და ისრაელის ეროვნულ ნაკრებებს შორის. ამავე დღის 19:00 საათზე დანიშნულია საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შეხვედრა სომეხ თანატოლებთან, რომელიც მიხეილ მესხის სახელობის „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართება. ქართველ გულშემატკივარს უნევს არჩევანის გაკეთება, რადგან ორივე მატჩზე სრულყოფილად დასწრება გამორიცხულია. კარგი იქნება, თუ რომელიმე მატჩის დაწყების დროის შეცვლა მოხერხდება, თუნდაც 30 წუთით გადაიწევს ეროვნული ნაკრების შეხვედრა, ან ახალგაზრდულები დაიწყება ადრე. იმედია, მოხდება ხალხის ინტერესების გათვალისწინება და 7-ში ორ გამარჯვებას ყველა ერთად ვიზეიმებთ".

გუშინ ამ საკითხზე კომენტარი ფეხბურთის ფედერაციის პრესატაშე **ლაშა დვალიშვილს** ვკითხეთ.

„ჩვენზე მეტად არავის სურს, რომ შეხვედრები გულშემატკივრებისთვის სასურველ დროს გაიმართოს და ხალხს ორივე მატჩზე დასწრების საშუალება მიეცეს. სამწუხაროდ, ეს ახლა შეუძლებელია, რადგან ეროვნული გუნდების მატჩების დრო წინასწარაა შეთანხმებული. ახალგაზრდულ გუნდებშიც იგივე ვითარებაა: რადგან ევროპის ჩემპიონატის პლეიოფებში გასულთა ბედი წყდება, უეფამ ყველა მატჩი ერთი და იმავე დროს დანიშნა. ასე რომ, ჩვენი დიდი სურვილის მიუხედავად, დროის შეცვლა შეუძლებელია", - გვითხრა დვალიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ 19:00 საათზე ახალგაზრდული ნაკრების სომხეთთან მატჩის რეპორტაჟს ტელეკომპანია „მზე" გადასცემს, ხოლო საქართველო-ისრაელის ეროვნულ ნაკრებთა დაპირისპირებას 21:00 საათზე - „პირველი არხი".

„პირველი არხის" სპორტული მიმართულების პროდიუსერ **დავით მინაშვილის** თქმით, არხმა მედიაკომპანია „სპორტ 5"-თან მოლაპარაკება წარმატებით დაასრულა და ლატვიაში ეროვნული ნაკრების მომდევნო გასვლითი შეხვედრის რეპორტაჟიც იყიდა. შეგახსენებთ, რომ მატჩი 12 ოქტომბერს რიგაში გაიმართება.

მერაბ მამულაშვილი

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384. *ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ზედიზედ მეორე საგარეო: მშვენიერიც და უნიკალურიც...

« მე-2 გვერდიდან

შუალედში **თორნიკე ოქრიაშვილმა** შეუტია, მაგრამ მცველები გადაეფარნენ და ხიფათი განმუხტეს.

მე-11-დან მე-15 წუთამდე ქართველებმა ორი მწვავე შეტევა განახორციელეს: **გიორგი განუგრავამ** საჯარიმო დარტყმის შემდეგ ბურთი კარს მცირე მანძილით ააცილა, უშედეგოდ დასრულდა **რევაზ ბარაბაძის** მცდელობაც. სხვათა შორის, ჯარიმებს უმთავრესად განუგრავა ასრულებდა. ტაიმის ბოლოს გიორგიმ კიდევ ერთხელ სცადა მასპინძელთა კარის აღება...

მე-20 წუთიდან თურქებმა აქტიურად შეუტიეს: **შახინ აიგიუნეშმა** ბურთი კარისკენ გაგზავნა, მაგრამ **როინ კვასხვაძე** ქართველთა კარს საიმედოდ იცავდა. 41-ე წუთზე **სერდარ ეილიქის** დარტყმის შემდეგ კვასხვაძემ საქართველოს ნაკრები გადაარჩინა.

36-ე წუთზე ბარაბაძეს მცველი გადაეფარა და სახიფათო მომენტი განმუხტა. მეორე ტაიმი დაძაბული და მოვლენებით აღსავსე აღმოჩნდა. თავდაპირველად სტუმრებმა შეუტიეს: 48-ე წუთზე საჯარიმო დარტყმით მეკარის საიმედოობა **ლაშა თოთაძემ** შეამოწმა, ერთ წუთში კი **ბუბა დაუშვილის** დარტყმული ბურთი მეკარე **ეზქან ქარაბულუთმა** მოიგერია. თუმცა სწორედ მისი შეცდომით გავიდა ერთადერთი გოლი: 50-ე წუთზე, **ირაკლი კლიმიაშვილის** შეტევის შემდეგ, **ჰასან ალი ქალდირიმმა** ბურთი ქარაბულუთს მიუგორა, ამ უკანასკნელმა კი ვერ გააჩერა და ანგარიში გაიხსნა - 0:1.

თურქები დაიბნენ. გაბელიას გუნდმა კი მორიგი შეტევა განახორციელა: 55-ე წუთზე კლიმიაშვილი მასპინძელთა კარს კიდევ ერთხელ დაემუქრა. მალე მეტოქე გონს მოვიდა და აქეთ შემოგვიტია: ემრე ჩოლაქის მიერ კუთხურიდან მონოდებული ბურთი **მაჰმუთმა** კარისკენ ზუსტად გაგზავნა - კვასხვაძემ კვლავ მშვენიერი რეაქცია გამოავლინა და გადაგვარჩინა. შეტევა გაგრძელდა, მაგრამ ჩოლაქის იერიში უკვე მცველმა განმუხტა.

ქართველები კონტრშეტევებს საკმაოდ კარგად იწყებდნენ, მაგრამ დაგვირგვინებისას მოიკოჭლებდნენ. 61-ე წუთზე **ლევან კაკუბავამ** ხელსაყრელი პოზიციიდან კარს ვერ დაუმიზნა.

ქალდირიმი კი ავტოგოლის შემდეგ საერთოდ „აიჭრა“ და 68-ე წუთზე საჯარიმოსთან ახლოს კლიმიაშვილი მოცელა. თუმცა დაზარალებულმა ჯარიმა არაზუსტად შეასრულა.

შემდეგ კვასხვაძემ კიდევ ორჯერ გადაგვარჩინა - 70-ე წუთზე **ეზგიურ ჩექის** დარტყმას გადაეღობა, 83-ზე კი **სერდარ ეილიქს** არ დაანება კარი. თურქების მცდელობა, ქულა მაინც მოეპოვებინათ, წარუმატებელი გამოდგა - ქართველთა დაცვასა და მეკარეს ვერაფერი მოუხერხეს.

გაბელიას ბიჭებმა (**გიორგი ივანიშვილი, თემურ შარაშენიძე, ბუბა დაუშვილი**) კიდევ რამდენიმე მწვავე კონტრშეტევა განახორციელეს, **რატი წინამძღვრიშვილს** კი ანგარიშის გაზრდა შეეძლო, მაგრამ 83-ე წუთზე დასარტყმელ პოზიციაზე გასულმა მეკარეს ვერ აჯობა და მასპინძლები აშკარა გოლს გადაურჩნენ.

გაბელიას გუნდმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ იღბლიანია და რომ იღბალი ძლიერს სწყალობს - საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა შარშან გულშემატკივარში მიძინებული იმედი გააღვიძა და განამტკიცა ის აზრი, რომ ქართულ ფეხბურთში დიდი პოტენციალია.

...**ვლადიმერ გუცაევის** ახალგაზრდული ნაკრები ევროპის 1998 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში მეორე ადგილზე გავიდა და უკან **ბუფონის, ამბროზინის, კოკოსა** და **ფიორეს** იტალია ჩამოიტოვა, რაც დღემდე საუკეთესო შედეგი გახლდათ. გაბელიას ამ წარმატების გამეორების შანსი ეძლევა. ზოგადად წარმატებად ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლა ჩაითვლებოდა, მაგრამ გავიხსენოთ, რა პირობებია ჩვენში...

ერთი სიტყვით, იმედია, ბიჭები სომხეთთანაც გაგვახარებენ...

U21

შეგვიძლია თუ არა ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრა?

პიერლუიჯი ტამის მიერ გაწვრთნილმა შვეიცარიელმა ახალგაზრდებმა ლუგანოს „სტადიო დე კორნარედოზე“ ირლანდიას 1:0 სძლიეს და ჩვენს ჯგუფში პირველი ადგილი გაინაღდეს. ერთადერთი გოლი 48-ე წუთზე **ფაბიან ფრაიმ** გაიტანა. II შესარჩევ ჯგუფში სადღეისოდ ასეთი მდგომარეობაა:

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. შვეიცარია	10	6	2	2	15-8	20
2. საქართველო	9	4	3	2	12-7	15
3. თურქეთი	9	4	1	4	12-11	13
4. ესტონეთი	10	3	3	4	9-16	12
5. სომხეთი	9	3	1	5	16-19	10
6. ირლანდია	9	1	4	4	11-14	7

7 სექტემბერს ბოლო ტურში თურქები ირლანდიას ქოჯაელის „ისმეტფაშაზე“ უმასპინძლებენ, **ოთარ გაბელიას** შეგირდები კი თბილისში მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე სომხეთს მიიღებენ.

საქართველოს სომხეთთან ფრეც ჰყოფნის ჯგუფში მეორე ადგილის დასაკავებლად, რადგან თურქეთთან ორივე თამაში მოგებული გვაქვს (4:0, 1:0), მაგრამ საკმარისია კი ეს ევროპის ჩემპიონატზე გასასვლელად?

ტურნირის დებულებაში ვკითხულობთ, რომ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშობს 8 გუნდი - მასპინძელი, პლუს პლეი ოფში გამარჯვებული 7 გუნდი. საუკეთესო „შვიდეულს“ ჯგუფის გამარჯვებულებსა (სულ 10) და პლუს 4 საუკეთესო მეორეადგილოსანს შორის პლეი ოფში მოგებულები გამოავლენენ. წყვილები შინ და გარეთ ითამაშებენ. დანარჩენი 6 მეორეადგილოსანი ჯგუფში ჩარჩება...

ასე რომ, თბილისში სომხებს აუცილებლად უნდა მოვუგოთ და რაც შეიძლება დიდი ანგარიშით, რადგან ბურთების შეფარდებასაც დიდი მნიშვნელობა მიენიჭება.

ახლა იმაზე, თუ როგორ შეირჩევა 4 საუკეთესო მეორეადგილოსანი. 10 ჯგუფიდან ორში (I და II, ანუ ჩვენი) 6-6 გუნდია, დანარჩენ რვაში კი 5-5. ბუნებრივია, 6 და 5-გუნდიანი ჯგუფის მეორეადგილოსნები არათანაბარ მდგომარეობაში არიან. ამის გამოსარიცხად, ანუ ქულები თანაბარი რაოდენობის თამაშებიდან რომ დაითვალოს, 6-გუნდიანი ჯგუფების მეორეადგილოსნებს ბოლოადგილოსანთან დაგროვილი ქულები აკლდებათ.

ამ წესის გათვალისწინებით, საქართველო ახლა 13-ქულიანია, რადგან ბოლოადგილოსან ირლანდიასთან ორივე მატჩი ფრედ ითამაშა. სამწუხაროდ, ქულები მარტო ჩვენ და რუსეთს გვაკლდება, რადგან მხოლოდ ჩვენი ჯგუფებია 6-გუნდიანი. რუსეთს აუტსაიდერებთან მაქსიმუმი - 6 ქულა აქვს მოპოვებული და ჩვენზე მეტი დააკლდება.

თუმცა აქ მეორე ვარიანტია - თურქეთთან ირლანდიამ რომ მოიგოს, 10 ქულას დააგროვებს და თუკი თბილისში სომხებს მოვუგეთ, მათ თანაბარი ქულები (10-10) უგროვდებათ. ასეთ შემთხვევაში, რომელი მათგანი დარჩება ბოლო ადგილზე? სომხებს მეტი მოგება აქვთ, ირლანდიას ორივე შეხვედრაში აჯობეს, ანუ ირლანდია მაინც ბოლოზე რჩება.

ეგ არის, რომ საუკეთესო ოთხეულში მოსახვედრად არც ესაა საკმარისი. ჯერ - სომხეთი რაც შეიძლება დიდი ანგარიშით უნდა დავამარცხოთ, ბურთების უკეთესი სხვაობა რომ შევიქმნათ. მეორე - სხვა ჯგუფებში მეორეადგილოსნებს მეტი ქულაც აქვთ დაგროვილი, თუნდაც აუტსაიდერებთან გამოკლებულის გათვალისწინებით.

ესტონეთში სასტარტო მატჩი ფრედ რომ დაგვემთავრებინა და ირლანდიასთან თუნდაც ერთი თამაში მოგვეგო, საკმაოდ კარგი შანსი გვექნებოდა. მაგრამ მცირე შანსიც შანსია. ბოლოს კი, მეტი თვალსაჩინოებისთვის, ვნახოთ, რა მდგომარეობაა ამ მომენტისთვის მეორეადგილოსნებს შორის.

ჯ	გ	ბ/სხ	ქ
V	ისლანდია	+20	16
IV	ესპანეთი	+9	16
I	რუსეთი	+16	15
VIII	ბელგია	+3	15
X	ავსტრია	+7	14
IX	ინგლისი	+5	14
VII	სლოვაკია	+3	14
III	იტალია	+6	13
II	საქართველო	+5	13
VI	ჩერნოგორია	+3	13

(ჯ - ჯგუფი, გ - გუნდი, ბ/სხ - ბურთების სხვაობა, ქ - ქულები)

ეს ორი დღე მაინც მოგვასვენონ!

« მე-2 გვერდიდან

ბედნიერებაა, ამ ნაკრების წევრი რომ ვარ... ისრაელთან რთული თამაში გვექნება, თუმცა გასამარჯვებლად აქცენტი შეტევაზე უნდა გავაკეთოთ. იმედია, უკეთესი და უფრო დასამახსოვრებელი მატჩები გველის წინ. გულშემატკივრის თანადგომა ჩვენთვის ორმაგად მნიშვნელოვანია. იმედია, ისრაელთან ტრიბუნები შეივსება.

- ისრაელთთან ანანიძე ძირითადში იქნება?

თემურ ქეცბაია: - ცვლილებები იქნება, თუმცა სერიოზული არა. დაიცადეთ ორი დღე და გაიგებთ...

ამ დროს მოულოდნელად **თემურ ქეცბაია** კედლისკენ შეტრიალდა და იმ ადგილს გახედა, სადაც სარეკლამო ბანერებია განთავსებული. ვერ დაინახა და იკითხა:

- ისე, ჩვენ სპონსორები არ გვყავს? ასეთ პრესკონფერენციებზე ევროპაში ხალხი რიგს იკავებს. იმედია, ისე ვითამაშებთ, სპონსორები აქეთ მალე შეგვაწუხებენ... ახალგაზრდულის წარმატებაზეც მინდა ვთქვა: ძალიან დიდი ამბავი მოხდა. არ ვიცი, ახალგაზრდები ჯგუფიდან გავლენ თუ არა, თუმცა ამის შანსი აქვთ, მეორე ადგილზე არიან და ეს უკვე დიდი მიღწევაა. ახალგაზრდულ ნაკრებში გვაყავს ფეხბურთელები, რომლებსაც ეროვნულში თამაში შეუძლიათ. მთელი ნაკრების სახელით, ოთარ გაბელიასა და ბიჭებს გამარჯვებას ვუსურვებ.

მეტოქე

სომხებს მხითარიანი არ მოჰყავთ

სომხეთის ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ფლემინგ სერიტსლევმა** 7 სექტემბერს საქართველოსთან გასამართი შეხვედრისთვის გამოძახებული ფეხბურთელები დაასახელა.

მეკარე - **კარენ ისრაელიანი** (პიუნიკი);

მცველები - **არტაშეს არაქელიანი** (კილიკია), **არმენ ზაქარიანი, გაგიკ დაგბაშიანი, გრიშა ხაჩატრიანი** (სამივე - ბანანცი), **კამო ოგანესიანი, ვარაზდატ არაიანი** (ორივე - პიუნიკი), **გევორქ პრაზიანი** (იმპულსი), **ლევონ აირაპეტიანი** (უკლუბოდ);

ნახევარმცველები - **ვალტერ პოღოსიანი, სარქის კარაპეტიანი** (ორივე - ბანანცი), **არტურ იუსპაშიანი** (პიუნიკი), **გრაჩ იაგანი** (სტანდარდი, ბელგია), **მასის ვოსკანიანი** (რუზელაარი, ბელგია), **არტაკ დაშიანი** (მეტალურგი დონეცკი, უკრაინა), **არტაკ ალექსანიანი** (ურალი, რუსეთი);

თავდამსხმელები - **ზავენ ბადოიანი** (იმპულსი), **გევორქ ბადალიანი** (ბანიკ მოსტი, ჩეხეთი).

სიის გამოქვეყნებამდე ცნობილი იყო, რომ დონეცკის „შახტარში“ გადასული სომხების ახალგაზრდულის ლიდერი, თავდამსხმელი **ჰამლეტ მხითარიანი** ეროვნულ ნაკრებში გამოიძახეს და თბილისში ვერ ითამაშებს.

გვერდი მოამზადა

მერაბ მამულაშვილმა

ქართული ფეხბურთი

● საბერძნეთი-საქართველოს გამოხმაურება

ალექსანდრე იაშვილი

ქეცბაიას შურისძიება

ბერძნული მედია, ისევე როგორც მათი ეროვნული ნაკრები შოკშია - ბევრი არ მოელოდა, რომ მათ საყვარელ გუნდს ქულის გადასარჩენად გაუხდებოდა საქმე. და მაინც, თამაშის შემდეგაც საქართველოს ნაკრებზე ბევრად მეტს თავიანთ პრობლემებზე წერენ, ჩვენი ფეხბურთელების თამაშის გაშუქებით თავი არ მოუკლავთ (თავიანთი მისხალ-მისხალ განიხილეს). ერთადერთი გამონაკლისი **თემურ ქეცბაია** იყო, რომლის თემაც მუდამ აქტუალურია, თამაშამდე და მერეც. თითქმის ყველა გაზეთმა ერთხმად აღნიშნა, რომ ქეცბაიამ „ოლიმპიაკოსის" ცნობილი ამბების გამო შური იძია ბერძნებზე...

გაზეთი „გოლნიუსი" ცდილობს ბერძენთა წაბორძიკებაში ლოგიკური ჯაჭვი მონახოს - *„12 წელიწადია, რაც ჩვენს ნაკრებს კარგად საკვალიფიკაციო*

თემურ ქეცბაია

ეტაპი არ დაუწყია. მხოლოდ ორი გამონაკლისი იყო, როცა ელადამ 3 ქულით დაიწყო შესარჩევ იციკლი - შინ კი გახსნის მატჩი ამ 12 წლის განმავლობაში არ მოგვიგია", - წერს გაზეთი და მართალიცაა - ამ ხნის განმავლობაში საბერძნეთის ნაკრებმა 7 საკვალიფიკაციო ეტაპი დაიწყო და მხოლოდ 2006 (სტუმრად მოლდოვასთან - 1:0) და 2008 წელს (სტუმრად ლუქსემბურგთან - 3:0) მოიგო გახსნის მატჩი. ჩვენთან პარასკევის შეხვედრის ჩათვლით საბერძნეთის ნაკრებმა 3 ფრე ითამაშა და 3-ჯერ წააგო.

„გოლნიუსის" ჟურნალისტმა **კოსტას ფიცანტონაკისმა** 3-3 დადებითი და უარყოფითი მხარე მოუნახა **ფერნანდუ სანტუშის** ოფიციალურ დებიუტს. 1. ტაქტიკური სქემის შეცვლა 30 წუთის შემდეგ, როცა მიხვდა მწვრთნელი, რომ ბერძნებს 4-4-2 არაფერ კარგს არ უქადდა. ამით ნაკრებმა „გახსნა" საქართველოს ნაკრების კარგად ორგანიზებული დაცვა, **ტოროსიდისის** კარგი თამაშის წყალობით გაილაღა მარჯვენა ფლანგმა. 2. ინტენსიური იერიშები მეორე ტაიმში. 3. **სამარასის,** ტოროსიდისის და **პაპასტატოპულოსის** კარგი თამაში. ეს დადებითი, ახლა უარყოფითი: 1. ტაქტიკური სქემა, რომელიც თავიდან შესთავაზა სანტუშმა ვიზავის. 2. ფეხბურთელებს შორის ხშირი იყო გაუგებარი მოქმედებები, **იაშვილის** გოლი თავიდან ბოლომდე ბერძენთა შეუთანხმებელი მოქმედებების ნაყოფია. 3. საგოლე მომენტების გამოუყენებლობა, მეორე ტაიმში მასპინძლებმა 4 ასეთი მომენტი გაანიავეს.

ბერძნული „კონტრა" შეხვედრის საუკეთესო მონაწილედ... თემურ ქეცბაიას ასახელებს. *„თემურ ქეცბაიამ აჩვენა კლასი იმ სტადიონზე, სადაც მისი მოღვაწეობა არ გაგრძელდა დიდხანს. მისმა ნაკრებმა გააკეთა ყველაფერი, რაც შეეძლო და გაცილებით უკეთეს გუნდთან კარგი შედეგი აჩვენა".* „კონტრა" მატჩში გადამწყვეტად მე-3 წუთზე იაშვილის მიერ გატანილ ბურთს ასახელებს: *„როცა შეხვედრა ჯოჯოხეთივით იწყება, უნდა შეძლო მშვიდად თამაში და დასახული მიზნისკენ გეგმის მიხედვით სვლა. ამასთან იღბალიც გჭირდება, რომელმაც გუშინ ზურგი გვაქცია".*

„ძალიან ბევრი ნეგატიური დავინახეთ, თანაც ისეთ სუსტ გუნდთან თამაშში, როგორიც საქართველოა. საბერძნეთმა პირველ ტაიმში ცუდად ითამაშა, პირველი რეალური მომენტი მხოლოდ ტაიმის მიწურულს შექმნა სალპინგიდისის დარტყმით. კი, მე-3 წუთზე რომ გოლს გაგიტანენ, მოქმედებს, მაგრამ მაქსიმუმ მე-10 წუთიდან მაინც უნდა გამოფხიზლებულიყვნენ და შეეტიათ. მეორე ტაიმი არ იყო ურიგო, რადგან ბევრი მომენტი შეექმენით, სალპინგიდისი, უბრალოდ, ვალდებული იყო გაეტანა, სპიროპულოსის გოლის ეპიზოდშიც კინაღამ არ შევიდა ბურთი კარში, მიტროგლუსაც უნდა გაეტანა. მოკლედ, არ იყო ჩვენი დღე. საერთო ჯამში, საბერძნეთის ნაკრებს არც უარესი და არც საუკეთესო მატჩი უთამაშია ისტორიაში. მაგრამ ასეთ გუნდებთან ქულები არ უნდა დაკარგო, ამიტომაც ოტოს ხანაში ყველა ფინალურ ეტაპზე გავდიოდით, ასეთ სუსტებთან საერთოდ არ ვაგებდით (2006 წლის მუნდიალის საკვალიფიკაციო გამონაკლისია)".

„ჩვენ თავს ჩვენივე დავუშავეთ, - იუწყება „სპორტნეტის" მოწინავე სტატია - *მე მსურს საბერძნეთის ნაკრებს ქულები წავართვა, აცხადებდა ქართველთა თავკაცი თემურ ქეცბაია და მიზანსაც მიაღწია. სწრაფი გოლისა და ფორტუნის დახმარებით მან ეს შეძლო, საბერძნეთის ნაკრები კი ნელა გამოფხიზლდა და ბევრი ვერაფერი მოასწრო".*

ნიკოლოზ ნეფარიძე

● აქცია

კალაძე ბავშვებს შეეწია

კახა კალაძე ქველმოქმედებას აგრძელებს. საქართველოს ნაკრების კაპიტანმა „კალა ფონდის" დაფუძნების შემდეგ ბევრი კეთილი საქმე გააკეთა. ამ აქციებზე დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა, რომ კახა გაჭირვებულ და ყურადღებამოკლებულ ბავშვებს პატრონობს. შეგახსენებთ, რომ „კალა ფონდი" 2008 წელს დაარსდა.

ამჯერად კახამ ლისის ტბასთან მდებარე ონკოლოგიის ეროვნული ცენტრის ოცამდე მცირეწლოვანი პაციენტი ეროვნულის ფეხბურთელებთან და მთავარ მწვრთნელ **თემურ ქეცბაიასთან** ერთად მოინახულა.

„სახელმწიფომ ბავშვთა ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა პრიორიტეტად მიიჩნია და მას სრულად აფინანსებს. ამის მიუხედავად, ბავშვებისთვის ყურადღება, მით უფრო ასეთი ცნობილი პიროვნების მხრიდან, ძალიან სასიხარულო და მისასალმებელია", - აღნიშნა ონკოლოგიური ცენტრის გენერალურმა დირექტორმა, პროფესორმა **რევაზ გაგუამ**.

ფონდი სპორტის, განათლების ხელშეწყობასა და სხვადასხვა სოციალური პროგრამის მხარდაჭერას ითვალისწინებს. იგი მჭიდროდ თანამშრომლობს როგორც უცხოურ არასამთავრობო, ისე ეროვნულ საქველმოქმედო ორგანიზაციებთან.

კალაძემ ბავშვები დასაჩუქრა. ამას გარდა, თითეული მათგანის ანგარიშზე, „პროგრესბანკში" ექვს სექტემბერს 500-500 ლარი დაირიცხება.

კარგი, მადლიანი და მისაბაძი საქმეა და საკითხავია, ვინ იქნება შემდეგი?

მერაბ მამულაშვილი

● ლეგიონი

ბომბარდირი ქართველი, ლიდერი ქართველი

ფინეთის რანგით მეორე დივიზიონ იკონენში თავი ამ ჩემპიონატის ერთპიროვნულმა ბომბარდირმა **ირაკლი სირბილაძემ** გამოიჩინა. 27 წლის ქართველი ფორვარდის გუნდი კპვ შინ, ქალაქ კოკოლაში „ვიიკინგიტს" მასპინძლობდა და 3:2 მოუგო. ქართველმა ჯერ 45-ე წუთზე გაიყვანა გუნდი წინ (2:1), როცა სტუმართა ბრაზილიელ მეკარე **ლუის ფერნანდოს** ბურთი თავზე გადაუგდო, შემდეგ 81-ე წუთზე ბოლო და გადამწყვეტი გოლი გაიტანა მატჩში, მეკარისგან შორეულ კუთხეში. ასე, დუბლით აღნიშნა კლუბის დაარსების 80 წლისთავი ჩვენებურმა. კპვ 32 ქულით მე-6 ადგილზეა ფინეთის ჩემპიონატში.

ქართველ ლეგიონერს 13 გოლი აქვს გატანილი, გუშინ მას ვერ მიუახლოვდნენ „როვანიემის" ზამბიელი ფორვარდები **ჩილუშე ჩიბვე** და **ნჩიმუნია მვეეტვა** (9-9 გოლი), არადა, „როვანიემმა" სტუმრად 4:0 გაანადგურა „კლუბი-04". ამ თამაშში 69-ე წუთზე თავი 23 წლის **ვალტერ ხორგუაშვილმა** გამოიჩინა, რომელმაც ჩემპიონატში მე-6 გოლი გაიტანა. „როვანიემი" 41 ქულით პირველია. ამ კლუბში ორი ტყუპი ძმა ხორგუაშვილი თამაშობს.

„კოტეპე" სტუმრად 0:0 დაუზავდა იიპოს-ს. სტუმართა რიგებში 90 წუთი ითამაშა **გიორგი ოსიტაშვილმა,** ხოლო **ბექა ტუღუში** მოედანზე 77-ე წუთზე შევიდა. „კოტეპე" 26 ქულით მე-9 ადგილზეა. **ანზორ კალაძის** პოპა-ს ამ ტურის მატჩი აგვისტოს მიწურულს ჰქონდა ნათამაშები. პოპა 38 ქულით მე-2 ადგილზეა. ანზორ კალაძეს ჩემპიონატში ორი გოლი აქვს გატანილი. მომდევნო ტური იკონენლიგაში 11-12 სექტემბერს გაიმართება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

● თარიღი კომენტარით

მიხეილ მესხის დებიუტი

მიხეილ მესხი, რომელმაც საფეხბურთო სამყაროში სამარადჟამოდ დაიმკვიდრა ადგილი, როგორც უბადლო ოსტატმა, მსოფლიოს საფეხბურთო მინდვრებზე 1959 წლიდან ბრწყინავდა. სწორედ იმ წელს, 6 სექტემბერს შედგა მისი დებიუტი საბჭოთა კავშირის ნაკრების ამხანაგურ მატჩში ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან მოსკოვში. ამ მატჩთან დაკავშირებით ცნობილ ვეტერან ჟურნალისტს **გარუნ აკოფოვს** ვთხოვეთ კომენტარი.

„მატჩს მოსკოვში, ლუჟნიკის სტადიონზე 102 ათასი მაყურებელი დაესწრო. საბჭოთა ნაკრები მოედანზე ასეთი შემადგენლობით გამოვიდა: იაშინი, კესარევი, მასლიონკინი, ბორის კუზნეცოვი, ვოლნოვი, ნეტო, ალექსანდრ ივანოვი, ფედოსოვი (ცარიოვი), ვალენტინ ივანოვი, ბუბუკინი, მესხი. კაპიტანი ნეტო იყო, მწვრთნელები - გლაზკოვი და მასლოვი. მსაჯი - ხერნადი (უნგრეთი). პირველი გოლი ბუბუკინმა მე-4 წუთზე გაიტანა, რასაც 34-ე წუთზე ნაკრების დებიუტანტ მიხეილ მესხის გოლიც მოჰყვა.

პირველი ტაიმი ასე დასრულდა. მეორე ტაიმში, 64-ე წუთზე ვალენტინ ივანოვმა ანგარიში სამამდე გაზარდა. სტუმრებმა კი მხოლოდ ერთი გოლის გაქვითვა შეძლეს. 3:1 - ასე დამთავრდა ეს მეტად საინტერესო მატჩი, რომელიც საბჭოთა ნაკრების ისტორიაში 43-ე სარეესტრო შეხვედრა იყო".

რობინიო: მანჩესტერში ვერავინ გამიგო!

მილანში ჯერ ხეირიანად არც ჩასულა და ბრაზილიელი თავდამსხმელი **რობინიო** *უკვე „მანჩესტერ სიტის“ და ზოგადად ქალაქ მანჩესტერის კრიტიკას მოჰყვა. „მანჩესტერი მხოლოდ ფეხბურთის სათამაშოდაა კარგი ქალაქი, საცხოვრებლად კი საშინელებაა. ზამთარში ისეთი სიცივე იყო, ვერ ვუძლებდი და თავს ცუდად ვგრძნობდი. ბრაზილიელისთვის მანჩესტერი ნამდვილი ჯოჯოხეთია, - უთხრა 26 წლის რობინიომ ჩვენს იტალიელ კოლეგებს, - ესეც რომ არ იყოს, მე ვერც მარკ ჰიუზი მიგებდა და ვერც რობერტო მანჩინიმ გამიგო. კლუბში შექმნილი ატმოსფერო არ მომწონდა. „სიტიში“ ყველა ისე იქცევა, თითქოს ეს საფეხბურთო გუნდი კი არა, ოფისი იყოს. ვარჯიში, სახლი, თამაში, სახლი - მე ბრაზილიელი ვარ და არ შემიძლია, კარგად ვითამაშო, როცა ყველანაირად ბედნიერი არ ვარ“.*

ვნახოთ, რამდენად ბედნიერი იქნება რობინიო მილანში...

გოტფრიდ ლენცი

ვინ იყიდის ნინისს?

საქართველოს ნაკრებთან მაინცდამაინც კარგად არ უთამაშია, მაგრამ ზოგადად, **სოტირის ნინისი** ბერძნული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად მიიჩნევა და მას უდიდეს მომავალს უწინასწარმეტყველებენ. ფაქტია, რომ მომავალ ზაფხულს ნინისს „პანათინაიკოსში“ არავინ გააჩერებს. „სანდი მირორის“ ცნობით, მისით მადრიდის „რეალი“ და „მილანი“ არიან დაინტერესებულები, მაგრამ 20 წლის ნინისის შეძენის საუკეთესო შანსი „მანჩესტერ იუნაიტედს“ აქვს. ჩვენი ინგლისელი კოლეგები წერენ, რომ **სერ ალექს ფერგიუსონი** მზადაა, „პანათინაიკოსს“ 9.5 მილიონი ევრო გადაუხადოს.

გოტფრიდ ლენცი

კლოზე გერდის რეკორდს უმიზნებს

ბელგიის ნაკრების კარში გატანილი გოლი **მიროსლავ კლოზესთვის** რიგით 53-ე იყო გერმანიის ნაკრებში (102 მატჩში). აღსანიშნავია, რომ მასზე მეტი გოლი ბუნდესგუნდის მაისურით მხოლოდ ორ ფეხბურთელს აქვს გატანილი: ლეგენდარულ **გერდ მიულერს** (68 გოლი 62 მატჩში) და **იოახიმ შტრაიხს** (55 გოლი 102 მატჩში). ამრიგად, თუ ხვალ კლოზე აზერბაიჯანს სამ გოლს გაუტანს, შტრაიხს გაასწრებს და მეორე ადგილზე გადაინაცვლებს.

„მიხარია, რომ ბელგიას გოლი გავუტანე და ძალიან მინდა, რომ აზერბაიჯანის კარის ბადეც შევარხიო,“ - უთხრა კლოზემ „კიკერს“.

გოტფრიდ ლენცი

მიხაილოვიჩი ოპტიმიზმს არ კარგავს

„ფიორენტინას“ გულშემატკივრებმა უკმაყოფილება გამოხატეს იმით, რომ კლუბის მესვეურებმა სატრანსფერო პერიოდი პასიურად გაატარეს და შედეგად, „ვიოლა“ პრაქტიკულად არ გაძლიერებულა. თანაც, ეს ყველაფერი ორი წამყვანი ფეხბურთელის მოსაკლისების ფონზე მოხდა. **ადრიან მუტუს** კვლავ დისკვალიფიკაცია აქვს და ფეხბურთს კარგა ხანს ვერ დაუბრუნდება, **სტევან იოვეტიჩი** კი ტრავმირებულია და თუ ექიმებს დავუჯერებთ, ექვსიდან რვა თვემდე მოუწევს უქმობა. გამოდის, რომ „ფიორენტინას“ შეტევა დიდწილად **ალბერტო ჯილარდინოს** თამაშზეა დამოკიდებული და ამ უკანასკნელსაც რომ რამე დაემართოს, მართლაც რომ კატასტროფულ სურათს მივიღებთ. სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით ესაუბრნენ ჟურნალისტები გუნდის მთავარ მწვრთნელს, **სინიშა მიხაილოვიჩს** და მისგან შემდეგი კომენტარი მოისმინეს:

„სატრანსფერო საკითხებით კლუბის სპორტული დირექტორი, პანტელეო კორვინო გახლდათ დაკავებული და ამ საკითხზე უმჯობესია, მას გაესაუბროთ, მაგრამ ორიოდე სიტყვას ნამდვილად არ დაგზარდებით. მე ვუთხარი კორვინოს, თუ რომელი როგოლების გაძლიერება იყო საჭირო და დანარჩენზე თავად უნდა ეზრუნა. მართალია, ბევრად უფრო ნაკლები დავხარჯეთ, ვიდრე სხვა გუნდებმა, მაგრამ ეს ნამდვილად არ მაღელვებს - ფულით შედეგს და კარგ თამაშს ვერ იყიდი. სიმართლე გითხრათ, არც მომითხოვია ფეხბურთელების შეძენა, რადგან ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ წარმატების მიღწევა არსებული რესურსითაც ხელგვეწიფება“.

ლაშა ნიკლაური

სანტონი ლაზარეთში დაბრუნდა

სანტონი ისევ დაშავდა

ერთ-ერთი ყველაზე იმედისმომცემი იტალიელი ფეხბურთელი **დავიდე სანტონი** კვლავ დაშავდა და ლაზარეთში გადაინაცვლა. ახალგაზრდა უკანახაზელს გასული სეზონი სწორედ ტრავმის გამო გაუცდა და იმედი ჰქონდა, რომ ამ სეზონში მაინც იასპარეზებდა სტაბილურად. მომჯობინდა კიდეც და „ინტერის“ სარეზერვო გუნდში პირველი შეხვედრაც გამართა, მაგრამ სწორედ აქ დაშავდა და როგორც ჩატარებულმა პირველადმა გამოკვლევამ ცხადყო, ძველი ტრავმა გაიმიზეზა.

როგორც „გაძეტა დელო სპორტი“ იუწყება, უახლოეს დღეებში დავიდეს რამდენიმე გამოკვლევას ჩაუტარებენ და საბოლოო დიაგნოზს დაუსვამენ. არ არის გამორიცხული, კიდევ ერთი ოპერაციის ჩატარება გახდეს საჭირო, რაც იმის მომასწავებელი იქნება, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელს კიდევ მინიმუმ ორი თვით მოუწევს უქმად ყოფნა.

ლაშა ნიკლაური

ჯოჯოხეთი გრძელდება!

ბლანმა აღარ იცის, რა ჰქნას...

გუნდებს, რომლებმაც მსოფლიოს ჩემპიონატზე თავიანთ ქომაგებს იმედები გაუცრუეს და უფრო მეტიც, მთელი მსოფლიოს წინაშე შერცხვნენ, ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ ტურში რეაბილიტაციის შანსი მიეცათ. იტალიის ნაკრებმა დაკისრებულ ამოცანას თავი კარგად გაართვა, მოუგო რა ესტონეთს ტალინში (2:1), ინგლისმა გერმანიასთან ნაჭამი სირცხვილის გამო ჯავრი, არც მეტი, არც ნაკლები, ბულგარეთის საკმაოდ ძლიერ ნაკრებთან ამოიყარა (4:0). საფრანგეთი? დაგვეთანხმებით, მუნდიალზე ყველაზე მეტად რაიმონ დომენეკის გუნდი შერცხვა - არა მარტო სპორტული წარუმატებლობის, არამედ, პირველ რიგში, იმ შეუფასებელი სკანდალის გამო, რაც ამ გუნდში მსოფლიოს ჩემპიონატის დროს მოხდა (დეტალებს აღარ გაგახსენებთ). და საფრანგეთის ნაკრებმა, სადაც ბევრი რამ შეიცვალა, პარასკევს კიდევ ერთი დიდი სირცხვილი ჭამა: ახლა უკვე **ლორან ბლანის** მიერ დამოძღვრილმა გუნდმა, „სტად დე ფრანსზე“ ბელარუსის ნაკრებთან წააგო (0:1).

არადა, მატჩის წინ თვით **ზინედინ ზიდანმაც** თქვა, ბლანი ზუსტად ის კაცია, ვისაც გუნდი უნდა ჩაებარებინაო. დასკვნების გაკეთება, რა თქმა უნდა, ნაადრევია, რადგან ბლანი სულ 2 თვეა, რაც გუნდში მუშაობს და თანაც, ეს მისი პირველი ოფიციალური თამაში იყო, ანუ, გუნდი ჯერ კიდევ აწყობა-დალაგების სტადიაში ჰყავს, მაგრამ მაინც: საკუთარ მოედანზე ბელარუსთან წაგება ფრანგებისთვის აშკარად ნამეტანია. ამიტომაც იყო, ფრანგულმა პრესამ უქმეებზე ბლანსა და მის გუნდს ყველანაირად რომ გადაუარა: *„კატასტროფა!“, „სირცხვილი“, „ჯოჯოხეთი გრძელდება“* - ასეთი სათაურები დაიბეჭდა ფრანგულ გაზეთებში შაბათ-კვირას.

არადა, „სტად დე ფრანსზე“ შეკრებილმა პუბლიკამ (76 000 მაყურებელი) დიდი ნებისყოფა გამოამჟღავნა და დიდხანს ითმენდა იმას, რომ ფრანგები ბელარუსს ვერ უგებდნენ. ფანები საყვარელ გუნდს არ უსტვენდნენ, მაგრამ 86-ე წუთზე, **სერგეი კისლიაკმა** გოლი რომ გაიტანა, მოთმინების ფიალა ყველას აევსო და დაიწყო ის, რისაც ბლანს და მის შეგირდებს ყველაზე მეტად ეშინოდათ - სტვენა, ლანძღვა, მასობრივი ზურგშექცევა და ა.შ.

ერთადერთი ფეხბურთელი, რომელმაც ბლანის გუნდიდან კარგი შთაბეჭდილება დატოვა, 20 წლის ნიჭიერი ნახევარმცველი **იან მვილა** გახლდათ. გამოცდილმა ფეხბურთელებმა კი, **ფლორენ მალუდას** თამადობით ისევ საზიზღრად ითამაშეს.

„ბევრი რამ შევცვალე, მაგრამ მაინც არაფერი გამოვიდა. ახლა დიდხანს უნდა ვიფიქრო, კიდევ რისი გაკეთება შეიძლება,“ - აღარ იცოდა, რა ეთქვა მატჩის შემდეგ ლორან ბლანს.

ხვალ ფრანგები ბოსნიაში ჩადიან და უკვე ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი აქვთ. ბოსნია ხომ ის გუნდია, რომელსაც ასევე აქვს ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის ამბიცია. ბლანმა კი აღარ იცის, რომელი ფეხბურთელები ათამაშოს ძლიერ ბოსნიასთან, სუსტ ბელარუსთან წაგების შემდეგ.

„არ ვიცი, ვინ უნდა გაიტანოს გოლები. ისე გამოდის, რომ ჩვენ არ გვყავს მოთამაშეები, რომლებიც გოლებს გაიტანენ. ბევრი კარგი ფეხბურთელი მყავს, უმეტესობას ჩინებული ტექნიკა აქვს, ბურთის თრევა, დრიბლინგები შეუძლიათ, მაგრამ როგორც კი მეტოქის კარს 25-მეტრიან დისტანციაზე უახლოვდებიან, ყველაფერი მთავრდება. ეს კატასტროფაა!“ - გულახდილია ბლანი.

ფრანგების დამრიგებელი პირდაპირ ამბობს, რომ მას არ ჰყავს ისეთი მოთამაშეები, რომლებიც პასუხისმგებლობას თავის თავზე აიღებენ, რომლებიც აგრძნობინებენ მეტოქეს, რომ მას საფრანგეთის ძლიერ ნაკრებთან აქვს საქმე. **ლუის საამ, გიომ ოარომ** და **ლოიკ რემიმ** ამ ამოცანას თავი ბელარუსის დარ გუნდთანაც კი ვერ გაართვეს. და რა იქნება ბოსნიასთან, სადაც ეს სამეული ტრავმის გამო ვერ ითამაშებს? იმაზე უარესი რაღა უნდა იყოს, რაც ბელარუსთან მოხდაო, სიმწრისგან ცინიზმის ხასიათზეა ბლანი. მან ხვალინდელი მატჩისთვის ლიონელი **ჯიმი ბრიანი** გამოიძახა და იმედი აქვს, რომ **ქარიმ ბენზემაც** დაუბრუნდება.

ბელარუსში კი, რასაკვირველია, დიდი ზეიმი იყო. ამ გუნდს გერმანელი **შტანგე** წვრთნის, რომელიც 80-იან წლებში გდრ-ის ნაკრების თავკაცი იყო და საფრანგეთს გასვლაზე მაშინაც მოუგო. *„რამდენიმე კვირაში გუნდის ჩამოყალიბება შეუძლებელია. მე რომ ფრანგების ადგილზე ვიყო, ბლანს არ გავაკრიტიკებდი. პირადად მე ბელარუსში უკვე სამი წელია ვმუშაობ და შედეგს მხოლოდ ახლაღა ვიმკი,“* - ამბობს შტანგე.

მაგრამ საფრანგეთი ბელარუსი არ არის - ლორან ბლანს ამდენს არავინ დააცდის...

გოტფრიდ ლენცი

საფრანგეთის ნაკრებს ჯერჯერობით ვერც მწვრთნელის შეცვლამ და ძირეულმა გადახალისებამ უშველა

ერეკლე ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

ევრო 2012 გამოხმაურება



გერმანიის ნაკრების თავკაცი იოახიმ ლიოვი

ლიოვი: რით ვერ გაიგეთ, ბალაკი მჭირდება!

იოგიმ იცის, რომ გერმანიას მხოლოდ ლამაზი ფეხბურთი აღარ დააკმაყოფილებს...

გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **იოახიმ ლიოვი** ისევ აჟიტირებულ-მოტივირებულია. მსოფლიოს ჩემპიონატი მისთვის უკვე დიდი ხანია, წარსულს ჩაბარდა და ბოლო დროს თუ მაინც ხშირად ფიქრობდა მუნდიალზე, ახლა სამხრეთ აფრიკა 2010 უკვე საბოლოოდ დაივიწყა. ბუნდესმწვრთნელს ერთი მხრივ დაუკმაყოფილებლობის გრძნობა აქვს, მეორე მხრივ კი გახარებულია. დაუკმაყოფილებლობა იმიტომ, რომ ფიქრობს, მსოფლიოს ჩემპიონატზე მის გუნდს მეტი შეეძლო, გახარებული კი იმის გამოა, რომ წინ ახალი დიდი მიზანი აქვს: 2012 წლის ევროპის ჩემპიონატი.

საკვალიფიკაციო ეტაპზე სტარტი ისეთი გამოუვიდა, როგორიც უნდოდა: ბელგია სტუმრად 1:0 დაამარცხა და პირველი სამი ქულა მოიპოვა. დაამარცხა გუნდით, რომლის შესახებაც ლიოვი ამბობს: *„თუ ეს ბიჭები პროგრესს გააგრძელებენ, დიდი შანსია, რომ ორი წლის შემდეგ ევროპის ჩემპიონები გავხდეთ."*

იოგიმ ზუსტად იცის, რას ჰკითხავს „ბილდის" ჟურნალისტი ამ სიტყვების შემდეგ და პასუხისთვისაც მზადაა: *„მიხაელ ბალაკი?* - ამბობს ბუნდესმწვრთნელი და სიგარეტს უკიდებს, - *ამ დღეებში მის შესახებ ბევრი ვილაპარაკე და რაკი ხალხმა მაინც ვერ გაიგო, რაშია საქმე და რაკი თქვენ ამ კითხვას მაინც მისვამთ, უფრო კონკრეტულად გიპასუხებთ. ყველაფერი მშვიდად ავწონ-დავწონე, ყველაფერი გავითვალისწინე. მიხაელს კაპიტნის სამკლავურს რომ შევუნარჩუნებდი, ეს ჩემთვის ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ იყო ცნობილი. წინასწარ ვიცოდი ისიც, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ბალაკი სანაკრებო კარიერას არ დაამთავრებდა. ბალაკი არის ფეხბურთელი, რომელმაც გერმანიის ნაკრებს ძალიან ბევრი რამ გაუკეთა, მას ბუნდესგუნდის მაისურით ასამდე მატჩი აქვს გამართული. ასეთ ფეხბურთელზე კი უარს იოლად ვერავინ ამბობს ხოლმე."*

...მაგრამ არის კი ბალაკი ახლაც ისეთივე სრულფასოვანი კაპიტანი, როგორიც მუნდიალის წინ იყო? ლიოვი დაფიქრდა, ნაფაზი დაარტყა და დაიწყო: *„ჩვენ ყველამ უნდა ვაღიაროთ, რომ დღეს მიხაელი არ არის საუკეთესო ფორმაში. ბუნდესლიგაში ჩატარებულ პირველ მატჩებში შეეტყო, რომ ტრავმის შემდეგ ფორმის აღდგენის პროცესი უჭიანურდება. მუნდიალზე ჩვენ ძალიან სწრაფი და კრეატიული ნახევარდაცვა გვყავდა. იმდენად კარგად ვითამაშეთ, რომ ზოგიერთ ფეხბურთელს ამბიცია მოემატა: ამ შემთხვევაში, პირველ რიგში სამი ხედირას ვგულისხმობ. ბალაკი ხომ სწორედ მან შეცვალა. ახლა მინდა, რომ ამ გუნდმა პროგრესი გააგრძელოს და ძალიან მინდა, რომ ეს მიხაელ ბალაკთან ერთად მოხდეს. ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ ორწლიან პერიოდს მის გარეშე ნამდვილად არ ვგეგმავ, მაგრამ იმისათვის, რომ ჩვენთან დაბრუნდეს, ფორმა უნდა აღიდგინოს, ძველებურად უნდა ათამაშდეს. მჯერა, რომ ასეც იქნება, რადგან მიხაელს ჯერ კიდევ უდიდესი პოტენციალი აქვს. ახლა ის ისეთ ასაკშია, რომ ასეთ დროს ფეხბურთელისთვის ფიზიკური მზადყოფნა ძალიან მნიშვნელოვანია. თანაც, მიხაელი ყოველთვის ძალიან მონდომებულია. შესაბამისად, კონკურენცია მისთვის მხოლოდ კარგია."*

...და რა მოხდება, ბალაკი ნაკრებში გამოძახებული რომ იყოს და ძირითად შემადგენლობაში ვერ მოხვდეს? წლების მანძილზე ხომ ხელშეუხებელი იყო და იატანს კი სათადარიგოთა სკამზე ჯდომას? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ლიოვს ძალიან უჭირს, რაც ხანგრძლივ პაუზაზეც ეტყობა. იოგის ესმის, რომ ეს ძალიან მძიმე თემაა. მერე კი, მოლოდინისამებრ, დიპლომატიურად პასუხობს: *„წინასწარ ვერაფერს ვიტყვი, საკვალიფიკაციო ეტაპის მეორე ტურამდე ერთი თვეა დარჩენილი. სიმართლე გითხრათ, მიხაელს რომ შევხვდი, ამაზე არც გვისაუბრია."* ფაქტია, მიხაელის სათადარიგოთა სკამზე წარმოდგენა თვით ბუნდესმწვრთნელსაც ძალიან უჭირს.

კონკურენცია მარტო ბალაკს როდი ეხება. ლიოვის თქმით, ახალგაზრდა ფეხბურთელებიც ძალიან დამშეულები უნდა იყვნენ: *„ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ვის რამდენი თამაში აქვს ბუნდესლიგაში ჩატარებული და თუ ერთს 50-ზე მეტი აქვს, არ ვფიქრობ, რომ მან აუცილებლად უნდა ითამაშოს. უპირატესობას ახალგაზრდა ფეხბურთელებს ვანიჭებ და ასე იქნება მომავალშიც."*

ამიტომაც, დიდი შანსია, რომ სულ მალე გერმანიის ნაკრებში დებიუტი ჰქონდეს დორტმუნდის „ბორუსიას" 18 წლის ტალანტ **მარიო გიოტცეს**. ადრე 18 წლის ფეხბურთელის ბუნდესგუნდში მოხვედრა წარმოუდგენელი იყო, ლიოვი კი გერმანული ფეხბურთის ფილოსოფიას ცვლის. მისი აზრით, რაც მალე ითამაშებს ახალგაზრდა ფეხბურთელი ეროვნულ ნაკრებში, მით უკეთესია. ბუნდესგუნდი ნოემბერში შვედეთს ამხანაგურად გაეჯიბრება და იოგის ამ შეხვედრისთვის გიოტცესთან ერთად, შანსის მიცემა **მარკო როისისთვის**, **მატს ჰუმელსისა** და **ბენედიქტ ჰოიოვედესისთვის** სურს.

ყველაფერთან ერთად, გერმანიის ნაკრების თავკაცმა ისიც იცის, რომ ევროპის ჩემპიონატზე მის საქმეს მხოლოდ იმ კრიტერიუმით არ შეაფასებენ, თუ რამდენად მომხიბვლელი ფეხბურთი ითამაშა ბუნდესნაკრებმა. მან იცის, რომ საფეხბურთო გერმანიას უკვე ტიტული სჭირდება.

„ჩემი დასკვნა ასეთია: ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონი დაცვითი ფეხბურთით ვეღარავინ გახდება. თუ დღეს დიდი წარმატების მიღწევა გსურს, რისკიანი, შემტევი ფეხბურთი უნდა ითამაშო. ტემპი შენ უნდა აკონტროლო, მეტოქეს შეცდომები უნდა დააშვებინო. როგორც იტალია გახდა 2006-ში მსოფლიოს ჩემპიონი, ასეთი ფეხბურთით დიდ ტიტულს ვეღარავინ მოიგებს," - აცხადებს ლიოვი.

ხვალ ბუნდესგუნდის მეტოქე აზერბაიჯანია და ეჭვი არავის ეპარება იმაში, რომ გერმანელები ამ თამაშსაც მოიგებენ...

გოტფრიდ ლენცი

აძურა კასანომ გადაარჩინა

იტალიის ეროვნულმა ნაკრებმა 2010 წელს თავისი პირველი შეხვედრა მოიგო და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი წარმატებით დაიწყო. არადა, პირველი ტაიმის შემდეგ ანგარიში ესტონელებს მიჰყავდათ და არც თამაშში უთმობდნენ რამეს მრისხანე მეტოქეს. ერთი სიტყვით, რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ „სკუადრა აძურა" მორიგ სირცხვილს ჭამდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა და ამაში ლომის წილი **ანტონიო კასანოს** მიუძღვის. დიახ, კასანოს, ფეხბურთელს, რომელიც **მარჩელო ლიპის** ათვალწუნებული ჰყავდა და ეროვნულ გუნდს არ აკარებდა.

მეორე ნახევარი იტალიელებმა შეტევებში გაატარეს, რადგან ერთბურთიანი ფორა ჰქონდათ ამოსაქაჩი. ამასთან, მხოლოდ გამარჯვება აძლევდათ ხელს, რადგან ესტონელებთან თუნდაც გასვლაზე მიღწეული ფრე, ბუნებრივია, რომ წარუმატებლობად ჩაითვლებოდა. „აძურამ" მდგომარეობა სამი წუთის ინტერვალში გამოასწორა - 59-ე წუთზე ანტონიო კასანომ თავური დარტყმით გაქვითა ანგარიში, 62-ეზე კი **ლეონარდო ბონუჩის** გაატანინა, ვისაც შესანიშნავად უპასა და ამ უკანასკნელს ისღა დარჩენოდა, თანაგუნდელები წინ გაეყვანა. ბონუჩის გოლი გადამწყვეტი აღმოჩნდა და იტალიის ეროვნულმა ნაკრებმა პირველი სამი ქულა ჩაიწერა აქტივში. მომდევნო პაექრობას აპენინელები ფარერის კუნძულებთან გამართავენ და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი, გნებავთ სასწაული არ მოხდა, სულაც ექვს ქულას მოუყრიან თავს. მიუხედავად იმისა, რომ ესტონელთა და ფარერელთა ძლევა დიდი ვერაფერი სატრაბახოა, ზეზიდეზ მოპოვებულმა ორმა გამარჯვებამ იტალიელებს, წესით, ოდნავ მაინც უნდა გამოუკეთოს ხასიათი - ბოლო პერიოდში ხომ „აძურა" მუდმივად აწბილებს გულშემატკივრებს.

ნამატჩევს, ჟურნალისტებისთვის **დანიელე დე როსიმ** მოიცალა და შემდეგი კომენტარი გააკეთა: *„პირველ ნახევარში ძალიან ცუდად ვითამაშეთ და დავმარცხდით კიდეც. შესვენებაზე საშინელ ხასიათზე ვიყავით და ერთი სული გვქონდა, როდის დავბრუნდებოდით მოედანზე, რომ მდგომარეობა რაც შეიძლება მალე გამოგვესწორებინა. საბედნიეროდ, დასახულ მიზანს მივაღწიეთ და პირველი სამი ქულა ჩავიწერეთ აქტივში. ამაში ლომის წილი კასანოს მიუძღვის, რომელმაც შესანიშნავად იასპარეზა და ყველას დაანახვა, რომ ნაკრებისთვის უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია. ყველაზე ნიჭიერია ჩვენს შორის და არაორდინარული გადაწყვეტილებების მიღება შეუძლია, რაც თანამედროვე ფეხბურთში ძალიან ფასობს. მთავარია, ასევე გავაგრძელოთ და თითოეულ შეხვედრაში ქულათა მაქსიმუმისთვის ვიბრძოლოთ."*

ჩეზარე პრანდელი: *„მებრძოლი ხასიათი გამოვავლინეთ, არ გავტყდით და ეს უკვე ძალიან კარგია. თუმცა, თუ სუფთა სათამაშო კომპონენტებზე გავამახვილებთ ყურადღებას, წუნი ძალიან ბევრი იყო და შესაბამისად, სამუშაო თავზესაყრელად გვაქვს. კასანო? - ბრწყინვალე ფეხბურთელია, ეს ადრეც ვიცოდით და კიდევ ერთხელ დავრწმუნდით. საჭირო დროს აიღო თამაში თავის თავზე და დიდწილად განაპირობა ის, რომ სამი ქულა მოვიპოვეთ."*

ლაშა წიკლაური

ანტონიო კასანოს გოლს ულოცავენ

ჰოლანდიამ გაინავარდა

მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ, ჰოლანდიის ეროვნული ნაკრების მიმართ ინტერესი ერთიორად გაიზარდა, რაც სრულიად ბუნებრივია. **ბერტ ვან მარვიიკის** შეგირდებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი წარმატებით დაიწყეს და სან მარინო მისსავე მოედანზე გამანადგურებელი ანგარიშით დაამარცხეს.

ჰოლანდიელთა თავკაცი პრაქტიკულად იმავე შემადგენლობას ენდო, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატზე თავი საუკეთესო კუთხით წარმოაჩინა, თუმცა მცირე ცვლილებები მაინც იყო. მაგალითად, კვლავ ვიხილეთ ნარინჯისფერი მაისურით **რუუდ ვან ნისტელროი**, რომელიც გერმანიის ბუნდესლიგაში შესანიშნავად ასპარეზობს. მატჩის გმირი კი **კლაას იან ჰუნტელაარი** გახდა, რომელმაც სამი გოლი გაუტანა სან მარინოს და ეროვნული გუნდის ძირითად შემადგენლობაში ასპარეზობაზე სერიოზული განაცხადი გააკეთა. სასტარტოში ვიხილეთ **ელია**, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატზე მეტწილად სათადარიგოთა სკამზე უწევდა ჯდომა - მის ნაცვლად კი მეორე ნახევარში თამაშში კიდევ ერთი ახალგაზრდა ფეხბურთელი, **იბრაჰიმ აფელაი** ჩაერთო. ერთი სიტყვით, ნაცნობი სახეები ვიხილეთ და რა გასაკვირია, რომ მუნდიალზე თავგამოჩენილმა ჰოლანდიამ სუსტი მეტოქე ბეჭებზე გააკრა. ნამატჩევს, ბერტ ვან მარვიიკი კმაყოფილი გახლდათ:

„საერთოდ, საფეხბურთო ფორუმების შემდეგ, დიდია შანსი, რომ ჩავარდნა დაგეწყოს, მაგრამ საბედნიეროდ, ამის ნიშნები არ არის. მიუხედავად იმისა, რომ მეტოქე გრანდთა კატეგორიიდან არ გვყავდა, დიდი ანგარიშით გამარჯვებამ მაინც დიდი სიხარული მოგვიტანა. ანგარიშზე მეტად კი იმან გამახარა, რომ თამაშის ხარისხი მაღალი იყო და ფეხბურთელები საუკეთესო კუთხით წარმოჩნდნენ."

ლაშა წიკლაური

ჰუნტელაარმა სამჯერ გაიტანა

შალკეს მთავარ მწვრთნელ ფელიქს მაგათს გუნდში ჯერჯერობით ქაოსი აქვს

ინტერვიუ

ფელიქს მაგათი

მეჯი რა ვქნა, პარაკირი გავიკეთო?

დესპოტ ფელიქსს ყენია აღარც ახსოვს

„შალკეს“ მთავარ მწვრთნელ ფელიქსს მაგათს დღეისათვის განაცხადში 37 ფეხბურთელი ყავს. ამიტომაც დაიწყო საუბრები იმის შესახებ, რომ გელზენკირხენულ კლუბში დომხალია. „დესპოტმა ფელიქსმა“ ზაფხულში სატრანსფერო ბაზარზე ძალიან იაქტიურა, რის გამოც ბოლო დროს ხშირად აკრიტიკებენ. არადა, მას სჩვევია განაცხადში ბევრი ფეხბურთელის ყოლა - ასე იყო „ვოლფსბურგშიც“, რომელიც მაგათმა სენსაციურად გააჩემპიონა. ეს სეზონი კი მისთვის, მიუხედავად მილიონების დახარჯვისა, ძალიან ცუდად დაიწყო - 2 წაგება 2 ტურის შემდეგ. მოკლედ, ჩვენს გერმანელ კოლეგებს ფელიქსთან ბევრი კითხვა დაუგროვდათ. ინტერვიუ, რომელსაც ქვემოთ გაეცნობით, გუშინ „ბილდში“ გამოქვეყნდა. მაგათი შემადგენლობას მიმოიხილავს და ფეხბურთელებზე ამომწურავად საუბრობს, ტრავმირებულ ლევან ყენიას კი სამწუხაროდ, ერთხელაც არ ახსენებს...

- ჰერ მაგათ, „ბაიერნის“ სპორტულმა დირექტორმა კრისტიან ნერლინგერმა არაერთხელ „გაგკრათ კბილი“ იმის გამო, რომ სატრანსფერო პერიოდის ბოლო დღეს ძალიან ბევრი ფული დახარჯეთ და საერთოდ, ზაფხულში უამრავი ფეხბურთელი შეიძინეთ. ნერლინგერმა თქვა, „შალკემ“ ჯერარნახული აქტიურობა გამოიჩინა, მაგრამ არა მგონია, რომ ამით რამეს მიაღწიოსო...

- ნერლინგერი არ არის ერთადერთი, ვინც ამის გამო გამაკრიტიკა. მიუხედავად ამისა, მე მაინც ვფიქრობ, რომ ის მისი თანამოაზრენი ცდებიან. ის ამბავი, რომ „შალკე“ ზაფხულში სატრანსფერო ბაზარზე ძალიან იაქტიურებდა, ჯერ კიდევ ივნისში გადაწყდა, როცა მე სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე კლემენს ტიონისისგან მივიღე თანხმობა იმაზე, რომ ტრანსფერებში „რეალმა“ 18 მილიონი ევრო მოითხოვა. ეს კი ზედმეტად მეტი იყო იმასთან შედარებით, რისი გადახდაც ჩვენ გვსურდა.

- მიშიმოვიჩი?

- წინა ორშაბათს, ერთმა აგენტმა დამირეკა და მითხრა, თუ „შალკე“ მიშიმოვიჩის სანაცვლოდ ჯერმეინ ჯონსს დათმობს, ტრანსფერი შედგებაო. ჯონსის დათმობა კი არ მინდოდა. თუმცა მიშიმოვიჩის ყიდვა იმდენად მსურდა, რომ „ვოლფსბურგს“ რამდენიმე ვარიანტი შევთავაზე. არა იმიტომ, რომ ზვიეზდანი ხურადოზე კარგი ფეხბურთელია, არამედ იმის გამო, რომ ის ძალიან კარგად იცნობს ბუნდესლიგას, ესპანელს კი გერმანიასთან შესაგუებლად დრო დასჭირდება. მაგრამ ტრანსფერი მაინც არ განხორციელდა, რადგან „ვოლფსბურგს“ მაინცდამაინც არ უნდოდა, რომ ბოსნიელი გამთამაშებელი უშუალო კონკურენტისთვის დაეთმო.

- დარწმუნებული ხართ, რომ ხურადოს ტრანსფერი გაამართლებს?

- ასი პროცენტით დარწმუნებული ვერაფერში ვიქნები. ისე კი, ძალიან მიხარია, რომ ის და ჰუნტელაარი „შალკეში“ გადმოვიდნენ. ორივე უმაღლესი კლასის ფეხბურთელია და მჯერა, რაულს ორივე კარგად დაეხმარება. ჰუნტელაარის ამოცანა მარტო გოლების გატანა კი არ არის, არამედ ისიც, რომ მცველების ყურადღება მიიქციოს და რაულს დერეფნები გაუთავისუფლოს. პირველ ორ ტურში ესპანელმა გოლეადორმა იმიტომ ითამაშა ცუდად, რომ მეტოქე გუნდის ყველა მცველი მასზე იყო ორიენტირებული და გასაქანი არ მისცეს. ახლა კი ჰუნტელაარიც გვყავს, რომელიც ასევე მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო ფორვარდია. თუმცა მიუხედავად ყველაფრისა, იმას მაინც ვერ დავიჩემებ, რომ აუცილებლად წარმატებული სეზონი გვექნება.

- ეს რას ნიშნავს? მაინც თავს იზღვევთ?

- თავის დაზღვევა აქ არაფერ შუაშია. ჯერ არ ვიცი, როგორი რეაქცია ექნებათ ძველ ფეხბურთელებს და როგორ შეეწყობიან ახალ თანაგუნდელებს ის მოთამაშეები, რომლებიც ვიყიდეთ.

- ფაქტია, რომ რაკი პირველ ორ ტურში ორივე თამაში წააგეთ, ექსპერიმენტების დროც აღარ გაქვთ. „შალკეს“ სასწრაფოდ სჭირდება შედეგი.

- „ჰამბურგთან“ წაგებას (1:2) ტრაგიკულად ნამდვილად არ აღვიქვამ. სამაგიეროდ, ვფიქრობ, რომ ბენედიქტ ჰოვედესს იმ მატჩში წითელი ბარათი რომ არ მიეღო, არც „ჰამბურგთან“ დავმარცხდებოდით და რაკი ჰოვედესი „ჰანოვერთანაც“ გვეყოლებოდა, აუცილებლად მოვიგებდით. მიმაჩნია, რომ ჰოვედესი „ჰამბურგთან“ უსამართლოდ იქნა გაძევებული, მაგრამ რას ვიზამთ. იმაში კი ნამდვილად გეთანხმებით, რომ ახლა „შალკეს“ გამარჯვებების სერია სჭირდება.

- ალბათ იმაშიც დამეთანხმებით, რომ „შალკეს“ დაცვაში ქაოსი აქვს. რას ფიქრობთ კრისტოფ მეტცელდერზე? ბევრი მიიჩნევს, რომ ეს უკანასკნელი უმაღლეს დონეზე ვეღარასოდეს ითამაშებს.

- მართალია, მეტცელდერს ახლა ცუდი ფაზა აქვს, მაგრამ მე მაინც დარწმუნებული ვარ, რომ კრისტოფი მალე ათამაშდება. მეტცელდერი ჩვენი უკანა ხაზის სტაბილიზატორი და მთავარი ორგანიზატორი უნდა იყოს. პირადად მე მის შესაძლებლობებში ეჭვი არ მეპარება. კრისტოფი ძალიან მაგარი მცველია და აი ნახავთ, სულ მალე ყველას დაუმტკიცებს, რომ მისი ჩამოწერა ნაადრევი იყო.

- არა მარტო დაცვაში, „შალკეს“ პირველ ტურებში ფაქტობრივად ყველა პოზიციაზე გაუჭირდა. ხომ არ ფიქრობთ, რომ ერთბაშად ზედმეტად ბევრი რამ შეცვალეთ?

- თუ გახსოვთ, შარშან მიუნხენის „ბაიერნშიც“ ძალიან ბევრი რამ შეცვალეს და მერე რეკორდმაისტერს დიდი დრო დასჭირდა იმისათვის, რომ კარგად ათამაშებულიყო. სამაგიეროდ, „ბაიერნი“ ბოლოს გერმანიის ჩემპიონი გახდა. „შალკეს“ რეალური მიზანი ამ სეზონში ის არის, რომ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი დავძლიოთ და გაისად ისევ ჩემპიონთა ლიგაში ვითამაშოთ. მაგრამ ნურც იმას გამოვრიცხავთ, რომ სამეულში ვეღარ მოვხვდეთ და თუნდაც ევროპის ლიგით მოგვიხდეს დაკმაყოფილება.

- ხუმრობთ? გასულ სეზონში „შალკემ“ მეორე ადგილი დაიკავა, ახლა კი ხუთეულში მოხვედრით უნდა დაკმაყოფილდეთ? ეს ხომ რეგრესი იქნება მიუხედავად დახარჯული მილიონებისა? თუ ასე მოხდა, ნაღდად „შალკეს“ დატოვება მოგიწევთ...

- „შალკესთან“ ოთხწლიანი კონტრაქტი იმიტომ გავაფორმე, რომ ოთხწლიანი გეგმა მაქვს. იმისათვის, რომ ჩემპიონები რაც შეიძლება სწრაფად გავხდეთ, ვალებში ნამდვილად ვერ გადავვარდებით. „ვერცხლის სინის“ გამო ჰარაკირის ხომ არ გავიკეთებ! კლუბი ვალებშია და მე ამ ვალებს ვებრძვი იმისათვის, რომ შევქმნა ბაზა, ჯანსაღი ვითარება ჩემპიონობისთვის. სამწუხაროდ, „შალკე“ ფინანსურად ჯერ არ არის ისეთი სტაბილური, რომ არიენ რობენის დარ ფეხბურთელში უცებ 30 მილიონი გადავიხადოთ - როგორც ეს შარშან „ბაიერნმა“ გააკეთა.

- თქვენი მეკარე მანუელ ნოიერი საბოლოოდ დასახელდა გერმანიის ნაკრების პირველ კიპერად. იოახიმ ლიოვის გადაწყვეტილებით კმაყოფილი ხართ?

- რა თქმა უნდა, მიხარია, რომ ნოიერი პირველი მეკარეა. ეს მისთვისაც კარგია და ცხადია, ჩვენთვისაც. ჩემი აზრით, ნოიერი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა.

- და რას ფიქრობთ გერმანიის ნაკრების კაპიტნის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებაზე?

- ეს ლიოვის გადასაწყვეტი იყო და ისე მოიქცა, როგორც უნდოდა...

გოტფრიდ ლენცი

ქველმოქმედება

კარაგერი: პენალტი საკუთარ კარში!

ჯეიმი კარაგერის ბენეფისზე

ჯეიმი კარაგერმა მაიკლ ოუენს „ენფილდ როუდზე“ „ლივერპულის“ ფორმით დაბრუნებისთვის, ხოლო **ფაბიო კაპელოს სტივენ ჯერარდის** შეკრებიდან ერთი დღით გათავისუფლებისთვის დიდი მადლობა გადაუხადა. „ლელოს“ მკითხველს ადრევე მოვახსენეთ, რომ ლივერპულში კარაგერის ბენეფისი უნდა გამართულიყო. შემოსული თანხა საქველმოქმედო საქმეებზე დაიხარჯება.

თავად კარაგერმა ამ შეხვედრაში ორი გოლი გაიტანა, ორივე პენალტით, თუმცა ერთი ცოტა უცნაური გამოვიდა, რადგან ის ვეტერანმა საკუთარ კარში შეაგდო. კაცს თავისი გუნდის კარში პენალტი დაერტყას, გაგონილა? რატომ მოხდა ასეთი რამ, ოდნავ ქვემოთ გეტყვით, მანამდე კი მოგახსენებთ, რომ ჯამში „ლივერპულმა“ „ევერტონს“ 4:1 აჯობა. გამარჯვებულთაგან დანარჩენი სამი გოლი გაიტანეს **ლუის გარსიამ, ჯო კოულმა** და **ნათან ეკლესტონმა.**

„ლივერპულის“ ყოფილ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ახლანდელ თავდამსხმელს, 2001 წლის „ოქროს ბურთის“ ლაურეატ ოუენს „ენფილდ როუდზე“ მთლად გულთბილად არ დახვდნენ. როგორ არა, ტაშიც დაუკრეს, მაგრამ უარყოფითი რეაქციაც გვარიანი იყო. აი, ეროვნული გუნდის შეკრებიდან საგანგებოდ ამ თამაშისთვის გამოსულ ჯერარდს კი იცოცხლეთ, ისეთი სიყვარული აგრძნობინეს. ცნობისთვის: ჯერარდმა მხოლოდ პირველი 10 წუთი ითამაშა, მაგრამ თავად ეს ჟესტი იყო ძალიან მრავლისმეტყველი. რაც შეეხება „ლივერპულის“ პენალტს, კარაგერის თქმით, მას უნდოდა იგი ოუენს დაერტყა, თუმცა გადაწყვეტილება ხალხმა შეაცვლევინა:

„მსაჯს ვთხოვე, პირველ ტაიმში ჩვენს სასარგებლოდ პენალტი დაენიშნა, რადგან მინდოდა მაიკლს გოლი გაეტანა. სამწუხაროდ, ვერ გავითვალისწინე, რომ პენალტის შემთხვევაში ხალხი გოლის გატანას მე მომთხოვდა. როცა დავინახე, როგორ ითხოვდნენ ტრიბუნები, რომ 11-მეტრიანი მე დამერტყა, მივხვდი, მაიკლი ბურთთან რომ მისულიყო, მოკლავდნენ. სხვა გზა აღარ მქონდა, პენალტის ნიშნულთან მივედი, მაგრამ ახლა თავად შემეშინდა - რომ ვერ გამეტანა, გულშემატკივარს ეს ამბავი სამუდამოდ დაამახსოვრდებოდა. ამიტომაც ვიაფერისტე: მეკარეს ვაჩვენე, ვითომ ბურთს ვასწორებდი, სინამდვილეში კი დავარტყი“.

...და ახლა, მოდი, მატჩის ყველაზე დიდ ინტრიგას, საკუთარ კარში პენალტის დარტყმასაც ავხადოთ ფარდა. კარაგერმა, რომელსაც „ლივერპულის“ ერთგულების 14 წელი შეუსრულდა, თქვა: *„ბავშვობაში „ევერტონის“ თავგადაკლული ფანი ვიყავი და ვოცნებობდი, ფეხბურთელი რომ გავხდებოდი, „ლივერპულისთვის“ გოლი გამეტანა. ასე რომ, დღეს მე ბავშვობის ოცნება ავისრულე“.*

32 წლის ვარსკვლავს დიდი იმედი აქვს, რომ ბენეფისმა მის ფონდს, რომელსაც 23 ეწოდება, მილიონ ფუნტზე მეტი მოუტანა. შეხვედრის შემდეგ გაიმართა გალა ვახშამი, რომელზეც ასევე აგროვებდნენ შემოწირულობებს.

ილია ბაბუნაშვილი

უცხოური ფეხბურთი

ევრო 2012 გამოხმაურება

ჯერმაინ დეფოს გოლი

ყველამ თავისი საქმე იცის

ჯერმაინ დეფო ამ დღეებში საზარდულის ტკივილისგან თავის დასაღწევად საოპერაციო მაგიდაზე უნდა დაწოლილიყო, მან კი გამოაცხადა, ნაკრებში ვითამაშებო და ბულგარეთს სამი გოლი გაუტანა. ერთი სიტყვით, „სფურზის" თავდამსხმელმა ინგლისელთა თავკაცს **ფაბიო კაპელოს** დაუვიწყარი საქმე გაუკეთა, რადგან „ტოტენჰემი" - როგორც კლუბებს სჩვევიათ - თავდამსხმელს დაჟინებით მოუწოდებდა, სანაკრებო თამაში გაეცდინა და ემკურნალა. დეფომ მესამე, 61-ე და 86-ე წუთებზე გაიტანა, ინგლისელთა მეოთხე გოლი კი **ადამ ჯონსონმა** შეაგდო - ეს „მანჩესტერ სიტის" ფეხბურთელის პირველი გოლი გახლდათ ნაკრების შემადგენლობაში. და ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ ოთხივე შემთხვევაში ასისტენტობა ინგლისელთა მთავარმა ვარსკვლავმა **უეინ რუნიმ** გასწია.

„მანჩესტერ სიტი" ვახსენეთ და არ შეიძლება არ დავძინოთ, რომ ჩინებულად ითამაშა მეკარე **ჯო ჰარტმაც**, რომელმაც კარი რამდენიმეჯერ იხსნა და გაზეთები აალაპარაკა, ნეტავ მსოფლიოს ჩემპიონატზე ეს ბიჭი ეთამაშებინათო. მაგრამ, ამ ყველაფრის მიუხედავად, კაპელოს სახეზე კუნთი არ შეტოკებია, მატჩის შემდეგ ჟურნალისტების წინაშე უდრტვინველი წარდგა და განაცხადა, ბევრი არაფერი შემიცვლია, ბიჭები თითქმის ისევე ვათამაშე, როგორც სამხრეთ აფრიკაში ვათამაშებდიო. ჟურნალისტებმა ყურადღება მიაქციეს იმასაც, რომ იტალიელმა დიდი ანგარიშით მოგების მიუხედავად, მის მლანძღველებსა და კრიტიკოსებს (ზოგმა სულ ვირი ეძახა და ფოტოზე გრძელი ყურებიც მიახატა) ნიშნი არ მოუგო. მათი აზრით, კაპელო ასე იმიტომ მოიქცა, რომ მიხვდა, წარმატების მიუხედავად, გუნდს მაინც ჰქონდა შეცდომები, წინ კი შვეიცარიასთან თამაშია... როგორც ჩანს, მწვრთნელმა საქმის ნაბიჯ-ნაბიჯ გამოსწორება ამჯობინა პირველსავე შესაძლებლობაზე ხმაურსა და კრიტიკოსთა ლანძღვას. ეს საქმე მერეც მოესწრება.

შეგახსენებთ, რომ ბულგარელებთან მატჩის წინ იტალიელმა ჟურნალისტებს უთხრა: ჩემგან გმირიც თქვენ შექმენით და მონსტრიც, თავად კი არაფერ შუაში ვარო. მატჩის შემდეგ პირველი კითხვა, რომელიც მას დაუსვეს, კვლავ ურჩხულსა და გმირს ეხებოდა. ახლა რომელი ბრძანდებითო, ჰკითხეს ინგლისელთა თავკაცს:

„მე არასდროს ვიცვლები, - უპასუხა მან, - იცით, რა მახსენდება? 20 წლის რომ ვიყავი, ტრავმებმა დამტანჯა და გაზეთებმა დაწერეს, კაპელოს კარიერა დასრულდაო. მე ამ გამონათქვამებმა ვერ გამტეხა, მუხლჩაუხრელად მუშაობა განვაგრძე და დიდხანს ვითამაშე ფეხბურთი. ახლაც იგივე მეორდება. თქვენ ძალიან კარგად ხვდებით, ვისზეც წერთ და რასაც წერთ. ალბათ, დილაობით, წვერის პარსვისას სარკეში რომ იხედებით, საკუთარ თავს იმასაც ეკითხებით, მართალი იყავით თუ არა. მე, როგორც მწვრთნელი, ყველა ღონეს ვხმაროობ, საქმე რაც შეიძლება კარგად გავაკეთო. ხან ვცდები, ხან სწორ გადაწყვეტილებებს ვიღებ - დღესაც ასე იყო. რაც შეეხება თქვენს სტატიებს, მე ვერაფერს ვიზამ. თქვენი საქმისა თქვენ იცით".

და მიუხედავად იმისა, რომ მწვრთნელის მტკიცებით გუნდი ძველებურად თამაშობს, მან ხალხის ყურადღება რუნის ოდნავ გადახალისებულ ამპლუაზე მაინც გაამახვილა: *„რუნი განსხვავებულ პოზიციაზე გადავიყვანე. თამაშის წინ ავუხსენი რაც მინდოდა მისგან. ის ორი ნახევარმცველის წინ უნდა დამდგარიყო, ამ ადგილიდან დაეწყო წინ მოძრაობა, თავისუფალი ადგილები ეძებნა. მან დავალებას საუცხოოდ გაართვა თავი. რუნი ძალიან მაღალი დონის ფეხბურთელია.*

კიდევ, მინდა მეკარე ჰარტი შევაქო. მან ორჯერ დიდებულად ითამაშა. ის ღირსია, ინგლისის ნაკრების ღირსება დაიცვას".

მაგრამ, თუ გუნდმა ძირითადად იგივე ფეხბურთი ითამაშა, რასაც მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშობდა, რატომ ვერ მიაღწია იქ, სამხრეთ აფრიკაში ისეთ შედეგებს, ახლა რომ აღწევს? ამაზე კაპელოს მარტივი პასუხი აქვს:

„მე ამის შესახებ ბევრჯერ ვთქვი, მაგრამ ვატყობ, ყურს არავინ მიგდებს. დღეს ფეხბურთელები დასვენებულები არიან, ხოლო დასვენებული მოთამაშე ყოველთვის უფრო მწვავეა. თანამედროვე ფეხბურთში ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს".

უხეში ლიტველები

ლიტვა-შოტლანდიის მატჩში ბალტიისპირელები მომეტებულად უხეშობდნენო...

შოტლანდიის ნაკრების აღშფოთებულმა მწვრთნელმა **კრეიგ ლევინმა** ლიტველების ფეხბურთი და შეხვედრის თურქი მსაჯი **ქუნიეთ ჩაქირი** გააკრიტიკა. მოგეხსენებათ, ყოფილი საბჭოელებისა და სქოთების შეხვედრა 0:0 დასრულდა. სტუმართა მწვრთნელი დარწმუნებულია, რომ ასეთ შედეგს მასპინძლებმა ხოლოდ და მხოლოდ ხშირი და დაუსჯელი უხეშობის წყალობით მიაღწიეს. ცნობისათვის: მატჩის მსვლელობისას ჩაქირმა ხუთჯერ ამოიღო ყვითელი ბარათი - სამჯერ მასპინძლები გააფრთხილა, ხოლო ორჯერ სტუმრები.

საერთოდ, შოტლანდიელებსა და ლიტველებს ერთმანეთი გულზე არ ეხატებათ. სამი წლის წინ **საულიუს მიკოლიუნასმა** სქოთთა საჯარიმოში თეატრალური წაქცევით მოიპოვა თერთმეტმეტრიანი დარტყმა, რასაც მაშინ დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა და ეს ამბავი ახლანდელი შეხვედრის წინ თავიდან ამოტივტივდა. ლევინმა, რომლის გუნდიც სამშაბათს ლიხტენშტაინს მასპინძლობს, განაცხადა:

„მთელი შეხვედრის განმავლობაში ჯარიმა ჯარიმას მოსდევდა და ამან მაფიქრებინა, რომ ლიტველებს ერთადერთი გეგმა ჰქონდათ, რამენაირად ჩაეშალათ ჩვენი თამაში. სტატისტიკა რომ ნახოთ, გაოცდებით, ყოველ ლიტველ ფეხბურთელს ხუთჯერ-ექვსჯერ აქვს წესი დარღვეული და ამდენი დარღვევის მიუხედავად, მსაჯს არაფრით დაუსჯია. თან, ამ ჯარიმებს შორის რამდენიმე საკმაოდ უხეშიც იყო".

ლიტველთა და შოტლანდიელთა შეხვედრაში იყო რამდენიმე უსიამოვნო მომენტიც - **ალან ჰატონმა**, მაგალითად, **კესტუტის ივასკევიჩუსის** უხეშობას „მოძალადეზე გაწევით" გასცა პასუხი. ლევინმა თავისი ფეხბურთელი გაამართლა: *„თამაშის მიწურულს ჰატონის წინააღმდეგ ძალიან იუხეშეს და არაფერი... არადა, თამაში რომ დაიწყო სკოტ ბრაუნს პირველსავე დარღვევაზე ამოუღეს ყვითელი ბარათი. ერთი სიტყვით, ისეთი გრძნობა დამრჩა, რომ მსაჯი ჩემი ბიჭების დაშავებას მაინცდამაინც არად აგდებდა. ალან მაკგრეგორს მთელი თამაშის განმავლობაში ერთხელ მოუხდა ბურთის მოგერიება და ისიც იმიტომ დაურტყეს, რომ მანამდე დევიდ ვეირი უხეშობით ჩამოიშორეს. ასეთ დროს სიტუაცია მსაჯმა უნდა აკონტროლოს, ის კი ამ შეხვედრაში ლიტველების დასჯას ერიდებოდა".*

ქართული ბიბლიოთეკა

სკანდალი

ესეც ბოლტონელი მეძავი...

ასეთ დროს რა უნდა თქვა, ოხ, ეს მილიონერი ფეხბურთელები? რა შუაშია... აბა, ოხ, ეს ახალგაზრდები? ოხ, ეს მოღალატე ქმრები? ოხ, ეს ინგლისური მასმედია? ოხ, ეს ქვეშქვეშა უეინ რუნი? ოხ, ეს სულელი უეშმაკო ბიჭი? მოკლედ, ვერაფერი მოვიფიქრეთ და ამიტომ ამ საქმეს თქვენ განდობთ, ჩვენ კი მხოლოდ ამბავს გეტყვით: ცნობილი გახდა და დაინერა, რომ როდესაც რუნის მეუღლე **კოლინი** ფეხმძიმედ იყო, „მანჩესტერ იუნაიტედისა" და ინგლისის ნაკრების ფორვარდი ოთხი თვის განმავლობაში შვიდჯერ ეწვია მავან მეძავს **ჯენიფერ ტომპსონს**, რომელიც ღამეში 1200 ფუნტს იღებს. თან, ამ ამბის წერისას „დეილი მეილმა" პირველსავე წინადადებებში ჩაურთო, რომ ლაპარაკია იმ რუნიზე, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატზე ცუდი თამაშით ინგლისელ ხალხს გული ატკინა.

იქვე, სტატიის დასაწყისში, გაზეთმა ხალხს შეახსენა, რომ რუნი კოლინს ცოლად მოყვანამდე ექვსი წელიწადი ხვდებოდა, ხოლო ორი წლის წინ წყვილმა იქორწინა. მერედა, მისტერ და მისის რუნები საოჯახო ყოველდღიურობაში კი არ ჩაიკარგნენ, არამედ როგორც „სელებრითი" წყვილმა გაზეთების (თან, არა მარტო სპორტულ გვერდებზე) ფურცლებზე მოიპოვეს მუდმივი ადგილი. და აი, ასეთი მდგომარეობის კაცს არ ეყო ჭკუა თუ მოთმინება, რომ თავისი ოჯახი და მასთან ერთად საუცხოო ფინანსური თუ სოციალური მდგომარეობა დარტყმის ქვეშ არ დაეყენებინა. გაფიცებთ ყველაფერს, რისი გულისთვის?

რისი და იმის გულისთვის, რომ 21 წლის მეძავთან ერთად ქალაქ მანჩესტერის ყველაზე ძვირ სასტუმროში ევლო და მასთან ერთად დრო ღამის კლუბებშიც ეტარებინა. ფეხბურთელის ვექილებმა ჭორების გავრცელებისთანავე სცადეს საქმეში ჩარეულიყვნენ და საზოგადოება რამენაირად დაერწმუნებინათ, რომ ეს ყველაფერი ტყუილია, მაგრამ ამის გაკეთება ძნელი გამოდგა, რადგან რუნი მეძავებთან წანწალში იდრეც გახლდათ შემჩნეული - 2004 წელს ტაბლოიდები წერდნენ, რომ მაშინ საკმაოდ ახალგაზრდა რუნი თავისი მშობლიური ქალაქის, ლივერპულის საოსკიპოებში დაძვრებოდა და 48 წლის ბებიასთანაც (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) ჰქონდა ურთიერთობა. კოლინმა, როგორც ჭკვიანმა ქალმა, რომელსაც კარგად ესმის როგორ უნდა შეინარჩუნოს „სელებრითის" სტატუსი, თავის დროზე წიგნიც კი დაწერა და შიგ ამ ამბის შესახებაც დაწერა: *„ამ ამბავმა ისე დამზაფრა, რომ ველარაფერზე ვფიქრობდი. ის, რასაც აქ ვწერ, აქამდე არსად მითქვამს: იმ პერიოდში უეინს ახლოს ვერ ვეკარებოდი".*

დღეს, როდესაც რუნის ახალი თავგადასავლების შესახებ გახდა ცნობილი, ბევრმა იფიქრა, რომ ფეხბურთელმა მსოფლიოს ჩემპიონატიც არეული ოჯახური ცხოვრების გამო ჩააფლავა. ბოლტონელმა მეძავმა ჯენიფერ ტომპსონმა კი ტაბლოიდებს უთხრა:

„უეინი უხამს მესიჯებს მიგზავნიდა და ძალიან დიდ ფულს მიხდიდა. მას აშკარად მოსწონდა ჩვენი ურთიერთობები და სულაც არ ადარდებდა, სად იყო და რას აკეთებდა ამ დროს მისი ფეხმძიმე ცოლი. მგონი ვარსკვლავობა თავში აქვს ავარდნილი, ჰგონია, რომ ხელშეუხებელია. მე თავად ქალი ვარ და ნამდვილად არ მინდა, რომ ქმარი ასე მომექცეს, მით უფრო მაშინ, როდესაც ფეხმძიმედ ვიქნები".

„დეილი მეილში", რასაკვირველია, სხვა დეტალებიც წერია. დაწვრილებით გახლავთ აღწერილი როგორ და სად გაიცნეს რუნიმ და მეძავმა ერთმანეთი და რა მოხდა შემდეგ, მაგრამ, ვფიქრობთ, „ლელოს" მკითხველისთვის ეს უბრალოდ უინტერესოა.

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

● ბარსელონა

ახალი კონტრაქტები ალვეშსა და ბუსკეტს

„ბარსელონა“ მზადაა კონტრაქტი ორ ფეხბურთელს განუახლოს: ბრაზილიელ **დანი ალვეშსა** და **სერხიო ბუსკეტსს**. ბრაზილიელი მცველი ჯერჯერობით კვლავ ყველაზე ძვირადღირებულ შენაძენად ითვლება მსოფლიოში თავისი ამპლუის ფეხბურთელებს შორის - 2008 წელს „ბარსამ“ „სევილიას“ დანი ალვეშის სანაცვლოდ 34 მილიონი ევრო გადაუხადა. ალვეშის ახლანდელ კონტრაქტს „ბარსელონასთან“ ვადა 2012 წლის ზაფხულში ეწურება და ფეხბურთელმა არაერთხელ გამოთქვა სურვილი, გაახანგრძლივოს ურთიერთობა კატალონიურ გრანდთან. თავის მხრივ, „ბლაუგრანას“ პრეზიდენტი **სანდრო როსელიც** დიდად არის მოწადინებული მარჯვენაფლანგელი რაც შეიძლება დიდხანს დატოვოს გუნდში. „მარკა“ ამტკიცებს, რომ ხელშეკრულება დღე დღეზე განახლდება.

22 წლის სერხიო ბუსკეტსს „ბარსელონას“ თავკაცი უფრო გრძელვადიან და გაუმჯობესებულ კონტრაქტს უმზადებს. 90-იანი წლების „ბარსელონას“ გოლკიპერის, **კარლოს ბუსკეტსის** ვაჟი 2013 წლამდე ბარსელონელია, მაგრამ მისი ხელფასი ძალზე ცოტაა „ბარსელონას“ სხვა ლიდერებთან შედარებით, არადა, მსოფლიოს ჩემპიონი ასეთივე შეუცვლელი წევრია გუნდის, როგორც სხვა ლიდერები. როსელი ამ უსამართლობის გამოსწორებას უახლოეს დღეებში აპირებს.

● ამხანაგური მატჩის წინ

ესტებან კამბიასო: მივბაძოთ ბარსელონას და ესპანეთს!

არგენტინა-ესპანეთის საგამოფენო მატჩის წინ „ინტერისა“ და არგენტინის ნაკრების ნახევარმცველმა **ესტებან კამბიასომ** *განაცხადა, რომ თანამედროვე ფეხბურთში ესპანეთის ნაკრები და „ბარსელონა“ ყველასათვის მისაბაძი მაგალითია. „ნებისმიერმა უნდა მიბაძოს ესპანელებს და ითამაშოს მასე ან უკეთ, როგორც თამაშობს ეს ნაკრები. ვფიქრობ, „ფურია როხა“ და „ბარსელონა“ სწორედ ის ორი საფეხბურთო გუნდია, რომელიც მისაბაძი მაგალითი უნდა იყოს. ნეიტრალური გულშემატკივარი ყოველთვის უნდა მიდიოდეს ასეთი გუნდების თამაშზე, რათა ნამდვილი ფეხბურთი იხილოს. თამაშით სტილით, იდეით, სანახაობრიობით „ბარსელონა“ ყველა კლუბზე წინ დგას“*, - განუცხადა „ნასიონალს“ „ინტერის“ ნახევარმცველმა.

დიეგო მარადონასგან ათვალწუნებული ფეხბურთელი ნაკრებში ახალმა თავკაცმა, **სერხიო ბატისტამ** დააბრუნა - *„ჩვენი მწვრთნელის სურვილია, ეროვნულ ნაკრებში ისეთივე მენტალიტეტი ჩამოყალიბდეს, რაც „ბარსელონაში“ და ესპანეთის ნაკრებშია. ჩვენ გვსურს, რაც შეიძლება კარგად ვაკონტროლოთ ბურთი, როგორც მათ. ვფიქრობ, საამისოდ არანაკლები ნიჭი გაგვაჩნია“.*

● გამოკითხვა

ფორლანი: ჩემი ხმა ჩავის

მადრიდის „ატლეტიკოს“ ფორვარდმა **დიეგო ფორლანმა**, რომელიც გასული მუნდიალის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა, განაცხადა - მისი ნება რომ იყოს, წლის საუკეთესო ფეხბურთელისთვის განკუთვნილ „ოქროს ბურთს“ **ჩავი ერნანდესს** მისცემდა. *„ტყუილს ვერ ვიტყვი, ძალიან მინდა „ოქროს ბურთი“ მოვიგო, მაგრამ ჩემი ნება რომ იყოს, პრიზს ჩავის გადავცემდი, ის მართლაც საოცარი ფეხბურთელია“*, - განუცხადა „მარკას“ ურუგვაელმა.

ევროპის სიმბოლური ნაკრები

ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა საფეხბურთო საიტმა მსოფლიოში, GOAL.COM-მა ევრო 2012-ის შესარჩევი ციკლის I ტურის სიმბოლური ნაკრები შეადგინა. 4-1-3-2 ტაქტიკური სქემით რჩეულთა გუნდში მოხვდნენ: მეკარე **მანუელ ნოიერი** (გერმანია), მცველები: **ფილიპ ლამი** (გერმანია), **დანიელ მაესტროვიჩი** (შვედეთი), **ალექსანდრ მარტინოვიჩი** (ბელარუსი) და **კრეიგ კეტკარტი** (ჩრდილოეთ ირლანდია); საყრდენი ნახევარმცველი - **მირალემ პიანიჩი** (ბოსნია), შემტევი ნახევარმცველები: **ალიაქსანდრ ჰლები** (ბელარუსი), **იოსი ბენაიუნი** (ისრაელი) და **ანტონიო კასანო** (იტალია), ფორვარდები: **ჯერემეინ დეფო** (ინგლისი) და **ფერნანდო ტორესი** (ესპანეთი). როგორც ხედავთ, მხოლოდ გერმანიისა და ბელარუსის ნაკრებს ჰყავთ ორ-ორი წარმომადგენელი სიმბოლურ გუნდში.

ნიკოლოზ ნეფარიძე

● დერბების ისტორიიდან

კათოლიკურ-პროტესტანტული დუელი

ჩვენი *რუბრიკის დღევანდელ სტატიაში „სელტიკი“-“რეინჯერსის“ დერბის შესახებ მოგითხრობთ. შოტლანდიური ფეხბურთის გრანდთა დაპირისპირება საკმაოდ ადრინდელი პერიოდიდან, 1888 წლიდან იღებს სათავეს. მათი შეხვედრები მუდმივად „სამკვდრო-სასიცოცხლო“ ბრძოლაში მიმდინარეობს, რისი მიზეზი ისაა, რომ სპორტული ინტერესის გარდა მეტოქე გულშემატკივრებს შორის რელიგიური, პოლიტიკური და სოციალური წინააღმდეგობებიც არსებობს. უფრო კონკრეტულად რომ განვმარტოთ, „რეინჯერსს“ „ლოიალისტური“ პოლიტიკური იდეების მიმდევარი პროტესტანტები ქომაგობენ, ხოლო „სელტიკს“ კათოლიკი „რესპუბლიკელები“ და „ნაციონალისტები“. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ რელიგიური და პოლიტიკური წნეხის არსებობის გამო, გლაზგოური დერბი ჩრდილოეთ ირლანდიისა და ირლანდიის სახელმწიფოებშიც დიდად პოპულარულია. მატჩის დღეს უამრავი „აირიში“ სტუმრობს გლაზგოს. უმეტესობა კი „სელტიკს“ ქომაგობს. დერბის ერთ-ერთი თავისებურება სწორედ ის გახლავთ, რომ „სელტიკის“ ტრიბუნებზე შოტლანდიის დროშის ნაცვლად ირლანდიის სამფეროვანი ბაირაღები ფრიალებენ. ყოველივე ეს სტადიონზე შესანიშნავ ატმოსფეროს ქმნის და „კათოლიკურ-პროტესტანტული“ დუელის ყურებით ფეხბურთის მოყვარულები დიდ სიამოვნებას იღებენ.*

დერბის მეტსახელი

„სელტიკისა“ და „რეინჯერსის“ დაპირისპირება შოტლანდიაში „ოლდ ფირმის“ (ძველი ფირმა) სახელითაა ცნობილი. ამ თიკუნის წარმოშობის ზუსტი ისტორია ცნობილი არაა. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, 1888 წელს, პირველი დერბის დროს მინდორზე მყოფი და სათადარიგოთა სკამზე მჯდომი მეტოქე ფეხბურთელები ისე შეხმატკბილებულად ექცეოდნენ ერთმანეთს, რომ კაცი იფიქრებდა, ერთი ფირმის თანამშრომლები შეგობრულად აგორებენ ბურთსო. ზოგნი გაიძახიან, ეს მეტსახელი მე-20 საუკუნის დასაწყისში წარმოიშვა, როცა „სელტიკმა“ და „რეინჯერსმა“ ქვეყნის ჩემპიონატში დომინირება დაიწყესო. თუმცა, ეს ვერსია ცოტა არ იყოს, ლოგიკას მოკლებულია...

გულშემატ□ივარ□ ა შეტა□ება

„ოლდ ფირმის“ მატჩების დროს ტრიბუნები პირთამდე ივსება. სტატისტიკურად დადგენილია, რომ ყოველი სეზონის ბოლოს დერბიდან მიღებული შემოსავალი 120 მილიონ ფუნტს აღემატება. საქმე იმაშია, რომ „სელტიკი“ და „რეინჯერსი“ ჩემპიონატში 4-ჯერ ხვდებიან ერთმანეთს. გლაზგოელი თუ სხვა ბრიტანელი გულშემატკივრები ამ „სამკვდრო-სასიცოცხლო“ ბრძოლას მოუთმენლად ელიან და საქმე საქმეზე თუ მიდგა, არც მუშტი-კრივს ერიდებიან. ერთ-ერთი ადგილობრივი მონიტორინგული კომპანიის ინფორმაციით, დერბის დღეებში გლაზგოს საავადმყოფოებში მიყვანილ დაზარალებულთა რაოდენობა ზოგად მაჩვენებელს 9-ჯერ აღემატება. ჟურნალისტი, **ფრანკლინ ფოერი** კი წერს, რომ 1996 წლიდან 2003-მდე ამ გუნდების მატჩისას საშუალოდ რვა ადამიანი კვდებოდა, ხოლო ათასობით მათგანი სერიოზულად ზარალდებოდა.

1980 წელს შოტლანდიის თასის ფინალში „სელტიკმა“ მოძულე მეტოქე 1:0 დაამარცხა. მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ „პროტესტანტები“ სათამაშო მინდორზე შეცვივდნენ, სადაც მოწინააღმდეგე ფეხბურთელებს და მათ ქომაგებს შავი დღე აყარეს. ჯერჯერობით, ეს ინციდენტი სტადიონის მინდვრებზე მომხდარ ჩხუბებში ყველაზე ფართომასშტაბიანია. ასევე სერიოზული შეტაკება მოხდა 1999 წლის მაისში. ოლდ ფირმ-ის გუნდები ერთმანეთს „სელტიკ პარკზე“ ხვდებოდნენ. მატჩის მიმდინარეობისას თავიანთი ფეხბურთელების თამაშით უკმაყოფილო „სელტიკის“ ფანებმა მსაჯს მაშხალა გაარტყეს თავში, მერე კი ოთხი „კათოლიკე“ მოედანზე გადახტა და სამედიცინო დახმარების მოლოდინში მყოფი არბიტრის საცემრად გაეშურა. სამართალდამცავებმა მათი ლიკვიდაცია მოასწრეს და რამდენიმე წუთის შემდეგ თამაშიც გაგრძელდა.

გაშმაგებულმა „სელტიკის“ ქომაგებმა შეხვედრის დასრულებამდე მოცდა ამჯობინეს, ხოლო მერე უკვე „რეინჯერსის“ ფეხბურთელებს დაუწყეს მაშხალების სროლა და რომ არა კვლავ პოლიციის დროულად ჩარევა, ძალიან ბევრი ადამიანი დაზარალდებოდა. თუმცა, ყველაზე დიდი საშინელება 1971 წლის 2 იანვარს გამართულ დერბისას მოხდა. მოსისხლე მტრები ერთმანეთს „იბროქს სთედიუმზე“ (რეინჯერსის არენა) ხვდებონენ. სტადიონი გადავსებული იყო და უკმაყოფილო ბრიტანელები ლომებივით ბრდღვინავდნენ. მიზეზიც ჰქონდათ, რადგან მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა, ანგარიში კი 0:0 იყო.

სწორედ ამ დროს „სელტიკმა“ დაწინაურება შეძლო. „რეინჯერსელებს“ ყოველგვარი იმედი გადაეწურათ და ძალიან ბევრმა ნაადრევად იწყო სტადიონის დატოვება, მაგრამ ზედ საფინალო სასტვენის წინ მასპინძელთა ფეხბურთელმა, **კოლინ სტეინმა** წონასწორობა აღადგინა. სიხარულისგან შეშლილმა გულშემატკივრებმა თავიანთი ადგილების დაკავებაზე დაიწყეს ზრუნვა, რასაც ჭყლეტა მოჰყვა და 66 ადამიანი გარდაიცვალა, ხოლო 140 დაზარალებული სხვადასხვა ტრავმით ჰოსპიტლებში გადაიყვანეს...

უ□ვგოლიანი დერბები

გლაზგოურ დუელებში ბევრი ბურთი ხშირად გასულა. მეტიც, იყო შემთხვევები, მეტოქეებმა ერთმანეთის კარი რვაჯერ დალაშქრეს. თქვენის ნებართვით, ამ მატჩებს ციფრებში გაგაცნობთ: შოტლანდიის თასი, 16/02/1956, ანგარიში-4:4; პრემიერლიგა, 22/3/1986, ანგარიში-4:4; შოტლანდიის თასი, 6/2/1892, ანგარიში: 5:3 (სელტიკის სასარგებლოდ); პრემიერლიგა, 22/9/1894, ანგარიში: 5:3 (სელტიკის სასარგებლოდ); პრემიერლიგა, 14/12/1895, ანგარიში: 6:2 (სელტიკის სასარგებლოდ); პრემიერლიგა, 10/9/1957, ანგარიში: 6:2 (სელტიკის სასარგებლოდ); პრემიერლიგა, 27/8/2000, ანგარიში: 6:2 (სელტიკის სასარგებლოდ); ლიგის თასის ფინალი, 19/10/1957, ანგარიში: 7:1 (სელტიკის სასარგებლოდ). არ გეგონოთ, თითქოს „კათოლიკეებს“ თავიანთი მეტოქე „ყურებით“ ჰყავდეთ დაჭერილი.

მაგალითად, „რეინჯერსის“ ფანებს ზემოთ მოყვანილი ისტორიული ციფრები ნაკლებად აღელვებთ. ისინი ყოველთვის იმაზე ამახვილებენ ყურადღებას, რომ ქვეყნის ჩემპიონატი 51-ჯერ აქვთ მოგებული და „კათოლიკეებს“ პირველობა მხოლოდ 41-ჯერ დაუთმეს. გარდა ამისა, სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი სატრაბახოც გააჩნიათ.

საქმე იმაშია, რომ ამ გუნდებს შორის გამართულ 388 შეხვედრაში (ყველა ტურნირზე) 155-ჯერ გამარჯვება „რეინჯერსს“ დარჩა, 140-ჯერ „სელტიკმა“ გაიხარა, ხოლო 93 მატჩი ფრედ დასრულდა. ეს ყველაფერი იმას მოწმობს, რომ შოტლანდიურ გრანდებს ჯერ კიდევ აქვთ ერთმანეთთან ანგარიში გასასწორებელი, ამით კი ყველაზე მეტად ფეხბურთის მოყვარულნი ვიხეირებთ...

გიორგი ნიქაბაძე

● კალათბურთი

გიხარიოდეთ!

საქართველო ევრობასკეტზე დაუშვეს!!!

ქართულ სპორტს საოცარი შემოდგომა-2011 ელის

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა - საქართველოს ნაკრები გაისად, სექტემბერში ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშებს! ევრო-2011 ლიტვაში გაიმართება და იქ საქართველოს ნაკრები ყოველგვარი დამატებითი საკვალიფიკაციო ეტაპის გარეშე დაუშვეს, სამართალმა პური ჭამა!

აგვისტოში საქართველოს ნაკრებმა C საკვალიფიკაციო ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა (5 მოგება, 3 წაგება), ეს სწორედ ყველაზე უარესი მეორე ადგილი გამოდგა და, წესით, 6-გუნდიან საკვალიფიკაციო ტურნირში უწევდა გამოსვლა. მაგრამ ჩვენმა ფედერაციამ ფიბასგან ფაქსი მიიღო, რომლის თანახმადაც ამ დამატებით საკვალიფიკაციო ეტაპზე ექვსის ნაცვლად ათივე ხელმოცარულ ნაკრებს უნდა ეასპარეზა, რადგან წლევანდელი სეზონიდან ევრობასკეტის B დივიზიონი გაუქმდა. თქმა არ უნდა, ეს იქნებოდა ძალიან უსამართლო გადაწყვეტილება, განსაკუთრებით საქართველოს ნაკრების მიმართ, რომელმაც ბევრი იბრძოლა და ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა. მაშინვე ითქვა, რომ ფიბა საბოლოო ფორმატს 5 სექტემბერს ჩამოაყალიბებდა.

სიმართლე გითხრათ, სადღაც გულის სილრმეში გვჯეროდა, რომ ასე არ დაგვჩაგრავდნენ, მაგრამ მაინც თვალებს არ დავუჯერეთ, როცა იტალიის კალათბურთის ფედერაციის საიტზე შავით თეთრზე ამოვიკითხეთ - ფიბამ ევრობასკეტ 2011-ზე გუნდების რიცხვი 24-მდე გაზარდა და მომავალი წლის საკვალიფიკაციო ტურნირი საერთოდ გააუქმო. საქართველომ, იტალიამ, ბოსნიამ, უკრაინამ, ლატვიამ, პოლონეთმა და ბულგარეთმა ყოველგვარი რეპეშაჟის გარეშე მიიღეს ევრო-2011-ის საგზური - იტყობინებოდა იტალიის კალათბურთის ფედერაციის საიტი. შემდეგ ინფორმაცია სხვა საიტებზეც გავრცელდა.

„ლელო“ **იგორ კოკოშკოვის** ასისტენტ **დავით უსტიაშვილს** დაუკავშირდა: *„ეს არის ისტორიული მოვლენა - პირველად გუნდურ სახეობებში საქართველო ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს. ეს უდიდესი წარმატებაა. ნაკრებს შრომა და ბრძოლა დაუფასდა. ჩვენ ხომ ძალიან ახლოს ვიყავით საგზურთან და საკმარისი იყო იტალიას ერთით მეტი ორქულიანი ჩაეგდო ისრაელთან მატჩში, ან ბრიტანეთს ორი ოვერტაიმიდან თავი ვერ დაეძვრინა და ფინალურ ეტაპზე ისედაც გავიდოდით. ჯერ არ ვიცით, როდის იქნება ფინალური ეტაპის კენჭისყრა. დღემდე ველოდით, თუ რა სისტემით ჩატარდებოდა დამატებითი საკვალიფიკაციო ეტაპი, ახლა კი ველით, როგორი სისტემით იქნება ფინალური ტურნირი. ახლა მთავარია, ნაყოფიერი შეკრება გავიაროთ და ეჭვიც არ მეპარება, ყველა კალათბურთელი დაეხმარება გუნდს ლიტვაში. ერთი ახლავე შემიძლია ვთქვა, ნაკრები საქართველოს ნამდვილად არ შეარცხვენს“.*

ქართული სპორტის გულშემატკივრებს ფანტასტიკური შემოდგომა გველის 2011 წელს - სექტემბერში ლიტვაში საკალათბურთო ნაკრები ითამაშებს ევროპის ჩემპიონატზე, ხოლო „ბორჯღალოსნები“ ახალ ზელანდიაში სარაგბო მსოფლიო თასზე გამოვლენ...

ნიკოლოზ ნეფარიძე

● ჭიდაობა. მსოფლიოს ჩემპიონატი

მოსკოვმა რთული წილისყრა დაგვახვედრა

რომან რურუა დიდების დარბაზში შეიყვანეს

დღეს მოსკოვის სპორტკომპლექს „ოლიმპიისკიში“ იწყება მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელიც ბერძენ-რომაელთა ტურნირით იხსნება. პირველობა 13 საათზე აიღებს სტარტს და მასში 55, 66 და 96 კილოგრამი წონითი კატეგორიების ფალავნები ჩაებმებიან, ანუ ჩვენებურთაგან საჭიდაოდ **ლაშა გოგიტაძე** (55), ევროპის შარშანდელი ბრინჯაოს მედალოსანი, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **მანუჩარ ცხადაია** (66) და ევროპის წლევანდელი მესამე პრიზიორი **სოსო ჯაბიძე** (96) იჭიდავებენ. ხვალ **რევაზ ლაშხის** (60), **ვლადიმერ გეგეშიძის** (84) და **გურამ ფერსელიძის** (120) ჯერი დადგება, ხოლო ჩვენი გუნდის ყველაზე ტიტულოვანი წევრი და ამჟამინდელი ფავორიტი, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **მანუჩარ კვირკველია** (74) ზეგ იასპარეზებს.

თუმცა მოსკოვში საქმიანი ფუსფუსი ჯერ კიდევ 3 სექტემბრიდან დაიწყო, როცა ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის (FILA) დიდმოხელეებმა შეკრება იწყეს კონგრესის ჩასატარებლად და სხვა მნიშვნელოვან საკითხთა განსახილველად. კონგრესზე საბოლოოდ დამტკიცდა ლიცენზიების განაწილების ის სისტემა, რაც FILA-მ ადრევე გამოაქვეყნა. შეგახსენებთ მის არსს: ოლიმპიადაზე კვლავაც ვაჟთა 7-7 და ქალთა 4 წონითი კატეგორია იქნება, სალიცენზიო ტურნირები კი ოთხ ეტაპად ჩატარდება. საგზურების უმეტესობა პირველ ეტაპზე გაიცემა - გაისად, 12-18 სექტემბერს სტამბოლში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე. ადრინდელისგან განსხვავებით, როცა ლიცენზიას წონაში 8 საუკეთესო ფალავანი იღებდა, ამჯერად 6-ს გადაეცემა როგორც ვაჟებში, ასევე ქალებში. ლონდონის ოლიმპიადის ყველაზე მეტი მონაწილე სწორედ სტამბოლში გამოვლინდება - 108 ათლეტი სამივე ნაკრებში.

მეორე ეტაპი უკვე ოლიმპიადის წელს - 2012-ში გასამართი კონტინენტური შესარჩევი ტურნირებია, ოღონდ აფრიკისა და ოკეანეთისა ერთად ჩატარდება. აქ საგზურებს ფინალისტები მიიღებენ.

მესამე და მეოთხე ეტაპები ასევე 2012-ში გასამართი მსოფლიოს სალიცენზიო შეჯიბრებებია. ასეთი ორი ტურნირი გაიმართება, მაგრამ აქამდე მათი მასპინძელი ქალაქები არ იყო ცნობილი, მოსკოვში კი ამ საკითხსაც ნათელი მოჰფინეს. პირველ შეჯიბრებას 25-29 აპრილს ჩინური ტაიტანი უმასპინძლებს, მეორეს - 2-6 მაისს ფინეთის დედაქალაქი ჰელსინკი. ჩინეთში საგზურს ყველა წონაში სამ-სამი ფალავანი მიიღებს, ფინეთში - მხოლოდ ორი.

ლიცენზიების საკითხის გარდა, კონგრესის ვნებათაღელვის მიზეზად ბიუროს არჩევნებიც იქცა, სადაც დიდი ცვლილებები არ მომხდარა - „რუხი კარდინალები“ უცვლელად დარჩნენ, თურქეთმა კი პოზიციები განიმტკიცა - **ახმეტ აიიკს როდიცა იაკშიც** დაემატა. ამდენად, რუსეთის მერე თურქეთი მეორე ქვეყანაა, ვისაც ამ წარმომადგენლობით ორგანოში ორი წევრი ჰყავს. შეგახსენებთ, რომ იქ რუსეთის ინტერესებს იცავენ **მიხეილ მამიაშვილი** და ივან იარიგინის ქვრივი **ნატალია იარიგინა**.

კონგრესზე ჩვენთვის საყურადღებო ერთი ამბავიც მოხდა - სახელოვანი ქართველი მოჭიდავე, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიოს ოთხგზის და ოლიმპიური ჩემპიონი **რომან რურუა** დიდების დარბაზში შეიყვანეს, რისი დამადასტურებელი დიპლომიც საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა **ედიშერ მაჩაიძემ** ჩაიბარა.

გუშინვე დღეს გასამართი სამი წონის წილისყრაც მოეწყო და გაირკვნენ ჩვენებურთა მეტოქეები. გოგიტაძეს გაუმართლა იმ მხრივ, რომ პირველ წრეში ისვენებს, ანუ ერთ ეტაპს უბრძოლველად გაივლის. თან აზერბაიჯანელი ევროპის მოქმედი ჩემპიონი **ელჩინ ისმაილოვი** და რუსი ოლიმპიური ჩემპიონი **ნაზირ მანკიევი** ცხრილის მეორე ნახევარში მოხვდნენ, მაგრამ, სამაგიეროდ, მასთანაა ამ წონის უდავო ფავორიტი, მსოფლიოს ზედიზედ ოთხგზის ჩემპიონი, ირანელი **ჰამიდ სორიანი**. ასევე სომეხი ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს შარშანდელი ვერცხლის და პეკინის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი **რომან ამოიანი**. საუკეთესო შემთხვევში გოგიტაძე ირანელს მეოთხედფინალში შეხვდება, სომეხს - ნახევარფინალში. სხვა ცნობილთაგან ბადის ამ ნახევარში ბულგარელი ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ვენელინ ვენოვიცაა**, ჩვენებური კი პირველ შეხვედრას ჩეხ **იან ჰოჩკოსთან** გამართავს.

ჩემპიონატს სომეხ **არმან ადიკიანთან** შეხვედრით იწყებს ცხადაია, რომელიც ძლიერ ქვეჯგუფში მოხვდა. სომეხი არც ისე ძლიერი მეტოქეა. უბრალოდ, ცხადაიას მომზადება გვაფიქრებს, რადგან ტრავმების გამო ბევრი გაუცდა. ამ წყვილში გამარჯვებულის მეტოქე **ემზარ მახარაძის** გაწვრთნილ ინდოელ **სუნილ კუმარისა** და აზერბაიჯანელი ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონის, მსოფლიოს შარშანდელი ბრინჯაოს პრიზიორისა და ევროპის ჩემპიონ **ვიტალი რაჰიმოვის** შეხვედრაში გაირკვევა. ბადის ამავე ნახევარშია რუსთა ევროპის ორგზის ჩემპიონი, ქართველი **ამბაკო ვაჩაძეც**, რომელთანაც ცხადაია მარშან ევროპის ჩემპიონატზე დამარცხდა, მაგრამ მსოფლიოზე რევანში აუღო. ამჯერად ისინი ერთმანეთს მეოთხედფინალამდე ვერ შეხვდებიან. ცხადაიას მხარეს მოხვდნენ უნგრელი ევროპის ჩემპიონი **ტომაშ ლორინცი** და ირანელი **საეიდ მორად აბდვალიც**, რომელიც ურიგო მოჭიდავე არაა, მაგრამ ისინი ჩვენებურს ნახევარფინალამდე ვერ შეხვდებიან.

გახსოვთ ეგვიპტელი **მოჰამედ იბრაჰიმ აბდელფატაჰი**? ის 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონია 84-ში, მაგრამ ჩვენ პირველად 2002 წელს ასევე მოსკოვში გამართულ პლანეტის პირველობაზე გავიცანით, სადაც მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონად ჩასული **მუხრან ვახტანგაძე** დაგვიმარცხა (მეორედ მას ათენის ოლიმპიადაზეც მოუგო) და მესამეზე გავიდა. აი, სწორედ მასთან მართავს პირველ შეხვედრას სოსო ჯაბიძე, თავიდან კი ორივე მეტოქე ისვენებს. აბდელფატაჰი თავისი გიუმაჟი თანამემამულის, რამაზ ნოზაძის გამამწარებელ **ქარამ მოჰამედ გაბერ იბრაგიმივით** ტალანტი არაა, მაგრამ ესეც ძლიერია, თუმცა 2008 წლის შემდეგ დიდ ტურნირებზე წლეულს გამოჩნდა ახალ წონაში - ბაქოში „ოქროს დიდი პრიზის“ ფინალში გავიდა.

ჯაბიძეს ძალიან რთული ქვეჯგუფი ერგო - ეგვიპტელს თუ გასცდება, ან ირანელ მსოფლიოს პრიზიორ **ამირ ალიაკბარის** დაეჭიდება, ან - უზბეკეთის სახელით მოასპარეზე ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონ **დავით სალდაძეს**. ჩვენებური 32 წლის კი არის, მაგრამ შარშან მსოფლიოს პირველობაზე ბრინჯაოსთვის იჭიდავა (სწორედ ირანელთან წააგო), წლეულს კი თბილისში დამჯერებლად მოიგო კარტოზიას სახელობის „ოქროს დიდი პრიზის“ ტურნირი. მაშინ მან ორ პერიოდში მინიმალური უპირატესობით ჯაბიძეს მოუგო და რაკი სიტყვა მამლუქებზე ჩამოვარდა, შეგახსენებთ, რომ უზბეკეთის ნაკრებს ოლიმპიური ჩემპიონი **ალექსანდრე დოხტურიშვილი** ავარჯიშებს. ჯაბიძეს ისედაც რთული ბადე ერგო - დასახელებულთა გარდა, აქვე არიან რუსი ოლიმპიური ჩემპიონი **ასლანბეკ ხუშტოვი**, ყაზახი ოლიმპიური პრიზიორი **ასეტ მამბეტოვი**, ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონი, რუმინელი **ალექსანდრუ პაპი**, ჩეხი ევროპის ვიცე-ჩემპიონი **დავიდ ვალა** და ბულგარელი მსოფლიოს პრიზიორი **კალოიან დინჩევი**. ამ წონაში არ ჭიდაობს მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი, უნგრელი **ბალას კისცი**, რომელიც დოპინგის მიღებაში ამხილეს და დიკვალიფიცირებულია.

ირაკლი თავაძე

● მშვილდოსნობა. მსოფლიოს თასი

ამჯერად ავაცილეთ

სამწუხაროდ, ჩვენმა ქალთა ნაკრებმა - **ხათუნა ნარიმანიძე, ქრისტინე ესებუა, ასმათ დიასამიძე** — შანხაიში დასრულებულ მშვილდოსანთა მსოფლიოს თასის ბოლო ეტაპზე ბრინჯაოს მედლის მოპოვება ვერ შეძლო და მეოთხე ადგილს დასჯერდა. გადამწყვეტი შეხვედრა ჩვენებმა ტაივანელებთან დათმეს - 206:219. მანამდე მათ პლეი ოფის პირველ წრეში ამერიკელებს 216:211 აჯობეს, მეორეში რუსებს 195:190 მოუგეს, ნახევარფინალში კი ჩინელებთან 202:213 წააგეს.

ქალთა ტურნირმა კი კვლავაც კორეელთა საგრძნობი უპირატესობით ჩაიარა - მათ გუნდური პირველობაც მოიგეს და პირადიც. გუნდური ასპარეზობის ფინალში ისინი მასპინძლებს ხვდებოდნენ და მათი გადახალისებული გუნდის ფონზე ფავორიტებადაც მიიჩნეოდნენ. კორეელებმა მართლაც იმარჯვეს - 222:217 და ოქროს მედლებიც დაისაკუთრეს. ქალთა პირად პირველობაში კორეელმა **ბო ბაე კიმ** გაიმარჯვა, რომელმაც ფინალში ინდოელი **დეპიკა კუმარი** 7:1 დაამარცხა. კორეელის გამარჯვებითვე დასრულდა ორთაბრძოლა მესამე ადგილისთვისაც - გუნდურ პირველობაში პეკინის ოლიმპიადის ჩემპიონმა და პირადში მესამე პრიზიორმა **ჰიუნ-ჟუნგ ჟოომ** ტაივანელ **ჰუი ჟუ ვუს** 6:2 აჯობა.

ამდენად, ჩვენმა მსროლელებმა ბრინჯაოს მედალი სეზონის დასაწყისშიც ამოიღეს მიზანში და - დასასრულსაც. პირველად წარმატებითაც ესროლეს, მეორედ კი ცოტა დაუცდათ სამიზნეს. ბრინჯაო მათ მარტში ხორვატიულ პორეჩში, ევროპის ზამთრის პირველობაზე მოიპოვეს, როცა გადამწყვეტ შეხვედრაში გერმანელებს 229:225 მოუგეს. აღსანიშნავია, რომ ჩვენებმა რუსებს მაშინაც მოუგეს, თან სოლიდური უპირატესობით - 234:220. არადა, რუსებს მაშინაც და ახლაც ჰყავდათ ლიდერები - **ნატალია ერდენიევა** და **ქსენია პეროვა**.

შანხაის ტურნირი საერთაშორისო კალენდარში შეტანილი წლის ბოლო ოფიციალური შეჯიბრება იყო. ამით ჩვენმა მშვილდოსნებმაც დაასრულეს სეზონის ძირითადი ნაწილი და ახლა მთავარ ყურადღებას საგაისო ბატალიებისთვის მზადებას დაუთმობენ. სამუშაო კი ბევრია, რადგან გაისად მსოფლიოს სალიცენზიო ჩემპიონატი იმართება - ივლისში ტურინში. მანამდე კი გუნდს შეუერთდებიან კორეელი მწვრთნელ-კონსულტანტი და პოლონელი ფსიქოლოგი. იმედია, მათი მუშაობა მართლაც დაეხმარებათ ლიცენზიებისთვის ბრძოლაში, თორემ მათი მოპოვება ამჯერად ბევრად რთული იქნება - საგზურების უმეტესობა მსოფლიოს პირველობაზე გაიცემა, ოღონდ გუნდურ ჩათვლაში და არა ადრინდელივით პირადში. საამისოდ უმოკლესი გზა რვა საუკეთესო გუნდს შორის მოხვედრაა, ამის გაკეთება კი სულაც არ იქნება იოლი. მართალია, პლეი ოფში მხოლოდ ერთი შეხვედრის მოგება დასჭირდებათ - 16 გუნდი გადის, მაგრამ უბრძოლველად და იოლად არავინ არაფერს დაგითმობს. თანაც, იქ გაცილებით მაღალი ადგილით რომ შეაბიჯო და შედარებით სუსტი მეტოქე რომ შეგხვდეს, საამისოდ პირად პირველობაზე საკვალიფიკაციო ეტაპში კარგად გამოსვლაა საჭირო - გუნდის შედეგი სწორედ იქ ნაჩვენები ქულების დაჯამებით გამოჰყავთ.

მოკლედ, სამუშაო ძალიან ბევრია და რთული.

ირაკლი თავაძე

ჭიდაობა ჩვენი, ქართული

ჩარგალში ვაჟაობაზე

გასულ უქმეებზე უამრავი ადამიანი ესტუმრა ჩარგალს, სადაც ტრადიციული დღესასწაული „ვაჟაობა“ გაიმართა. სხვა საინტერესო ღონისძიებებთან ერთად ოლიმპიური ჩემპიონის **ზურაბ ზვიადაურისა** და **უშანგი ყურაშვილის** ინიციატივით ზეიმი ქართულმა ჭიდაობამაც დაამშვენა. სახელდახელოდ მოწყობილ სარბიელთან უამრავმა მაყურებელმა მოიყარა თავი. ფალავნობისთვის ბრძოლაში 18 მკლავმაგარი ჭაბუკი ჩაება. ნახევარფინალში **პაატა ღვინიაშვილმა გიორგი ბაინდურაშვილს** მოუგო, **ზვიად გოგოჭურმა** კი **გიორგი ცოციაშვილს** სძლია. გადამწყვეტი პაექრობა დაძაბული და საინტერესო გამოდგა. ქულებით გოგოჭურმა გაიმარჯვა და 500 ლართან ერთად ტრადიციული პრიზი — ჭედილაც დაიმსახურა.

ვაჟა დანელია

ხელბურთი

18 ბურთის სხვაობით დამარცხდნენ

გუშინ საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი-თბილისის გუნდი ისრაელში ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასის გათამაშების პირველ რაუნდში რიშონ ლე ციონის ჰაპოელთან დიდი ანგარიშით - 32:50 (17:24) დამარცხდა. უსახსრობის გამო ქართველი ხელბურთელები დღეს განმეორებით მატჩსაც სტუმრად გამართავენ.

ევრომტურნირის პირველი რაუნდის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ჰლოჰოვეცი (სლოვაკეთი)-დუკლა (პრაღა) 22:18, იუნაიტედი (ბელგია)-ტექნოელექტრონიკა (იტალია) 36:21, დუდელანჟი (ლუქსემბურგი)-კასტრიოტი (კოსოვო) 30:17, მეტალოპლასტიკა (სერბეთი)-ნეისტინი (ფარერები) 37:25, 34:30. მეტალოპლასტიკა, რომლის ღირსებასაც ორი ჩვენებური **(ირაკლი ჩიქოვანი, რატი მსხვილიძე)** იცავს, თასის გათამაშების მომდევნო ეტაპზე გავიდა.

ვაჟა დანელია

ძიუდო

კავკასიაში სულ სხვაა...

ინტერვიუ თურქეთის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელ სალიმ აბანოზთან

სულ მალე ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში ევროპის ჩემპიონატი გაიმართება ძიუდოში ახალგაზრდებს შორის. თითქმის ყველა მონაწილე ქვეყანამ დაასრულა შეკრება გორში, გურამ პაპიტაშვილის სახელობის დარბაზში გაიარა. ნაკრების მთავარი მწვრთნელი ეროვნებით ჩეჩენი სალიმ აბანოზია...

— ჩვენთვის გორის შეკრება მესამე იყო ევროპის ჩემპიონატისთვის სამზადისში. პირველი ორი თურქეთში ჩავატარეთ — ერთი მაღალმთიანეთში. გამოვედით ოთხ საერთაშორისო ტურნირში. ბიჭებმა კარგი გამოცდილება მიიღეს. ერთი ოქროს და ექვსი ბრინჯაოს მედალი მოვიპოვეთ, რაც ურიგო არ უნდა იყოს. ამ ახალგაზრდებს ხომ თავისი ქვეყნისთვის პირველი მედლები მოაქვთ, ადრე ყველა მედალი ლეგიონერებზე მოდიოდა.

წინათ თურქეთის ნაკრებში შვიდი ჩეჩენი ვიყავით, ერთი აზერბაიჯანელი და ორიც თქვენი თანამემამულე. მათ შორის ცნობილი ირაკლი უზნაძეც. ახლა იმ შემადგენლობიდან ირაკლი და ოთხი ჩეჩენი დავრჩით — უკვე მწვრთნელებად. ნაკრებებში მე და ოლიმპიური ჩემპიონი ოზგანი ვმუშაობთ. ოზგანი დიდების გუნდს წვრთნის. — გვითხრა სალიმ აბანოზმა.

— კონტინენტის ჩემპიონატზე რას უგეგმავთ თქვენს შეგირდებს?

— ორი ან სამი მედლის იმედი გვაქვს. ვფიქრობთ, სოფიაში კარგად უნდა გამოვიდეთ. სოფიაში 73, 81 და 100 კილოგრამ წონით კატეგორიებში 100-ში ტანჯუ შორნიმ ავსტრიის ტურნირზე საკმაოდ ძლიერი მოწინააღმდეგეების ძლევით მოიპოვა პირველობა. ევროპულ რეიტინგში ის სამეულშია, ხოლო დანარჩენები რვა საუკეთესოს შორის არიან. მაღალი შედეგის მიღწევა ყოველთვის ძნელია. ტრადიციულად, რუსებს და ქართველებს ჰყავთ გამოკვეთილი ლიდერები, ბოლო ხანს აზებაიჯანიც საკმაოდ გაძლიერდა.

— საქართველოს ნაკრებიდან ვის გამოარჩევდით?

— შარშანდელი ოფიციალური შეჯიბრებების მერე თქვენი ნაკრები წელს მხოლოდ აზერბაიჯანის ტურნირზე ვნახე. ბოლო ორი წლის მიხედვით საქართველოს ნაკრებში 55, 60, 81 და მძიმე წონის (კაიდარაშვილი, შავდათუაშვილი, ჭრიკიშვილი, კოკაური — ვ.ბ) ფალავნებს გამოვარჩევ. ნაკრების მიღმა გორის დარბაზის საკმაოდ ძლიერი ძიუდოისტებიც დარჩნენ, დიდწილად სწორედ მათი დამსახურებაა, რომ ამ ქალაქში ჩატარებული დასკვნითი შეკრება ნაყოფიერი გამოდგა. ასეთი მნიშვნელოვანი შეჯიბრების მოახლოებისას ვარჯიშზე მოწინააღმდეგეს მთელი შემართებით ორთაბრძოლას ვერ მოსთხოვ. აქ კი კავკასიური სიფიცხემაც შეგვიწყო ხელი. კავკასიაში მზადება მაინც სულ სხვაა...

ვასილ ბალახაძე

დავით ასპანიძის ფოტო

განცხადება

საქართველოს სროლის სახეობათა ეროვნული ფედერაცია იუწყება, რომ 14 სექტემბერს, 12 საათზე საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სააქტო დარბაზში მოწვეულია ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა.

ცნობებისთვის დარეკეთ: 23 55 80.

ჭადრაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გია გიორგაძე

ხანტი-მანსიისკში მენჩიკის თასის შესანარჩუნებლად ვიბრძოლებთ

რუსული ხანტი-მანსიისკი 19 სექტემბრიდან მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადას უმასპინძლებს. ქართველმა დიდოსტატებმა ამ შეჯიბრებისთვის მზადება დიდი ხნის წინათ დაიწყეს. ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდების შემადგენლობა გასულ კვირას საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის გამგეობის სხდომაზე დამტკიცდა. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ მათს ვინაობას, ვინაც ოლიმპიადაზე საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავს: ქალები. ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, სალომე მელია, ნინო ხურციძე, ბელა ხოტენაშვილი, კაპიტანი ნინო გურიელი, მწვრთნელები — ზურაბ სტურუა და დავით არუთინიანი; ვაჟები. ბაადურ ჯობავა, მერაბ გაგუნაშვილი, მიხეილ მჭედლიშვილი, თამაზ გელაშვილი, ლევან ფანცულაია. კაპიტანი თამაზ გიორგაძე, მწვრთნელი ხვიჩა სუპატაშვილი. დელეგაციას საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი, დიდოსტატი გია გიორგაძე უხელმძღვანელებს. დღეს იგი ჩვენი გაზეთის სტუმარია:

გია გიორგაძე — ავტორის ფოტო

— საოლიმპიადედ ერთი საწვრთნელი შეკრება უკვე გავიარეთ ბაზალეთის ტურისტულ კომპლექსში, რომლის ხელმძღვანელობის, კერძოდ, გენერალური დირექტორის — ილია მოსიაშვილის მადლობელი ვართ. ვარჯიშისა და აქტიური დასვენების ყველა პირობა შეგვიქმნეს. 5 სექტემბერს ისევ ბაზალეთზე დავიწყეთ დასკვნითი შეკრება, რომელიც 15 სექტემბრამდე გასტანს. ჩვენი მიზანია, განსაკუთრებული ყურადღება სადებიუტო მომზადებაზე გავამახვილოთ, განსაკუთრებით ქალებისთვის. აქედანვე შევიმუშავებთ რუსებთან შესაძლო პაექრობის გეგმას როგორც შავი, ისე თეთრი ფიგურებით, რადგან იქაურ სასტუმროში ამის გაკეთება, იქნებ, სახიფათოც აღმოჩნდეს. მოგეხსენებათ, ჩვენი მანდილოსნები ხანტი-მანსიისკში ჩემპიონის ტიტულის დასაცავად იბრძოლებენ. მთავარ მეტოქედ, ცხადია, რუსთა ორივე ნაკრები ეყოლებათ და არ არის გამორიცხული, მასპინძელთა სასტუმროში კედლებმა ყურები გამოისხას. ბაზალეთზე ორივე ნაკრების მწვრთნელებს დიდოსტატი თორნიკე სანკიძე დაეხმარება, რომელიც წინა ოლიმპიადაზე ქალთა გუნდს ავარჯიშებდა. სამწუხაროდ, იგი ვერ მიდის ხანტი-მანსიისკში, რადგან ახლახან დაქორწინდა და ლუქსემბურში აპირებს გამგზავრებას.

— ქალთა ნაკრების დაკომპლექტებამ უმტკივნეულოდ ჩაიარა?

— ჯერ კიდევ გაზაფხულზე ფიდეს ქალთა ნალჩიკის გრან-პრის გათამაშებისას მანდილოსანთა ნაკრების ლიდერმა მაია ჩიბურდანიძემ მითხრა, რომ ძალიან გადაღლილი ვარ და ოლიმპიადაზე ვერ ვითამაშებო. გამგეობამ იმსჯელა ნაკრების კანდიდატებზე და უპირატესობა ბელა ხოტენაშვილს მიანიჭა, რომელმაც ბოლო დროს საგრძნობლად მოიმატა რეიტინგი და შეჯიბრებებზეც საკმაოდ წარმატებულად გამოდის. ცხადია, კაპიტნის, მწვრთნელებისა და გუნდის წევრების აზრიც გავითვალისწინეთ. იმედია, ქალთა ნაკრები რუსეთშიც შემართებით იბრძოლებს და ვერა მენჩიკის თასს ისევ თბილისში დავაბრუნებთ. ქალბატონებს, ალბათ, არც ვაჟები დარჩებიან ვალში. ჩვენ მათიც გვეიმედება.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო სპორტის სამინისტროს, რომელმაც მთლიანად გაიღო ოლიმპიადაზე გასამგზავრებელი ხარჯები. ამასთანავე, ამ შეჯიბრებასთან დაკავშირებული ყველა ვალდებულება პირნათლად შეასრულა. მადლიერებით გვინდა მოვიხსენიოთ ჩვენი გენერალური სპონსორი სოკარი-ენერჯი ჯორჯია, მისი თავკაცი მაირ მამედოვი, რომლის დამსახურებაა, რომ შეჯიბრებაზე ჩვენი გუნდები ერთიანი ციცილური ფორმით იქნებიან შემოსილი.

— პრობლემები არ გქონიათ?

— მხოლოდ ასპარეზობის ორგანიზატორებთან: შეთანხმებული ვიყავით, რომ ხანტი-მანსიისკში მიუნხენის გავლით ჩავფრინდებოდით. სპეციალურად ავარიდეთ თავი მოსკოვიდან ჩარტერული რეისით გამგზავრებას, ზედმეტი პრობლემები არ გვინდოდა. ბოლო მომენტში მასპინძლებმა შეგვატყობინეს, რომ უკან დასაბრუნებელი ჩარტერის დრო იცვლებოდა, რაც ზედმეტ ხარჯებთან იქნებოდა დაკავშირებული. ამიტომ პრინციპულად მოვითხოვეთ უწინდელი ხელშეკრულების აღდგენა და მიზანსაც მივაღწიეთ. ასე ვთქვათ, პირველი გამარჯვება ფარულ ბრძოლაში უკვე მოვიპოვეთ. სასტუმროზეც დროულად ვიზრუნეთ და, ასპარეზობის ორგანიზატორთა წინააღმდეგობის მიუხედავად, ადგილები ცენტრალურ სასტუმროში დავჯავშნეთ, სადაც ფიდეს კონგრესი გაიმართება.

- თქვენ ფიდე ახსენეთ. ხანტი-მანსიისკში, სწორედ , მისი სავარძლისთვის იქნება უშეღავათო ბრძოლა კირსან ილუმჟინოვსა და ანატოლი კარპოვს შორის. ვის დაუჭერთ მხარს?

- ბოლო მონაცემებით, ილუმჟინოვს იმდენი მომხრე ჰყავს, რომ პრეზიდენტობის საკითხი უკვე გადაწყვეტილიც მგონია. არ ვემხრობი ასეთი ფორმით მხარდაჭერას. უშუალოდ ყრილობაზე პროგრამების განხილვის შემდეგ ბევრი რამ გადაწყდება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ 15 სექტემბერს ლოზანაში საარბიტრაჟო სასამართლო გაიმართება და მან, შესაძლოა, ამ ბრძოლაში კორექტივები შეიტანოს ან სულაც არჩევნები შეაჩეროს. ასე რომ, მოვლენებს ადგილზე დავაკვირდებით, სიტუაციას შევაფასებთ და გადაწყვეტილებასაც მერე მივიღებთ.

- მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადას მოზარდთა ევროპის პირველობა ემთხვევა. რა ხდება ბათუმში?

- თამამად შეიძლება ითქვას, რომ საორგანიზაციო საკითხები მოგვარებულია. სასტუმროები მზად არის უცხოელთა მისაღებად. შეჯიბრებაზე 34 ქვეყნის 700-ზე მეტი მოჭადრაკე გვეწვევა. თითქმის ყოველდღე ვუკავშირდები აჭარის ხელმძღვანელობას, რომლისგანაც სრული მხარდაჭერა გვაქვს. პაექრობები ჭადრაკის სასახლეში გაიმართება. ორი დარბაზი უკვე კეთილმოწყობილია, მესამე დარბაზიც მალე იქნება მზად. შეჯიბრების ორგანიზატორებს სახელმწიფოსთან ერთად სხვა მხარდამჭერებიც ჰყავთ - ეროვნული ბანკი, კომპანიები - სოკარი და იმედი L.

საგულისხმოა, რომ ევროპის პირველობაზე 240 ქართველი გოგონა და ვაჟი იასპარეზებს. თითოეულის შესატანი - 130-130 ევრო საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ გაიღო, რომ მოზარდებისთვის ზედმეტი ხარჯები აგვეცილებინა.

იმ მოჭადრაკეებს, რომლებმაც ქვეყნის პირველობებზე 10-10 საუკეთესო ადგილი დაიკავეს, აგვისტოში ქუთაისსა და თბილისში საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელებმა - დავით გურგენიძემ და გოგი მაჭარაშვილმა ლექციები ჩაუტარეს. ამჟამად გურგენიძისა და დიდოსტატ ლაშა ჯანჯღავას ხელმძღვანელობით ევროპის პირველობისთვის ისინი ემზადებიან, რომლებმაც ოფიციალურად მოიპოვეს ტურნირის საგზურები.

აქვე იმასაც დავძენ, რომ პირველობაზე დაწესებულია უპრეცედენტო პრიზები: ჩემპიონები და ვიცე-ჩემპიონები ლეპტოპებს მიიღებენ საჩუქრად, მესამე-მეექვსეადგილოსნები კი ფოტოაპარატებით, მობილურებითა და სხვა პრიზებით დაჯილდოვდებიან. ყველა მონაწილეს დიპლომი და სამახსოვრო მედალი გადაეცემა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ის არის, რომ 16 წლის ჩემპიონი გოგონა და ვაჟი 4 წლით ტეხასის შტატის უნივერსიტეტში უფასოდ სწავლის უფლებას დაიმსახურებენ.

ვაჟა დანელია

ისინი ევროპის პირველობისთვის მოემზადებიან

ქართული ჭიდაობა ჩვენი ხრიოკი...

№1 06.09.2010

საქართველოს ქართული ჭიდაობის ფედერაციის სპეციალური გამოშვება

ეროვნულ საუნჯეს დავუდგეთ დარაჯად

დიდი ნიკო კეცხოველი ბრძანებდა — ქართული ჭიდაობა საუკუნეობით ყალიბდებოდა და მისი უყურადღებოდ დატოვება ბოროტება იქნებაო.

არადა, ქართულმა ჭიდაობამ მივიწყების მწარე პერიოდი გამოიარა. ხშირად იცვლებოდნენ თავკაცები ფედერაციაშიც, ზემოთაც, მაგრამ ჩვენი ეროვნული საუნჯე, სამწუხაროდ, გერივით არავის ახსოვდა. საბედნიეროდ, ბოლო წლებში სიტუაცია შეიცვალა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ქართული ჭიდაობის ფედერაციას სათავეში ჩაუდგა ყოფილი მოჭიდავე, მცირე ქვეყნების მსოფლიოს ჩემპიონი და ვეტერან სამბისტთა შორის მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი, ბიზნესმენი **უშანგი ყურაშვილი**, რომლის გულისხმიერი დამოკიდებულება ბევრ სპორტსმენს ახსოვს. დასტურად ქართულ ჭიდაობაში შარშან გამართული ღონისძიებებიც კმარა — სოფლად თუ ქალაქად 70-მდე შეჯიბრება მოეწყო.

— ფედერაცია მარტო ვერაფერს გახდებოდა, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, სპორტის დეპარტამენტი და თბილისის მერია რომ არ დაგვხმარებოდა, — გვითხრა უშანგი ყურაშვილმა. — შარშანდელი ტურნირებიდან რამდენიმე მინდა შევახსენო ქომაგებს: სეოკ-მა დაგვიფინანსა ახმეტაში სახელოვანი ფალავნის ანზორ ქიბროწაშვილისა და კასპის რაიონის სოფელ ხოვლეში ომარ შერაბიშვილის მემორიალები, საგარეჯოს რაიონის სოფელ ბადიაურში საქართველოს გუნდური ჩემპიონატი, რომელიც ტელევიზიითაც გადაიცა. მცხეთა-მთიანეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულის ცეზარ ჩოჩელიასა და მისი მოადგილის გივი ამირხანაშვილის თაოსნობითა და ხელშეწყობით წეროვანში დევნილთა კომპაქტურად დასახლების ადგილას ასწლოვანი ხეების ჩეროში მოეწყო ღია საჭიდაო სარბიელი და მისი საზეიმო გახსნისას გრანდიოზული ღონისძიებაც გაიმართა, რომელშიც ჩვენმა სახელოვანმა ფალავნებმაც მიიღეს მონაწილეობა.

აღსანიშნავია ის დიდი ძალისხმევა, რაც თბილისის მერიამ გამოიჩინა ქართული ჭიდაობის მიმართ. შარშან დედაქალაქის ხელმძღვანელთა კეთილი ნებით წყნეთში ნახერხმოყრილი სარბიელი გაიხსნა. ორთაჭალასა და ნაძალადევის კულტურისა და დასვენების პარკში მოეწყო ამ ორი რაიონის ფალავნობა. კახეთის რეგიონის ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის თემურ გოდერძიშვილის ინიციატივით რამდენიმე ღონისძიება ჩატარდა, რომელთა შორის ყველაზე მასშტაბური ალავერდობა იყო. ცხადია, ყველა შეჯიბრების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

— **ამიტომ, მოდით, წლევანდელ გეგმებზე ვისაუბროთ.**

— შარშანდელი ტურნირები ერთჯერად ღონისძიებად რომ არ დარჩეს, გადაწყვეტილი გვაქვს სექტემბერ-ოქტომბერში, მას შემდეგ, რაც ძიუდოსა და ჭიდაობებში მსოფლიოს ჩემპიონატები დამთავრდება, ახმეტაში, ხოვლესა და წეროვანში სპორტის სამინისტროს, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და მცხეთა-მთიანეთის მხარის ხელმძღვანელთა თანადგომით კვლავ გავმართოთ საინტერესო შეჯიბრებები. სპორტის მინისტრი ლადო ვარძელაშვილი ქართული ჭიდაობის დიდი ქომაგი და ჭირისუფალია, რაც შიდა ქართლში მისი მუშაობისას ნათლად გამოჩნდა. იმედია, ახლა უფრო მეტს იზრუნებს ამ ეროვნული სახეობის გასავითარებლად და მისი ყურადღება არ მოგვაკლდება. ახლახან სპორტის მინისტრის მოადგილე დავით ნამგალაური და ცეზარ ჩოჩელი დამიკავშირდნენ, რომლებმაც მაცნობეს, რომ სექტემბრის ბოლოს დუშეთში გრანდიოზული შეჯიბრება იგეგმება ქართულ ჭიდაობაში, დიდი საპრიზო ფონდით. ცხადია, საქართველოს გუნდურ ჩემპიონატსა და ფალავნობასაც მოვაწყობთ. დასავლეთ საქართველო გვყავს მივიწყებული. წლეულს იქაურობასაც გადავწვდებით და ჭიათურაში გურამ მოდებაძის სახელობის ტურნირს ჩავატარებთ.

— **ვიცი, გზა ია-ვარდით მოფენილი არ გაქვთ.**

— ამას წინათ ბათუმში ვიყავი. გაოცებული დავრჩი, ბევრი ქვეყანა მაქვს შემოვლილი და მსგავსი რამ იშვიათად მინახავს. ბოლო ორ წელიწადში აჭარის დედაქალაქში რაც გაკეთდა, უცხოელთა აღტაცებასაც იწვევს. თურმე, რა შესძლებია ადამიანის მონდომებას.

— **თემას ხომ არ გადავუხვიეთ?**

— უბრალოდ, იმის თქმა მინდა, უმადური უნდა იყო, ეს რომ ვერ დაინახო. შეიძლება, მავანმა მართლაც იკითხოს, მერე ქართულ ჭიდაობას რაო? ის, რომ, დარწმუნებული ვარ, ქვეყნის ხელმძღვანელები, რომლებიც ბოლო დროს სულ უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ ეროვნული ტრადიციების აღორძინებას, ქართულ ჭიდაობასაც კეთილი თვალით გადმოხედავენ. მარტო ერთი ადამიანი ვერაფერს გახდება, მთელმა ქვეყანამ მხარი თუ არ აუბა. ახლახან შიდა ქართლის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულად ზურაბ არსოშვილი დაინიშნა. კაცმა სავარძელში ჩაჯდომა ვერ მოასწრო, რომ სკრაში შესანიშნავი საჭიდაო სარბიელი გააკეთებინა და საინტერესო ღონისძიებაც მოაწყო.

სამი წლის წინათ ქვეყნის პრეზიდენტმა სპეციალური განკარგულებაც კი გამოსცა სოფლად თუ ქალაქად მარტივი ტიპის საჭიდაოების მოწყობის თაობაზე. რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ვინ მიაქცია ამას ყურადღება? არადა, ღია საჭიდაოების მოწყობა და ყოველ შაბათ-კვირას თუნდაც უმნიშვნელო შეჯიბრებების გამართვა მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვასა და ახალი თაობის ჰარმონიულად აღზრდაში დაგვეხმარება. პატრიოტულ საქმედ მიგვაჩნია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივა ახალი სასწავლო წლიდან სკოლებში ქართული ჭიდაობის გაკვეთილების შემოღების



შესახებ. ოფიციალური მონაცემებით, მოსწავლეთა თითქმის ორი მესამედი სკოლიოზითაა დაავადებული. განათლების მინისტრის ახალი იდეა ხელს შეუწყობს როგორც ამ პრობლემის გარკვეულწილად მოგვარებას, ისე მაღალი მიღწევების სპორტში წარმატებების ზრდას. ჩვენი ფედერაცია მზად არის, განათლების სამინისტროს ყოველმხრივ დაუდგეს გვერდით.

ორი წელიწადია, ქართული ჭიდაობის ფედერაციას ვხელმძღვანელობ და ამ ხნის განმავლობაში ეროვნული საუნჯის ასაღორძინებლად სახელმწიფო სტრუქტურები და სეოკ-ი თუ გვეხმარება, თორემ ბიზნესმენებს რატომღაც საერთოდ არ გავხსენებივართ. არადა, საერთაშორისო სარბიელზე ჩვენს ფალავნებს ძიუდოში, სამბოში, ბერძნულ-რომაულ და თავისუფალ ჭიდაობაში სწორედ ქართული ჭიდაობის ფანდები ეხმარებოდა უმაღლესი მწვერვალების დაპყრობაში, ამიტომ ასეთი უყურადღებობა, რბილად რომ ვთქვათ, მართებულად არ მიგვაჩნია. ქართული ჭიდაობა მხოლოდ მედლები როდია. ჯანსაღ მომავალზე ზრუნვაცაა, ამიტომ უბედურად მიმაჩნია ის ადამიანი, ვისაც სიკეთის კეთების მადლი არ განუცდია.

პირდაპირ ვიტყვი — მეტი და საინტერესო ღონისძიების ჩასატარებლად ქართული ჭიდაობის ფედერაციას მორალური და მატერიალური მხარდაჭერა სჭირდება. პირველი ნაბიჯი უკვე გადმოდგა „ჯეოსელმა“ — ჩვენთვის სპონსორობის გაწევა სურს. იმედია, მოლაპარაკება სასურველი შედეგით დაგვირგვინდება. კარგი იქნება, ამ ორგანიზაციას სხვებიც თუ მიბაძავენ, ვისაც ეროვნულ საუნჯეზე გული შესტკივა.

ქართულ ჭიდაობას ჯეროვანი თანადგომა თუ ექნება, მერწმუნეთ, ჩვენი ფალავნები მსოფლიოს კვლავაც აალაპარაკებენ. მჯერა, რომ ოლიმპიადებზე 3-4 მედალი სულაც არ იქნება ოცნების სფერო. ახლა თითოეული ჩვენგანის ყურადღება მოსკოვსა და ტოკიოსკენაა მიპყრობილი, სადაც ჭიდაობასა და ძიუდოში მსოფლიოს ჩემპიონატები გაიმართება. ღმერთმა ქნას, ქართული ფანდებით ჩვენი ფალავნები კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე კვლავაც ვიხილოთ. დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ.

რაც მეჯს დავკარგავთ ქართულ ილეთებს, უკან-უკან წავალთ

თემურ ხუბულური, ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი:

არაერთხელ მითქვამს და გავიმეორებ — ჩვენს ძიუდოისტებს ქართული ჭიდაობის ფანდების გარეშე კვარცხლბეკზე ასვლა გაუჭირდებათ. წმინდა ძიუდოს სტილით იაპონელები და მათგან დამოძღვრილი ევროპელები ჭიდაობენ. რითი ვჯობნიდით მათ? — გარე სარმით, ბრუნით, ქამრიდან მოგვერდით, რომლებსაც დღეს, სამწუხაროდ, თითქმის არავინ იყენებს. ახლა მოგვერდს სხვებიც აკეთებენ. აი, წმინდა ქართულს — ქამრიდან მოგვერდს თვით ჩვენი ფალავნებიც ერიდებიან. არადა, მახსოვს, თბილისის საერთაშორისო ტურნირზე ისე სწრაფად დავაგდე მეტოქე ამ ილეთით იპონზე, რომ გონს მოსვლა ვერ მოასწრო. კიდევ რომელი ფანდი მქონდა არსენალში? — მკლავჩაკეტილი ქართული მოგვერდი, გარესარმა, დათრევით კისრული, ქართული გარეფეხი. მოსკოვის ოლიმპიადაზე ჰოლანდიელ ვან დერ ვალეს ცერით მოვუგე, გერმანელი ლორენცი, რომელიც აბსოლუტურში ოლიმპიადის ჩემპიონი გახდა, ქვემძიმე წონის ნახევარფინალში მკლავჩაკეტილი ქართული მოგვერდით დავამარცხე. 1981 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ამავე ფანდით ვაჯობე იაპონელ ძიუდოისტს ნახევარფინალში, რომელიც 1988 წელს სეულში ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. ზოგი ახლა სხვაზეც ვთქვათ: შოთა ჩოჩიშვილი შესანიშნავად ასრულებდა ბრუნსა და კისრულს, შოთა ხაბარელი — გადავლებულს, ზურაბ ზვიადაური — გადავლებულსა და ქართულ კისრულს. სამივენი ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ. ვისაც ახსოვს ბიძინა მაზიაშვილის, თუნდაც დილარ ხაბულიანისა და შოთა ხაბარელის მწვრთნელობა, ალბათ, მათი შეძახილებიც ეხსომებათ — გადაავლე, გადაავლეო. ასეთ რამეს ახლა იშვიათად გაიგონებთ, რადგან ამ ილეთს, ფაქტობრივად, აღარავინ იყენებს. ეს ჩვენი მწვრთნელების, სპეციალისტების ბრალია. ქართული ჭიდაობის დეფიციტი შეიქმნა, განსაკუთრებით არეულობის ხანაში, როცა ჩვენი ეროვნული საუნჯე, ფაქტობრივად, ჩაკვდა სოფლად. ქალაქზე აღარაფერს ვამბობ. რაც უფრო მეტს დავკარგავთ და დავივიწყებთ ქართულ ილეთებს, მით უფრო უკან-უკან წავა ჩვენი საქმე და საერთაშორისო სარბიელზე მედალოსნებიც ნაკლები გვეყოლება.

ბოლო დროს საქმეს კარგი პირი უჩანს, გამოცოცხლდა ქართული ჭიდაობა ქალაქად და სოფლად, რაც ქართული ჭიდაობის ამჟამინდელი ფედერაციის, პირადად უშანგი ყურაშვილის დამსახურებად მიმაჩნია. ოღონდ მათ თანადგომა და დამხმარე სჭირდებათ.

შარშან საინტერესო ღონისძიებები გაიმართა ახმეტაში, ბადიაურში, ხოვლეში, კახეთში, ქართლში. გულშემატკივრებიც გამოჩნდნენ. განსაკუთრებით სეოკ-ის პრეზიდენტმა გია ნაცვლიშვილმა იაქტიურა. წლეულს შიდა ქართლის გუბერნატორის ზურაბ არსოშვილის ინიციატივით ჩემს მშობლიურ სოფელ სკრაში საჭიდაო გაკეთდა. კობა კურტანიძისა და შოთა ჩოჩიშვილის ხსოვნის ტურნირები გაიმართა. ამგვარი ღონისძიებები რაც უფრო ხშირად მოეწყობა სოფლებში, მით უკეთესია. რადგან მეტი ახალგაზრდა გაიგებს ნახერხის გემოს და ჭიდაობის სულ სხვა ჟინით „მოინამლება“. პრესამ და ტელევიზიამაც უფრო ფართოდ უნდა გააშუქოს ქართული ჭიდაობის ტურნირები, ეროვნულ საუნჯეს მთელმა ერმა ერთად უნდა მოუაროს. მაშინ ძიუდოში, თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაშიც მეტი წარმატება გვექნება.

მარცხნიდან: თემურ ხუბულური, კია ნაცვლიშვილი **ავტორის ფოტო**

მაშინდელი გამოცდილება დღესაც მეხმარება

გურამ მოდებაძე, *საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი:*

ჭიათურაში დავიბადე და გავიზარდე. პირველი ფანდებიც იქ ვისწავლე, თუმცა ჩემს რაიონში ქართული ჭიდაობა დიდ პატივში არასდროს ყოფილა, ამიტომ ქართლში ჩავდიოდი საჭიდაოდ, უფრო მეტად — ხაშურის რაიონის სოფელ ვაყაში, სადაც უძლიერესი ფალავნები იყრიდნენ თავს. განსაკუთრებით ძმები ბერუაშვილების ჭიდაობა მხიბლავდა. ტრაბახად ნუ მიიღებთ და, ურიგო შედეგები არ მქონია, ამიტომ ამ სოფელში პირადი გულშემატკივრებიც შევიძინე. ვაყას ნახერხმოყრილ სარბიელზე მიღებული გამოცდილება მერე დიდ სპორტში გამომადგა და დღესაც მწვრთნელობაში მეხმარება. ქართული ჭიდაობა საფუძველთა საფუძველია ორთაბრძოლათა სხვა სახეობებისთვის, ამიტომ მისი დავიწყება და უგულებელყოფა არაფრით შეიძლება. განსაკუთრებით ძიუდოსთან დგას ახლოს, მით უმეტეს ახლა, როცა კიმონოიანთა პაექრობებში ბევრი რამ შეიცვალა. ვარჯიშებზე შეგირდებთან დიდ დროს სწორედ ქართული ფანდების დამუშავებას ვუთმობ. ამიტომაც არის, რომ თედორე აბელაშვილი, ლაშა გუჯეჯიანი, დავით ქევხიშვილი, ზაზა კედელაშვილი და სხვები ამ ილეთებს ხშირად იყენებენ დიდ შეჯიბრებებზე და წარმატებებსაც აღწევენ. თუ არ ვცდები, 2007 წლის ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში ლაშამ სწორედ ქართული ბრუნით წმინდად მოუგო უკრაინელ ძიუდოისტს, ფინალში კი ტედი რინერი წამოიკიდა კისრულზე, მაგრამ ფრანგს საოცარი რეაქცია აღმოაჩნდა — ჰაერში ამოტრიალდა და იპონს გადაურჩა. ქევხიშვილს, რომელიც კახელია და, ფაქტობრივად, ქართული ჭიდაობიდან მოდის, ბევრჯერ მიუღწევია გამარჯვებისთვის ჩვენებური მოგვერდით.

დღეს ქართული ილეთების არსენალით ჩემს მოსწავლეებს შორის განსაკუთრებით ძმები ხუციშვილები გამოირჩევიან. ეროვნულ საუნჯეს ვაზიარებ მოზარდებს ოქროყანაშიც, სადაც შარშან ჭიდაობის სკოლა გაეხსნით. იქაური და ახლომდებარე სოფლებიდან 30-მდე ვაჟი ვარჯიშობს ქართულსა და ძიუდოში. სამწუხაროდ, დარბაზი მეტს ვერ იტევს, თორემ მსურველებს რა დალევს. ჩოხებით ქართული ჭიდაობის ფედერაციამ მოგვამარაგა.

უშანგი ყურაშვილის ინიციატივით ჩემს მშობლიურ რაიონში 25-26 სექტემბერს ქართული ჭიდაობის დღესასწაულს მოვაწყობთ. ვფიქრობთ, იმერეთის მხარისა და ჭიათურის ხელმძღვანელებიც დაგვეხმარებიან. ეს ტურნირი ჩვენს მხარეშიც ამ სახეობის აღორძინების დასაწყისი იქნება. ქართული ჭიდაობა ხომ ზარიგითაა — მას დეპეშები და ზედმეტი აფიშები არ სჭირდება. ერთ ღონისძიებაზე რომ გამოაცხადებ, მომდევნო შაბათ-კვირას აქა და აქ ვიჭიდავებთო, იმ ადგილას უფრო მეტი ფალავანი და მაყურებელი მოიყრის თავს. ჩვენი უპირატესობაც სწორედ ეს არის. ასე სოფლიდან-სოფელს, ქალაქიდან-ქალაქს, ბარიდან-მთას უნდა გადაეცეს ქართული ჭიდაობის მადლი და მთელი ქვეყანა შემოვიაროთ. ჯანსაღი თაობაც გვეყოლება და მეტი სპორტსმენიც, რომლებიც საერთაშორისო სარბიელზე გვასახელებენ.

მასალები მოამზადა

ვაჟა დანელია

● შავი ზღვის თასი

ერაოვნული ბიბლიოთეკა

შავი ზღვა ზღვისპირეთს

ლელო-ბათუმი XV 18:21

ლელო (15-9) **ყიასაშვილი, ჯოგლიძე, ჩხიკვაძე, მანჯავიძე, გუგავა, ბაირამაშვილი, კაჭარავა.** (1-8) **სანიკიძე** (ასეიშვილი 41), **ჭყონია** (მამუკაშვილი 75), **სუჯაშვილი** (ლომიძე 75), **აზალაძე, დ.დაუშვილი, ი.მაისურაძე, კოლელიშვილი, ზ.მაისურაძე.**

6ს: ყიასაშვილი

ბათუმი XV (15-9) **ხამაშურიძე, გეგენავა** (ნიჟარაძე 65), **აშვეთია, ხონელიძე, შკინინი, კიკნაძე, როხვაძე** (ბეგაძე 65). (1-8) **გურეშიძე** (გოგიშვილი 75), **სოსელია** (ბრეგვაძე 65), **მოქია** (ხოსიტაშვილი 65), **არჩუაშვილი, ბერიძე, თხილიაშვილი, რევიშვილი, გუგუშვილი.**

2ლ: სოსელია, თხილაიშვილი. 3ს,გ: კიკნაძე.

სინგბინი: ხონელიძე, შკინინი, ხოსიტაშვილი.

მსაჯი: ჟოაო მურინია (პორტუგალია)

„ტურნირი შედგა. მატჩებმა გვანახა, რა დონის საშინაო რაგბი გვაქვს. რა მიმართულებით არის გასაგრძელებელი სამუშაო. ვფიქრობ, როგორც ორგანიზატორებმა, ისე მოთამაშეებმა, ძალიან სასარგებლო გამოცდილება მივიღეთ.

ფინალიც ტურნირის ღირსი გამოდგა. დაძაბული, უშეღავათო ბრძოლა გაიმართა და ბოლო წამამდე გაურკვეველი იყო, ვინ მოიგებდა. საბოლოოდ, ალბათ იმან გაიმარჯვა, ვისაც უფრო ეკუთვნოდა“ - თქვა ნამატჩევს საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **გიორგი ნიჟარაძემ.**

„შავი ზღვის თასის“ მფლობელი მართლაც ფინალის ბოლო წამზე გამოვლინდა. უაღრესად საინტერესო, დრამატული ბრძოლის ბედი ბათუმელთა მგეზავმა **დავით კიკნაძემ** 38 მეტრიდან გატანილი საჯარიმოთი ზღვისპირელთა სასრგებლოდ გადაწყვიტა. იმავეს გაკეთება ერთი წუთით ადრე „ლელოს“ ფულბეკ **ირაკლი ყიასაშვილსაც** შეეძლო. მაგრამ ლელოელთა დამრტყმელმა გაცილებით შორიდან, 47 მეტრიდან ოდნავ აააცილა მიზანს.

ეს ყველაფერი, როგორც უკვე ვთქვით, მატჩის მინურულს ხდებოდა. მანამდე კი მოედანზე ძალზე დაძაბული, ტოლ-სწორი გუნდების უშეღავათო ბრძოლა მიმდინარეობდა. ორივე გუნდის მორაგბეებს ნერვიულობა ეტყობოდათ, რაც უჩვეულოდ ბევრი შეცდომის მიზეზი იყო.

ანგარიში „ბათუმი XV“-მ მეოთხე წუთზე, ლამის პირველივე შეტევისას გახსნა. „ლელოს“ გარემარბმა **გოდერძი ჯოგლიძემ** საკუთარ ოცდაორმეტრიან ზონაში ბურთი დროულად ვერ მოიგერია, თანაგუნდელ ირაკლი ყიასაშვილსაც უხეიროდ გადააწოდა. ის ზღვისპირელებმა შებოჭეს, თუმცა რაკში ბურთი წინ გაუვარდათ და ჩათვლის მოედნიდან ხუთ მეტრში“ლელოს“ სასარგებლოდ შერკინება დაინიშნა. ლელოელებმა აქაც შეცდომა დაუშვეს და არბიტრმა ბურთი ბათუმელებს გადასცა. მათ თავისუფალი დარტყმა იქვე გაითამაშეს და მორკინალების მოკლე დარტყმებით ლელოს მიუახლოვდნენ. ბოლოს რაკიდან ბურთი შერკინების კვაჭმა **გიორგი სოსელიამ** აიტაცა და ანგარიში გახსნა. კიკნაძემ ხელსაყრელი პოზიციიდან ზუსტად გარდასახა - 7:0.

ცხადია, მოვლენების ასეთ განვითარებას „ლელო“ არაფრით შეეგუებოდა. ოთხ წუთში ყიასაშვილს საჯარიმოთი ანგარიშის შემცირების საშუალება მიეცა, მაგრამ შანსი ვერ გამოიყენა. სამაგიეროდ, ბათუმელებმა, რომლებიც იმდენად რაციონალურად ირჯებოდნენ, რომ რამდენჯერაც მეტოქის ოცდაორმეტრიან ზონაში შეაღწიეს, იმდენჯერ მონაგარი „გაიმდიდრეს“, 21-ე წუთზე ანგარიშში სხვაობა ათამდე გაზარდეს. საჯარიმო კიკნაძემ გაიტანა - 10:0.

ეს სხვაობა ასეთი თანაბარი გუნდების თამაშისას საკმაოდ სოლიდურია, არადა, უპირატესობას „ლელო“ ფლობდა და არა „ბათუმი XV“. ლელოელებმა პირველი ქულები 25-ე წუთზე ჩაიწერეს. საჯარიმო ყიასაშვილმა გაიტანა - 3:10, რაზეც ბათუმელებმა ორ წუთში საჯარიმოთივე უპასუხეს.

ამის შემდეგ „ლელოს“ უპირატესობა კიდევ უფრო გაიზარდა. ზღვისპირელები შეცდომას შეცდომაზე უშვებდნენ, რისთვისაც მატჩის არბიტრმა ერთმანეთის მიყოლებით სამი ბათუმელი გაასინბინა. „ლელომ“ ტაიმის მიწურულს ანგარიშში სხვაობის მინიმუმამდე შემცირება შეძლო. ყიასაშვილმა სამი საჯარიმო გაიტანა, მათ შორის ერთი 50 მეტრიდან - 12:13. მასვე თავისიანების დაწინაურებაც შეეძლო, მაგრამ პირველი ნახევრის ბოლო წუთზე მეოთხე საჯარიმო ვერ გაიტანა.

შესვენების შემდეგ ოცი წუთი მოედანზე „ლელო“ დომინირებდა. 49-ე და 58-ე წუთებზე ყიასაშვილმა კიდევ ორი ზუსტი საჯარიმო მიითვალა და „ლელო“ - 18:13 დაწინაურდა.

ბათუმელები მატჩის ბოლო 15 წუთში საგრძნობლად გააქტიურდნენ. მათმა მობილურმა და მძიმე მორკინალებმა ორჯერ მიიტანეს იერიში „ლელოს“ ჩათვლის მოედანზე, მაგრამ თბილისელებმა მეტოქის მიძალებას გაუძლეს. 76-ე წუთზე კი „ბათუმი XV“-ს მესამე მცდელობა შედეგიანი გამოდგა. დიდ ზედახორაში მესამეხაზელმა **გიორგი თხილაიშვილმა** იყოჩაღა. რაკიდან ბურთი აიტაცა და ლელოში სწრაფად შეიჭრა. კიკნაძემ გარდასახვა ვერ გაიტანა - 18:18.

ის დრამატული მოვლენები, რომელზეც უკვე ვთქვით, სწორედ ამის შემდეგ განვითარდა. ყიასაშვილს მიზანმა უმტყუნა, კიკნაძეს კი ნერვებმა არ უღალატა. ბურთი საჯარიმოდან ძელებს შორის გაატარა და „შავი ზღვის თასს“ ადგილი ზღვისპირეთში მიუჩინა.

ლევან მაისაშვილი, „ლელოს“ მთავარი მწვრთნელი:

„ძალიან ბევრი შეცდომა დავუშვით. დასაწყისშივე ბავშვური შეცდომა ლელოს ფასად დაგვიჯდა. მერე ნელ-ნელა თამაშიც გამოვასწორეთ და ანგარიშშიც დავწინაურდით, მაგრამ ბოლოსკენ ისევ რამდენჯერმე უხეშად შევცდით, მეტოქემ ეს გამოიყენა და წავაგეთ“.

ლევან მგელაძე, „ბათუმი XV“-ს მთავარი მწვრთნელი:

„მატჩის შედეგით, ცხადია, კმაყოფილი ვარ, თუმცა ხარისხით არა. დაძაბულობამ თავისი ქნა, ბიჭები ნერვიულობდნენ და ბევრი შეცდომა დავუშვით. ძალიან ძლიერი მეტოქე დავამარცხეთ და ბედნიერები ვართ“.

ლოკომოტივი-ბუქარესტი 23:19

ლოკომოტივი (15-9) **კობერიძე, შიოშვილი, ქავთარაძე, ბერძენიშვილი** (ხუციშვილი 57), **ჟამუტაშვილი, სოხაძე, ღვინჯილია.** (1-8) **გასვიანი, გენებაშვილი, ვეფხვაძე, ჩიტიძე, გუჯარაიძე, ნიშნიანიძე** (ზაბახიძე 75), **ნადირაძე, ბერიშვილი.**

2ლ: ჩიტიძე, სოხაძე. 3ს,2გ: სოხაძე

სინბინი: **გასვიანი**

ბუქარესტი (15-9) **ფლორეა, კომენსკუ, ბადეა, ბუდილეანუ, მინკუ, სურუჯუ, ზაინეა.** (1-8) **დუმიტრუ, იონესკუ, იაკობი, ზაპანი, მიტროი, გროზავი, ბელდეანი, ვილკუ.**

3ლ: კომენესკუ, ბადეა, ბელდეანი. 2გ: მინკუ

მსაჯი: **ი.ფრესინეანუ (რუმინეთი)**

კრედო-არადი 17:12

კრედო (15-9) **ჟულავსკი, ტაკუნოვი, დ.მასიუკოვი** (ქოპილაშვილი 4), **გეგიძე, ჩიშკო, მონასტირიოვი, დელიერგიევი.** (1-8) **კ.მასიუკოვი** (ღამბაშიძე 41), **ვასილაკი, ვერტილეცკი, მილოვი, კულაკოვსკი, ფედეშინი, ნოვოკრშჩენოვი** (დიდინჩუკი 58), **დ.კირსანოვი** (პოლიანსკი 24).

2ლ: ვასილაკი, მონასტირიოვი. 2გ,ს: მონასტირიოვი

სინბინი: **ქოპილაშვილი**

არადი (15-9) **ფერკუ, ი.ფლორეა, იფტოდე, სტოიკიცა** (გობჟილა 48), **ბალცატუ, კონაკე, ფ.ბალანი.** (1-8) **ცერუსი, ბეკა, ბიტია, გრინდეი** (მაქსიმი 25), **მორარუ, ბურეა, პურრიჩ** (კატარჯუ 62), **სელევესტრუ.**

სინბინი: **კატარჯუ**

2ლ: ი.ფლორეა, ფ.ბალანი. გ: მარიანი

მსაჯი: **გ. ამირხანაშვილი**

შავი ზღვის თასის გათამაშების დასკვნით ეტაპზე თავდაპირველად მცირე ფინალები გაიმართა. მეხუთე ადგილისთვის მატჩში ერთმანეთის პირისპირ საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, თბილისის „ლოკომოტივი“ და რუმინული „ბუქარესტი“ დადგნენ.

პირველი ტაიმი რკინიგზელებმა აღმავლობით ჩაატარეს. ისინი ჩვეულ სტილში, მორკინალების მოკლე დარტყმებით მეტოქეს საკმაოდ დიდ პრობლემებს უქმნიდნენ, რასაც ხელდახელ ბურთაობასაც უნაცვლებდნენ, თერნოვერებსაც კარგად იყენებდნენ და პირველი ტაიმი მშრალად - 20:0 მოიგეს.

ლოკომოტიველთაგან თითო ლელო მგეზავმა **თემურ სოხაძემ** და მეორეხაზელმა **დავით ჩიტიძემ** მიითვალეს. ორივე ლელო სოხაძემ გარდასახა და ზედ ორი საჯარიმოც დაურთო.

მეორე ტაიმში ვითარება რადიკალურად შეიცვალა. რუმინელი მორაგბეები, რომლებსაც დასაკარგი აღარაფერი ჰქონდათ, საგრძნობლად გააქტიურდნენ და სამი ლელოს გატანა მოახერხეს. რკინიგზელთა ბედად, მეტოქემ სამიდან მხოლოდ ორის გარდასახვა შეძლო. მანამდე კი სტუმრებმა ხელსაყრელი პოზიციიდან ორი საჯარიმო ვერ გაიტანეს.

„ლოკომოტივის“ მონაგარი მეორე ტაიმში 49-ე წუთზე სოხაძის მიერ გატანილი ერთადერთი საჯარიმოა. საბოლოოდ დიდი ანგარიშით მოსაგები მატჩი რკინიგზელებმა ოთხი ქულის სხვაობით - 23:19 მოიგეს და ტურნირზე მე-5 ადგილი დაიკავეს.

უშეღავათო გამოდგა მატჩი მესამე ადგილისთვის, რომელშიც ოდესის „კრედო 63“-მა რუმინულ „არადს“ - 17:12. მოუგო. ოდესელებმა მეტოქეს ებრძოლეს, თუმცა ამაოდ: მათმა მწვრთნელმა გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა, მოედანზე დისკვალიფიცირებული მოთამაშე შეუშვა, რაც ტურნირის ორგანიზატორებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. შედეგად, ოდესის „კრედო 63“-ს წაგება ჩაეთვალა და მესამე ადგილი რუმინულმა „არადმა“ დაიკავა.

საბოლოო მდგომარეობა: **1. ბათუმი XV, 2. ლელო, 3. არადი, 4. კრედო 63, 5. ლოკომოტივი, 6. ბუქარესტი.**

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

sport.gov.ge

უკვე ცხადია, ვინ რას წარმოადგენს...

აშშ-ის ღია პირველობა თავის ეკვატორს უახლოვდება. მართალია, გასამართ მატჩთა ნახევარზე მეტი უკვე ჩატარებულია, მაგრამ სატურნირო თვალსაზრისით, მეორე ნახევარი მაინც ორშაბათს იწყება. იქამდე კი, ორი საშეჯიბრო დღე სენსაციების მინიმალური რაოდენობის ფონზე მიილია - რაც შორს მიდის საქმე, მით უფრო ცხადი ხდება, ვინ რას წარმოადგენს. ყოველ შემთხვევაში, შეჯიბრების მთავარ ფავორიტთაგან ჯერჯერობით არავის წაუგია და ელენა იანკოვიჩის განთესვის მაღალი ნომერი ნურავის დააბნევს...

ესპანელთა მოულოდნელი სიმრავლე

US Open-ის მეხუთე დღე არნახულად წარმატებული გამოდგა ეპანელი ვაჟებისთვის. მათთვის მთლიანად მეორე წრე აღმოჩნდა იღბლიანი, რადგან ამ ეტაპის პირველ დღეს მესამე წრეში **მონტანიესმა** და **ფერერომ** გააღწიეს, ხოლო შემდეგ მათი გზა კიდევ შვიდმა ესპანელმა გაიმეორა.

რაფაელ ნადალის წარმატება არავის გაჰკვირვებია, არც **ალმაგროს, ფერერის, ფელისიანო ლოპესის** და **ვერდასკოს** მოგება იყო მოულოდნელი, თუმცა ტურნირის დაწყებამდე ვერავინ წარმოიდგენდა, რომ მესამე წრეში გასული 32 კაცი ჩოგბურთელიდან 9 ესპანელი იქნებოდა.

ფედერერის აკადემიურობა

შაბათს ღამე-კვირას დილით ვაჟთა ტურნირზე მესამე წრე დაიწყო და პირველი დღეების სენსაციათა რამდენიმე ავტორს ტურნირთან გამოთხოვებამ მოუწია. **პოლ-ანრი მატიემ** ტურნირის მთავარ ფავორიტ **როჯერ ფედერერს** ვერაფერი დააკლო. შვეიცარიელ მაესტროს ხსენებული ფრანგისთვის მანამდე ოთხივე ურთიერთშეხვედრა მოეგო, მათ შორის თითო - როლან გაროსსა და უიმბლდონზე, გუშინ კი ამერიკიდანაც „გამოაძევა". როჯერმა მეტოქე საკმაოდ ადვილად დაამარცხა - მატიეს იმედის ყველა ნაპერწკალი ჩაუქრო და აკადემიურ სტილში „გაგუდა".

მეოთხე წრეში ფედერერის მეტოქე **იურგენ მელცერი** იქნება. ავსტრიელმა იქამდე დამაჯერებლად მოთამაშე **ხუან კარლოს ფერერო** ასევე სამ სეტში დაამარცხა, თან დასკვნით სეტში US Open-2003-ის ფინალისტს ერთადერთი გეიმი მოაგებინა. საინტერესოა, რომ ფედერერი და მელცერი, სოლიდური პროფესიული სტაჟის მიუხედავად, ერთმანეთს მხოლოდ მეორედ გადაეყარნენ, თანაც პირველადაც წლეულს შეხვდნენ და ისიც მეოთხე წრეში - 29 წლის შვეიცარიელმა თანატოლ ავსტრიელს უიმბლდონზე 6:3, 6:2, 6:3 სძლია.

იანკო გაელს ალარ ეყო

ნიუ იორკიდან აბარგება მეორე წრის მთავარ გმირსაც მოუწია. **ენდი როდიკის** მძლეველმა **იანკო ტიპსარევიჩმა**, ეტყობა, ვერ მოასწრო კონდიციების აღდგენა ამერიკელთა ყოფილ ჯილასთან უმძიმესი და უდრამატულესი მატჩის შემდეგ. სპეციალისტთა დიდი ნაწილი ამას პროგნოზირებდა კიდეც - სერბმა თავისი გასაკეთებელი უკვე გააკეთა და მომდევნო მატჩს უთუოდ დათმობსო. ასეც მოხდა. **გაელ მონფისმა** იანკოს პირველი სეტი ტაიბრეიკზე მოუგო, მეორე ასეთივე სიტუაციაში დათმო, ოღონდ ტიპსარევიჩმა თითქოსდა საკუთარ თამაშს მიაგნო და ლამაზადაც ათამაშდა. მაგრამ, მისდა სამწუხაროდ, როცა მეორე ტაიბრეიკზე 5:4-ს იგებდა, რაღაც იტკინა, ექიმს უხმო, შემდეგ კი უდიდესი გაჭირვებით მიიყვანა სეტი მოგებამდე. მომდევნო სეტებში ტიპსარევიჩს მოძრაობა აშკარად უჭირდა და ეშმაკმა ფრანგმაც ტრავმირებული სერბი მოჭრილი დარტყმებით დატანჯა. შედეგი - 6:2, 6:4 მონფისის სასარგებლოდ.

გასკე მართლაც დაბრუნებულა

მეოთხე წრეში მონფისს ალბათ უფრო გაუჭირდება, რაკი მისი მეტოქე **რიშარ გასკე** იქნება. მეორე წრეში **ნიკოლაი დავიდენკოს** განადგურების შემდეგ, რიშარს ნიუ იორკში სულ სხვა თვალით უყურებენ. ეს ძველი გასკე არისო, ამბობენ საჩოგბურთო წრეებში. ფაქტია, რომ 24 წლის ფრანგმა დიდი სლემის ტურნირების მეოთხე წრეში შარშანწინდელის მერე პირველად ამოყო თავი და საერთოდ, „ფლაშინგ მიდოუსზე" ბრწყინვალედ იქნევს ჩოგანს. მისი მეტოქე **კევინ ანდერსონი** თავისი მძლავრი მოწოდების იმედად იყო, მაგრამ გასკე სწორედ მოწოდებების საუცხოო მიმღებადაა ცნობილი და სამხრეთაფრიკელს ალბათ ერთადერთი იარაღი გამოუყენებელი დარჩა. ეს კი არა, გასკემ კევინს ეისების მხრივაც აჯობა - ცხრა რვის წილ...

მასპინძელთა იმედი

ადგილობრივი პუბლიკის საბედნიეროდ, ამერიკელთა მთავარი იმედი **მარდი ფიში** ჯერჯერობით წინ მიიწევს. კიდევ ერთმა ფრანგმა **არნო კლემანმა** უდიდესი წინააღმდეგობა გაუწია ტურნირის მე-19 ჩოგანს, მაგრამ თანამემამულე გასკესგან განსხვავებით, მეტოქის მომაკვდინებელი მოწოდების გაუვნებელყოფა ვერ მოახერხა. ფიშმა ხუთსეტიან და სამსაათნახევრიან მატჩში 15 ეისი ჩაუწოდა 32 წლის ვეტერანს, ვისთვისაც მესამე წრეში გასვლაც კარგ შედეგად უნდა მივიჩნიოთ. შარშანწინდელი US Open-ის მეოთხედფინალისტი ფიში კი თავისი საუკეთესო ნიუიორკული შედეგის გამეორებას **ნოვაკ ჯოკოვიჩთან** ჯახში შეეცდება. წინა ოთხივე ორთაბრძოლა სერბის გამარჯვებით დასრულდა და ვნახოთ, რა მოხდება ამ ჯერზე.

ნოვაკმა გზიდან ერთი ამერიკელი უკვე ჩამოიცილა. ვეტერანი **ჯეიმს ბლეიკი** ალბათ უკანასკნელად შეეცადა საოდიდსლემო ტურნირზე მეოთხედფინალზე შორს წასვლას, რადგან კარიერის დასრულება გადაუწყვეტია, მაგრამ მეოთხე წრეშიც ვერ გააღწია. ჯოკოვიჩმა ძალზე რაციონალურად და თითქმის უშეცდომოდ ითამაშა და 30 წლის ამერიკელს იოტისოდენა შანსიც არ მისცა - სამი სეტი საათსა და 40 წუთში მოუთავა.

დამშვიდებული შვედი

ტურნირის მეხუთე ჩოგანმა **რობინ სიოდერლინგმა** კიდევ ერთ მეტოქეს მოუგო მშვიდად და დაძაბვის გარეშე. ბუნებრივია, **დე ბაკერი** შვედის მომგები ობიექტურად არც იყო, მაგრამ ყველას კარგად ახსოვდა, თუ რა დღეში ჩავარდა თითქოსდა რკინისნერვიანი სკანდინავიელი კვალიფიკანტ **ჰაიდერ-მაურერთან** სასტარტო მატჩში. მაშინ რობინმა მსოფლიოს 214-ე ჩოგანს 4-საათიანი მატჩი დიდი გაჭირვებით მოუგო. მაგრამ სიოდერლინგმა, პირველი მატჩისგან განსხვავებით, ახალგაზრდა ჰოლანდიელთან დამაჯერებლად ითამაშა და მეტოქეს მხოლოდ 8 გეიმი დაუთმო.

სიოდერლინგის მორიგი მეტოქე ალბერტ მონტანიესია, ვისაც მესამე წრეში კორტზე მხოლოდ 38 წუთის გატარება მოუხდა. 20 წლის ისპონელმა **კეი ნიშიკორიმ** წინა ეტაპზე **მარინ ჩილიჩთან** 5-საათიანი ომი მოიგო და იმ მატჩის მსვლელობისას ექიმს კორტზე ორჯერ უხმო. მაშინ აზიელმა საზარდულის ტრავმა მიიღო და მონტანიესთან შეხვედრაში ჩვეული რეაქტიულობით ვეღარ გადაადგილდებოდა. 29 წლის ესპანელმაც ეს ნიუანსი სათავისოდ გამოიყენა და კეი კუთხიდან კუთხეში არბენინა. შედეგად, მონტანიესმა პირველი სეტი 6:2 მოიგო, ხოლო როცა მეორეში 2:1 დაწინაურდა, ნიშიკორიმ თამაშის გაგრძელებაზე უარი თქვა. აღსანიშნავია, რომ ალბერტ მონტანიესისთვის წინა რვა ნიუიორკული მცდელობიდან შვიდი პირველივე წრეში სრულდებოდა, ხოლო 2005-ში ესპანელმა მეორეში გასვლა მოახერხა და აი, წლეულს უკვე მეოთხეშია. თქმაც არ უნდა, რომ მომავალ დაპირისპირებაში სიოდერლინგი ფავორიტად მიიჩნევა, თუმცა მონტანიესის გამოცდილება და შვედთან მატჩამდე თითქმის უბრძოლველად და დაუღლელად მისვლაც არაა დასავიწყებელი.

კანონზომიერება

ქალთა ნახევარში კი მეხუთე დღე აბსოლუტურად აკადემიურად წარიმართა. უფრო მაღალრეიტინგიანმა მეჩოგნეებმა მეტოქეებს იოლად აჯობეს. ძლიერების უპირატესობა იმდენად სოლიდური იყო, რომ რვავე მატჩი ორსეტიანი გამოდგა. ეს კი არა, ერთი ტაიბრეიკიც კი არ დანიშნულა...

მოსალოდნელი მოულოდნელობა

მეექვსე საშეჯიბრო დღეს სიტუაცია თითქმის გამეორდა. რვიდან შვიდ შემთხვევაში ნომინალურმა ფავორიტებმა თავისი სტატუსი დაადასტურეს. ხოლო დაფიქსირებული მოულოდნელობა კი, სწორედაც რომ მოსალოდნელი იყო. 2008 წლის US Open-ის ფინალისტმა და მიმდინარე ტურნირის მეოთხე ჩოგანმა **ელენა იანკოვიჩმა** პირველ-მეორე წრეში არცთუ დამაჯერებლად იასპარეზა და ჩვენც გამოვთქვით ეჭვი, რომ ესტონელ **კაია კანეპის** იოლად ვერ გაცდებოდა. ჰოდა, საერთოდ ვერ გაცდა. ბალტიისპირელმა პირველ სეტში სახელოვანი მეტოქე უშანსოდ დატოვა, ხოლო მეორეში ტაიბრეიკზე ისე დაამარცხა, რომ ერთადერთი გათამაშება მოაგებინა. კანეპი მეოთხე წრეშია, რაც მისი კარიერის უმაღლესი მიღწევაა.

ერთადერთი სამსეტიანი...

იქ კი ესტონელს ახალგაზრდა ბელგიელი **იანინა ვიკმაიერი** ელის, ვინც მომდევნო წრეში სხვებზე რთულად გავიდა. მესამე წრის ერთადერთი სამსეტიანი მატჩი სორედ მასსა და ვეტერან **პატი შნიდერს** შორის გაიმართა. მეტოქეებმა ვერც სანახაობრივად ითამაშეს და ვერც ხარისხიანად. საკვირველია, მაგრამ მატჩის შემდეგ ვიკმაიერს ყველა სტატისტიკური მონაცემი მეტოქეზე ცუდი აღმოაჩნდა, მაგრამ ჯიუტმა და დაუოკებელმა ბელგიელმა თავისი მაინც გაიტანა. კანეპისთან პირად შეხვედრებში იანინა 1:2-ს აგებს, თუმცა ის ესტონელზე ბევრად ახალგაზრდაა და შარშან ნიუ იორკში ნახევარფინალში იყო.

ოთხდღიანი დასვენება

ვერა ზვონარევა შარშანდელ US Open-ზე მეოთხე წრემდე მივიდა და წააგო, ახლა კი მრავალ რუსთა შორის ყველაზე მაღალრეიტინგიანი მეჩოგნე ქალი უფრო შორს წასასვლელად ემზადება. წესით, **ანდრეა პეტკოვიჩმა** ვერ უნდა გაუძლოს ზვონარევას, მთავარია თავად ვერამ არ აურიოს. დულგერუსთან რუსმა პირველი სეტი იოლად მოიგო, მეორეში კი ტაიბრეიკზე იწვალა და ივივე მას მეორე წრეში **საბინე ლისიცკისთანაც** მოუვიდა. რაც შეეხება პეტკოვიჩს, გაგერმანელებულ სერბს სხვებზე მეტად გაუმართლა - **შაი პენმა** ტრავმის გამო მასთან თამაში ვერ შეძლო და ანდრეას მატჩებს შორის 4-დღიანი დასვენებაც გამოუვიდა. ეს იქნება ზვონარევას და პეტკოვიჩის პირველი ურთიერთშეხვედრა.

რამდენიმე მატჩს ეყოფოდა

აშშ-ის ღია პირველობის 2004 წლის ტრიუმფატორი **სვეტლანა კუზნეცოვა** თანამემამულე **კირილენკოს** ძალზე აგრესიულად დაუხვდა და მხოლოდ ამ აქტიურობის გამო აჯობა, თორემ ორივე რუსის თამაშში იმდენი ხარვეზი და ტექნიკური წუნი იყო, რამდენიმე მატჩს ეყოფოდა. ასეა თუ ისე, კუზნეცოვამ ორ სეტში მოიგო და მომდევნო ეტაპზე 21 წლის **დომინიკა ციბულკოვას** დაუპირისპირდება, ვისთანაც წლეულს წაგება უკვე მოასწრო. სხვათა შორის, ციბულკოვამ პირველ და მეორე წრეებში დიდი ბრძოლები გადაიტანა და სამ-სამი სეტიც ითამაშა, ამჯერად კი ვეტერანი ესპანელი **ლოურდეს დომინგეს ლინოსგან** ქვა ქვაზე არ დატოვა - 6:0, 6:1. შარშანწინ დომინიკა ნიუ იორკში მესამე წრემდე მივიდა, ანუ პროგრესი სახეზეა...

სუპერმატჩის მოლოდინში

და მთავარი ბოლოსთვის მოვიტოვეთ. ტურნირის პირველი ჩოგანი **კაროლინე ვოზნიაცკი** „ფლაშინ მიდოუსის" კორტებზე ტრიუმფალურ სვლას აგრძელებს. 20 წლის დანიელმა გოგონამ სამ წრეში სამ მეტოქეს ჯამში სამად სამი გეიმი დაუთმო, თანაც ბოლო ორ მატჩში ორ ტაივანელ მეტოქესთან ერთადერთი ქულა წააგო. საუბარიც ზედმეტია, რომ კაროლინე ბრწყინვალე ფორმაშია, თანაც შარშან წაგებული ნიუიორკული ფინალი მას მოსვენებას არ აძლევს. მაგრამ საქმე ისაა, რომ მისი მომდევნო მეტოქე **მარია შარაპოვაა**, ვისაც 4 წლის წინ US Open-ზე ჩემპიონობაც მოუპოვებია და წლევანდელ ტურნირზეც საუცხოო ჩოგბურთს დემონსტრირებს.

პირველ წრეში **იარმილა გროტის** საშინელ მოწოდებებთან ძლივს გამკლავების შემდეგ, მაშა უპრობლემოდ იგებს. ამერიკელებს იმედი ჰქონდათ, რომ **ბეატრის კაპრა** მათ ახალ კერპად იქცეოდა, მაგრამ შარაპოვამ ეს გოგონა სასტიკად დაამცირა - 6:0, 6:0. მოკლედ ითქვას და, ვოზნიაცკი-შარაპოვა ტურნირის მშვენებად უნდა იქცეს. სხვათა შორის, რუს ლამაზმანს დანიელთან ორივე ურთიერთშეხვედრა მოგებული აქვს, მაგრამ ეს 2008-ში იყო, როცა ვოზნიაცკი მსოფლიო რეიტინგის მეორე კი არა, 30-ე და მე-40 ჩოგანი იყო. მას მერე ბევრ წყალს ჩაუვლია და დღეს კაროლინე ხსენებულ კლასიფიკაციაში მხოლოდ სერენა უილამსს ჩამორჩება, შარაპოვა კი ამ სიაში მეჩვიდმეტეა...

კაცები

II წრე

რაფაელ ნადალი (1, ესპანეთი)-დენის ისტომინი (უზბეკეთი) 6:2, 7(7):6(5), 7:5; **ენდი მიურეი (4, დიდი ბრიტანეთი)**-დასტინ ბრაუნი (იამაიკა) 7:5, 6:3, 6:0; **სემ ქუერი (20, აშშ)**-მარსელ გრანულიერსი (ესპანეთი) 6:2, 6:3, 6:4; **ჯონ იზნერი (18, აშშ)**-მარკო კიუდინელი (შვეიცარია) 6:3, 3:6, 7(9):6(7), 6:4; **სერჰი სტახოვსკი (უკრაინა)**-რიიან ჰარისონი (აშშ) 6:3, 5:7, 3:6, 6:3, 7(8):6(6); **დავიდ ნალბანდიანი (31, არგენტინა)**-ფლორან სერა (საფრანგეთი) 7:5, 6:4, 6:2; **მიხაილ იუჟნი (12, რუსეთი)**-დუდი სელა (ისრაელი) 6:1, 6:3, 4:6, 6:3; **სტანისლას ვავრინკა (25, შვეიცარია)**-ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) 7:5, 6:3, 6:4; **დანიელ ხიმენო-ტრავერი (ესპანეთი)**-ჟერემი შარდი (საფრანგეთი) 4:6, 6:2, 6:0, 7(7):6(2); **ნიკოლას ალმაგრო (14, ესპანეთი)**-გილიერმო გარსიალოპესი (ესპანეთი) 6:3, 7(7):6(5), 4:6, 7(7):6(4); **ფელისიანო ლოპესი (23, ესპანეთი)**-ბენუა პერი (საფრანგეთი) 6:4, 6(4):7(7), 5:7, 7(7):6(3), 6:2; **ფერნანდო ვერდასკო (8, ესპანეთი)**-ადრიან მანარინო (საფრანგეთი) 6:1, 6:2, 6:2; **ტომი რობრედო (ესპანეთი)**-ჟულიენ ბენეტო (საფრანგეთი) 6:4,. 6(2):6(1), ბენეტომ თამაში შეწყვიტა; **ჟილ სიმონი (საფრანგეთი)**-ფილიპ კოლშრაიბერი (29, გერმანია) 4:6, 6:3, 1:6, 6:1, 6:3; **დავიდ ფერერი (10, ესპანეთი)**-ბენიამინ ბეკერი (გერმანია) 6:3, 6:4, 6:4; **მიკელ ლიოდრა (საფრანგეთი)**-ვიქტორ ჰანესკუ (რუმინეთი) 7(7):6(2), 6:4, 6:2.

III წრე

ნოვაკ ჯოკოვიჩი (3, სერბეთი)-ჯეიმს ბლეიკი (აშშ) 6:1, 7(7):6(4), 6:3; **როჯერ ფედერერი (2, შვეიცარია)**-პოლ-ანრი მატიე (საფრანგეთი) 6:4, 6:3, 6:3; **მარდი ფიში (19, აშშ)**-არნო კლემანი (საფრანგეთი) 4:6, 6:3, 6:4, 1:6, 6:3; **რობინ სიოდერლინგი (5, შვედეთი)**-ტიმო დე ბაკერი (ჰოლანდია) 6:2, 6:3, 6:3; **გაელ მონფისი (17, საფრანგეთი)**-იანკო ტიპსარევიჩი (სერბეთი) 7(7):6(4), 6(4):7(7), 6:2, 6:4; **იურგენ მელცერი (13, ავსტრია)**-ხუან კარლოს ფერერო (22, ესპანეთი) 7:5, 6:3, 6:1; **რიშარ გასკე (საფრანგეთი)**-კევინ ანდერსონი (სამხრეთ აფრიკა) 6:4, 7(7):6(3), 7:5; **ალბერტ მონტანიესი (21, ესპანეთი)**-კეი ნიშიკორი (იაპონია) 6:2, 2:1, ნიშიკორიმ თამაში შეწყვიტა.

ქალები

III წრე

ვინუს უილიამსი (3, აშშ)-მანდი მინელა (ლუქსემბურგი) 6:2, 6:1; **ელენა დემენტიევა (12, რუსეთი)**-დანიელა ჰანტუხოვა (24, სლოვაკეთი) 7:5, 6:2; **კიმ კლეისტერსი (2, ბელგია)**-პეტრა კვიტოვა (27, ჩეხეთი) 6:3, 6:0; **სამანტა სტოსური (5, ავსტრალია)**-სარა ერანი (იტალია) 6:2, 6:3; **ანა ივანოვიჩი (სერბეთი)**-ვირჟინი რაზანო (საფრანგეთი) 7:5, 6:0; **ფრანჩესკა სკიავონე (6, იტალია)**-ალიონა ბონდარენკო (29, უკრაინა) 6:1, 7:5; **ანასტასია პავლიუჩენკოვა (20, რუსეთი)**-ხისელა დულკო (არგენტინა) 6:1, 6:2; **შაჰარ პეერი (16, ისრაელი)**-ფლავია პენეტა (19, იტალია) 6:4, 6:4; **მარია შარაპოვა (14, რუსეთი)**-ბეატრის კაპრა (აშშ) 6:0, 6:0; **სვეტლანა კუზნეცოვა (11, რუსეთი)**-მარია კირილენკო (23, რუსეთი) 6:3, 6:4; **კაია კანეპი (31, ესტონეთი)**-ელენა იანკოვიჩი (4, სერბეთი) 6:2, 7(7):6(1); **კაროლინე ვოზნიაცკი (1, დანია)**-იუნ-ძიან ჩანი (ტაივანი) 6:1, 6:0; **ვერა ზვონარიოვა (7, რუსეთი)**-ალექსანდრა დულგერუ (25, რუმინეთი) 6:2, 7(7):6(2); **იანინა ვიკმაიერი (15, ბელგია)**-პატი შნიდერი (შვეიცარია) 7(7):6(5), 3:6, 7(8):6(6); **დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი)**-ლოურდეს დომინგეს ლინო (ესპანეთი) 6:0, 6:1; **ანდრეა პეტკოვიჩი (გერმანია)**-შაი პენი (ჩინეთი) - შაი პენმა თამაშზე უარი თქვა.

გუშინ

კაცები

ფერერი-ხიმენო ტრავერი	7:6, 6:2, 6:2
ნალბანდიანი-**ვერდასკო**	2:6, 6:3, 3:6, 2:6
კიურეი-ალმაგრო	6:3, 6:4, 6:4
ლოპესი-სტახოვსკი	6:3, 6:0, 6:0
ნადალი-სიმონი	6:4, 6:4, 6:2
მიურეი-**ვავრინკა**	7:6, 6:7, 3:6, 3:6
რობრედო-ლოდრა	გვ. დასრულდა
იუჟნი-ისნერი	გვ. დასრულდა

ქალები

კუზნეცოვა-კირილენკო	6:3, 6:4
სკიავონე-პავლიუჩენკოვა	6:3, 6:0
ივანოვიჩი-**კლაისტერსი**	2:6, 1:6
პეერი-**ვ. უილიამსი**	6:7, 3:6

სლავა გასპაროვი

● კალათბურთი

ვინ გაანგრევს თურქულ კედელს?

საკალათბურთო მუნდიალზე ოთხი მეოთხედფინალისტის ვინაობა გაირკვა. თუკი შაბათის მატჩები სუპერდაძაბული გამოდგა, სერბეთმა და ესპანეთმა ნამდვილ ომში მოიპოვეს საგზური. გუშინ სლოვენიელებს და თურქებს სულაც არ გასჭირვებიათ. წინ კიდევ ოთხი წყვილია, ყველაზე მეტად კი არგენტინისა და ბრაზილიის დაპირისპირებას გამოვყოფთ.

სერბეთი-ხორვატია 73:72

19:27, 15:9, 20:14, 19:22

სერბეთი: კრსტიჩი (16 ქულა), რაშიჩი (15), პეროვიჩი (10), მაჩვანი (8), ველიჩკოვიჩი (7), კეშელი (5), ტეოდოშიჩი (3), ბიელიცა (3), ტეპიჩი (2 ქ, 7 მ, 4 გ), პაუნიჩი (2), მარკოვიჩი (2), სავანოვიჩი.

ხორვატია: პოპოვიჩი (21 ქ, 5 მ, 5 გ), უკიჩი (11 ქ, 4 გ), ბანიჩი (10 ქ, 7 მ), ბოგდანოვიჩი (9), ლონკარი (9), ტომიჩი (6 ქ, 8 მ), ტომაში (6 ქ, 6 მ), კუში.

სერბეთისა და ხორვატიის დაპირისპირება სპორტის ნებისმიერ სახეობაში უკვე მოვლენაა და მით უფრო კალათბურთში, სადაც ორივე ქვეყანა, რომელიც იუგოსლავიის დაშლის შემდეგ ჩამოყალიბდა, ევროპული ფორუმის მოწინავე ძალაა. თამაშიც სწორედ შესაბამისი გამოდგა - დაძაბული. სერბთა საყარგებლოდ მატჩის ბედი უკანასკნელ წამზე **ალექსანდარ რაშიჩის** მიერ ნასროლმა საჯარიმომ გადაწყვიტა, თორემ მატჩი ოვერტაიმში გადადიოდა - 73:72.

მას შემდეგ, რაც ბოლო მეოთხედში სერბები 7 ქულით დაწინაურდნენ, ხორვატთა ორმა კალათბურთელმა, **მარკო ბანიჩმა** და **მარკო პოპოვიჩმა**, შეძლო დეფიციტის აღმოფხვრა. პოპოვიჩმა უკანასკნელ მეოთხედში 10-დან 8 საჯარიმო ჩააგდო. სწორედ მისმა საჯარიმოებმა გაათანაბრა ანგარიში მატჩის დასრულებამდე 5,9 წამით ადრე. სერბებმა ბოლო შეტევა მოასწრეს, რაშიჩი შეიჭრა მეტოქის ფარქვეშ, მაგრამ მის წინააღმდეგ წესები **დავორ კუშმა** დაარღვია. თამაშის დასრულებამდე წამით ადრე სერბთა 26 წლის მსროლელი საჯარიმოს ხაზზე დადგა, პირველი ჩააგდო (ისევე როგორც წინა ყველა საჯარიმო ამ ჩემპიონატზე), მეორე კი სპეციალურად ააცილა, რომ ხორვატებს შეტევის დაწყების შანსიც არ ჰქონოდათ და სერბეთის ნაკრები პირველი გუნდი გახდა, რომელმაც საკალათბურთო მუნდიალის მეოთხედფინალის საგზური გაინაღდა.

სერბთაგან „მაღლები" გამოირჩეოდნენ, **ნენად კრსტიჩმა** და **კოსტა პეროვიჩმა** ჯამში ნაკრებს 26 ქულა მოუტანეს. მატჩის გმირმა რაშიჩმა 15 ქულა დააგროვა. წაგებულთაგან თავი დაუღალავმა პოპოვიჩმა გამოიჩინა 21 ქულით და 5-5 მოხსნა-გადაცემით.

» მე-18 გვერდზე

● TV პროგრამა

6 სექტემბერი. ორშაბათი

HTB+უეხბურთი

06:30. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. ინგლისი-ბულგარეთი.
08:15. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. სლოვაკეთი-მაკედონია.
10:00. ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. დინამო (უკრაინა)-აიაქსი (ჰოლანდია). პირველი მატჩი.
12:00. ახალი ამბები.
12:20. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. შვედეთი-უნგრეთი.
14:10. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. ლიხტენშტაინი-ესპანეთი.
16:00. ახალი ამბები.
16:20. ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. დინამო (უკრაინა)-აიაქსი (ჰოლანდია). საპასუხო მატჩი.
18:15. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. ინგლისი-ბულგარეთი.
20:00. თავისუფალი დარტყმა
20:30. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. სლოვაკეთი-მაკედონია.
22:15. ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. ოსერი (საფრანგეთი)-ზენიტი (რუსეთი). საპასუხო მატჩი.
00:10. თავისუფალი დარტყმა.
00:30. 90 წუთი.
02:15. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. შვედეთი-უნგრეთი.
04:05. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. ლიხტენშტაინი-ესპანეთი.
05:55. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. სლოვაკეთი-მაკედონია.

HTB+სპორტი

06:10. ახალი ამბები
06:30. კალათბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. სლოვენია-ავსტრალია, თურქეთი-საფრანგეთი.
10:45. საჭადრაკო მიმოხილვა.
11:15. ჰოკეი. მოსკოვის მერის თასი. დინამო-სპარტაკი.
14:15. პლაჟის ფრენბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ქალთა და კაცთა ფინალები.
16:50, 18:55. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (55, 66, 96 კგ). მსოფლიოს ჩემპიონატი, მოსკოვი (LIVE)
00:10. ახალი ამბები

EUROSPORT

07:00. ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. დღე VII (LIVE)
09:00. ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. დღე VII.
11:00. ჩოგბურთი. ტურინგი. მსოფლიოს ჩემპიონატი. VII დღე.
13:45. ჩოგბურთი. ჟურნალი.
14:15. ავტოსპორტი. რენოს მსოფლიო სერია. II რბოლა.
14:45. ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურინგის კლასში (გერმანია).
15:45. სნუკერი. შანხაის მასტერსი. I დღე (LIVE).
21:00. ფეხბურთი. ევროგოლები.
21:10. ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. დღე VIII (LIVE)
03:00. ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. დღე VIII (LIVE)
05:00. ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. დღე VIII (LIVE)

EUROSPORT 2

6 სექტემბერი
09:30. ახალი ამბები.
10:30. სნუკერი. შანხაის მასტერსი. დღე I (LIVE).
13:30. რაგბი. მსოფლიოს თასი (დიდი ბრიტანეთი). ქალები. მატჩი III ადგილისთვის.
14:45. რაგბი. მსოფლიოს თასი (დიდი ბრიტანეთი). ქალები. ფინალი.
15:30. ახალი ამბები.
16:00. ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. დღე VII.
18:45. ახალი ამბები.
19:00. ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. დღე VIII (LIVE)
21:30. ახალი ამბები.
21:45. ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. დღე VIII (LIVE)
02:00. ახალი ამბები.
02:15. ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. დღე VIII (LIVE)
04:00. ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. დღე VIII
05:00. ახალი ამბები.

● ცხელი ხაზი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი

ამხანაგური მატჩები

გვატემალა-ნიკარაგუა	5:0
მექსიკა-ეკვადორი	1:2
სალვადორი-ჰონდურასი	2:2

ინგლისი

პირველი ლიგა

მილტონი-ჰარტლპული	1:0
კერლისლი-სუინდონი	0:0
დაგენჰემი-ლეიტონი	2:0
ექსეტერი-ჩარლტონი	1:0
ჰადერსფილდი-ბურნმუთი	2:2
ნოთს ძაუნთი-იეოვილი	4:0
ოლდჰემი-ბრისტოლი	1:1
საუთჰემპტონი-როჩდეილი	0:2
ტრანმერი-პიტერბორო	1:0
უოლსოლი-კოლჩესტერი	0:1
ბრენტფორდი-შეფილდ უენ	1:0

მეორე ლიგა

ეკრინგტონი-უაიკომბი	1:1
ოლდერშოტი-ნორთემპტონი	1:1
ბერნეტი-ჩელტენჰემი	3:1
ბრედფორდი-პორტ ვეილი	0:2
ბარტონი-ჰერეფორდი	3:0
ბერი-ჯილინგემი	5:4
ჩესტერფილდი-ლინკოლნი	2:1
მაკლსფილდი-სტოკპორტი	0:2
ოქსფორდი-მორკეიმბი	4:0
შრუსბერი-როტერჰემი	1:0
საუთენდი-თორკი	2:1
სტივენიჯი-ქრუ	1:1

კონფერენსი

ელტრინჩემი-კიდერმინსტერი	1:2
ბათი-ბეროუ	1:1
კემბრიჯი-გეინსჰედი	5:0
ძროული-ფლიტვუდი	1:1
ისტბერნი-დარლინგტონი	1:1
ფორესტ გრინი-საუთპორტი	0:0
ჰეიესი-ჰისტონი	1:2
კეტერინგი-უიმბლდონი	1:2
მენსფილდი-ტემუორთი	0:1
იორკი-რაშდენი	2:0
გრიმსბი-ლუტონი	2:0
ნიუპორტი-რექსჰემი	1:1

ესპანეთი

სეგუნდა დივიზიონი

კარტახენა-ელჩე	0:1
ხიმნასტიკი-ხირონა	2:0
უესკა-ლას პალმასი	0:0
უელვა-ბეტისი	1:3
ვილიარეალი B-ალბასეტე	1:0
კორდობა-რაიო ვალეკანო	2:3
ალკორკონი-პონტეფერადინა	2:0
ნუმანსია-სელტა	1:3
გრანადა-ვალიადოლიდი	0:1
ტენერიფე-სალამანკა	1:2
ბარსელონა B-ხერესი	2:1

იტალია

სერია B

ტორინო-კროტონე	1:1
მოდენა-პადოვა	1:0
ასკოლი-ალბინოლეფე	2:0
ატალანტა-ფროზინონე	0:0
ჩიტადელა-ნოვარა	0:2
გროსეტო-ვიჩენცა	1:2
პორტოგრუარო-სასუოლო	1:0
რეჯინა-პიაჩენცა	2:0
ტრიესტინა-პესკარა	1:0
ვარეზე-ემპოლი	0:0
ლივორნო-სიენა	1:1

ლეგა პრო 1/A

კომო-პერგოკრემა	1:1
გუბიო-რავენა	0:0
ლუმეცანე-ალესანდრია	1:0
მონცა-ვერონა	1:5
პადანეზე-ბასანო	2:1
პავია-სპეცია	2:1
სორენტო-რეჯანა	4:3
სუდტიროლი-სალერნიტანა	0:1

ლეგა პრო 1/B

ბარლეტა-იუვე სტაბია	0:2
ბენევენტო-ნოჩერინა	1:1
კავეზე-კოზენცა	2:2
ფოლინიო-ვიარეჯო	2:0
ლუკეზე-ტერნანა	4:0
პიზა-ჩისკო რომა	0:2
სირაკუზა-ანდრია	0:1
ტარანტო-ჯელა	2:1
ვირტუსი-ფოგჯა	5:3

საფრანგეთი

ნასიონალი

გაპი-როდეზი	4:0
ნიორი-კანი	0:2
კოლმარი-ბაიონი	0:1
პასი-ალფორტვილი	1:0
პლაგენეკი-ორლეანი	1:1
ფრეჟუ-კრეტეი	3:0
პარიზი-რუენი	2:0
ბასტია-სტრასბური	1:0
გოვო-ლუზენაკი	0:0
გენიონი-ამიენი	1:2

ბელგია

II დივიზიონი

ანტვერპენი-რუზელარე	2:2
ბრიუსელი-უდ ევერლი	1:2
ლომელი-ტურნჰუტი	2:0
ვეტერენი-ოსტენდე	1:2
ვაასლანდი-ბონს ბერგენი	1:0
დენდერი-რუპელ ბოომი	4:0
ჰეისტი-ტუბიცე	3:2
ბორინაჟი-ვიზე	2:4
ტინენი-ტურნაი	2:2

შოტლანდია

Challenge Cup

ფორფარი-როს ძაუნთი	0:2
პარტიკ თისლი-ეირი	2:1
ქუინი-ისტ ფაიფი	5:0
პიტერჰედი-სტენჰაუზმური	3:1

ნორვეგია

I დივიზიონი

მოსი-ლოვ ჰამი	1:3
ნილ ტრისილი-ალტა	0:1
სარპსბორგი-ბრინი	0:0
სტრიომენი-რანჰეიმი	1:0
ტრომსდალენი-სანდნესი	0:1

შვედეთი

სუპერეტანი

სირიანსკა-ოსტერი	3:0

უელსი

ბალა თუანი-ჰევერფორდვესტი	0:1
ნით ატლეტიკი-ნიუთაუნი	5:0

ჩეხეთი

II ლიგა

კლადნო-ტრინეცი	0:0
ზნოიმო-ჰლუჩინი	1:0

პოლონეთი

I ლიგა

კოლეჟარეი-ჰოლკოვიცე	0:0

არგენტინა

კილმესი-ურაკანი	1:2
ხიმნასია ლ.პ-ლანუსი	0:2

ბრაზილია

სერია A

ბოტაფოგო-გრემიო	2:2
სპარა-ვასკო	0:2
კორინთიანსი-გოიაში	5:1
ავაი-ატლ. პარანენსე	0:1
ფლამენგო-სანტოსი	0:0
გუარანი-ფლუმინენსე	2:1
პალმეირასი-კრუზეირო	2:3

ჩილე

აპერტურა

კობრესალი-უნივ. დე ჩილე	1:2
უნიონ ესპან.-ევეტონი	გვიან დასრულ.

ურუგვაი

აპერტურა

ბელა ვისტა-რამპლა	3:2
მირამარი-დანუბიო	1:2
ელ ტანკე-ნასიონალი	1:1
მონტევიდეო-ტაკუარემბო	2:0
ლივერპული-რასინგი	1:0
რივერ პლეიტი-სენტრალ ესპ.	1:3
ფენიქსი-პენიაროლი	2:2

კალათბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი

« მე-15 გვერდიდან

პრიმოშ ბრეკალი

მას შესაფერისად მხოლოდ ორი გუნდელი დაეხმარა, **როკო უკიჩი** (11 ქულა) და ბანიჩი (10 ქულა, 7 მოხსნა).

თამაშში სერბები კი 5:0 დაწინაურდნენ, მაგრამ ხორვატთა შეტევები უფრო სწრაფი იყო. მთავარი მაინც მატჩის ბოლო ხუთი წუთი აღმოჩნდა...

იოზიპ ვრანკოვიჩი (ხორვატია): *„ხანდახან ძალიან საჭიროა იღბალი და გამოცდილება - როკო ძალიან დაღლილი იყო, ფეხზე ძლივს იდგა, ამიტომ გადავწყვიტეთ ამ პოზიციის სპეციალისტის კუშის დაყენება. არ ვიცი, იყო კი საერთოდ ის ფოლი. საწყენია, რომ მსოფლიოს ჩემპიონატს ისე ვტოვებთ, რომ ჩვენი ნამდვილი ძალა ვერ ვაჩვენეთ. მაინც ამაყი ვარ ჩემი კალათბურთელებით, ურიგო კალათბურთი არ გვიჩვენებია. დასანანი მარცხი იყო, რომელიც დიდხანს გვემახსოვრება“.*

დუშან ივკოვიჩი (სერბეთი): *„ძალიან დაძაბული თამაში იყო, ორივე გუნდმა 40 წუთში გული და სული ჩადო. ვულოცავ ჩემს კალათბურთელებს - დაგეგმილი მეოთხედფინალი მიღწეულია. ახლა მეტზე უნდა ვიზრუნოთ. ახალგაზრდული გუნდი გვყავს და დიდებული იქნება, თუ კიდევ სამ თამაშს ვითამაშებთ. ვფიქრობ, ხანდახან კონცენტრაციას ვკარგავდით, განსაკუთრებით პირველ მეოთხედში, მაგრამ ჩვენ მოგება ძალიან გვინდოდა. მადლობა მეტოქეს დიდებული თამაშისათვის“.*

ნენად კრსტიჩი (სერბეთი): *„დიდებული, დაძაბული მატჩი იყო, ხორვატია ბოლომდე გვებრძოლა, მაგრამ მოვიგეთ. სერბეთის უპირატესობა ისაა, რომ არასოდეს ნებდება, რაც უნდა გამოუვალი მდგომარეობა გვქონდეს. კარგია, ახლა მეტი დასვენების დღე გვექება მეოთხედფინალის წინ, თორემ დავიქანცეთ“.*

ესპანეთი–საბერძნეთი 80:72

22:19, 15:12, 15:20, 28:21

ესპანეთი: ნავარო (22), ფერნანდესი (14), ლული (9), რეიესი (6 ქ, 10 მ), ვასკესი (6 ქ, 7 მ), რუბიო (6 ქ, 6 გ), გარბახოსა (5), ლოპესი (5), მ. გასოლი (4), მუმბრუ (3).

საბერძნეთი: დიამანტიდისი (16), ზისისი (16), შორცანიდისი (13), სპანულისი (12), ფოცისი (12 ქ, 7 მ), ბურუსისი (2), კალატესი (1), პერპეროგლუ, ცარცარისი.

დასანანია, რომ ისეთი კარგი კალათბურთელები, როგორიც ბერძენთა მცველი **დიმიტრის დიამანტიდისია**, ასე ნაადრევად ტოვებენ საკალათბურთო მუნდიალს. „პანათინაიკოსის“ 30 წლის მსროლელმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ელადა მეოთხედფინალში გასულიყო, მაგრამ მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ ესპანეთთან მარტოკაცი ვერას გახდა - 72:80. ესპანელებმა კი სერბებთან მეოთხედფინალური რანდევუ დაიბევეს. აქედანვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მაგარი მატჩი გველის.

დაძაბული თამაშის ბედი, როგორც პირველ მერვედფინალში, აქაც ბოლო მეოთხედში გადაწყდა, რომელიც იბერიელებმა აღმაფრენით ჩაატარეს. **სერხიო სკარიოლოს** გუნდი რომ არაა დაუმარცხებელი, ჯგუფურ ეტაპზევე დამტკიცდა, როცა ესპანელებს ფრანგებმა და ლიტველებმა აჯობეს, მაგრამ „სინან ერდენ დომზე“ **ხუან კარლოს ნავარო** (22 ქულა) შეუჩერებელი იყო, ხელი გამოიღეს ესპანელთა რეზერვისტებმაც და საბერძნეთის ყოჩაღი ნაკრები სახლში გაისტუმრეს.

სათადარიგოებიდან **ფრან ვასკესსა** და **ფელიპე რეიესს** აღვნიშნავთ, მათ ერთად 12 ქულასა და 17 მოხსნას მოუყარეს თავი. **სერხიო ლულიც** კარგი იყო, ამ სათადარიგომ 15 წუთში 9 ქულა ჩააგდო.

მატჩის დასრულებამდე 5:49 წუთით ადრე ბერძნები 58:57-ს იგებდნენ. სწორედ ამ მონაკვეთში მოაწყო სკარიოლოს გუნდმა გადამწყვეტი „გაქცევა“ (9-0). 9-დან 5 ქულა **რუდი ფერნანდესმა** მოუტანა მაშინ მსოფლიოს ჩემპიონ გუნდს. ვასილიოს სპანულისმა თითქოს ელინებს შანსი დაუტოვა, როცა სამქულიანი ჩააგდო მატჩის დასრულებამდე 2 წუთით ადრე, მაგრამ მას სამქულიანითვე უმალ უპასუხა ნავარომ. ბერძნებმა ზედიზედ მეოთხედ წააგეს ესპანელებთან ოფიციალურ მატჩში.

დიმიტრის დიამანტიდისზეც ვთქვათ, კალათბურთელმა ყველაფერი გააკეთა გამარჯვებისთვის - ზუსტად ისროლა, მეტოქის სროლებს ერთი-ორჯერ ეფექტურად დაუფარა, ჩაჭრა მათი პასები, თავად კი რამდენიმე მახვილგონივრული პასი გააკეთა. მოკლედ, დიამანტიდისი ნამდვილი ლიდერი იყო.

რუდი ფერნანდესი (ესპანეთი): *„არასოდესაა იოლი ბერძნების წინააღმდეგ თამაში. მათთან მოსაგებად მხოლოდ კარგი თამაში არ კმარა, ბოლომდე უნდა იბრძოლო. ვიცოდით, რომ უკეთ უნდა გვეთამაშა, ვიდრე ჯგუფურ ეტაპზე, თუკი ტიტულის დასაცავად ბრძოლა გვსურდა. მოხარული ვარ, რომ ჩვენ ეს შევძელით. ვფიქრობ, მოვუმატეთ და ახლა მხოლოდ სერბეთთან მატჩზე ვფიქრობთ. წინ კიდევ უფრო დაძაბული მატჩი გველის, რადგან მეტოქე ძალიან ძლიერია“.*

დიმიტრის დიამანტიდისი (საბერძნეთი): *„გულნატკენები ვართ. რაც შეგვეძლო ყველაფერი გავიღეთ საბოლოო წარმატებისთვის. ბოლო წუთამდე ვიბრძოლეთ, თამაშის შემდეგ სიარულის თავიც კი არ გვქონდა, მაგრამ მაინც წავაგეთ. მესამე მეოთხედში 6 ქულით ვიგებდით და როგორ დავკარგეთ ეს უპირატესობა, არ მესმის. ესპანელებს მომავალ მატჩში წარმატებას ვუსურვებთ, ჩვენთვის კი ყველაფერი დასრულებულია, სამწუხაროდ“.*

სლოვენია–ავსტრალია 87:58

16:8, 26:13, 29:24, 16:13

სლოვენია: ლაკოვიჩი (19), ბრეეჯი (12), დრაგიჩი (10 ქ, 8 გ), სლოკარი (8), ბეჩიროვიჩი (8), ზუპანი (8), ნახბარი (7), რიზვიჩი (4 ქ, 5 მ), უდრიჰი (3), ვიდმარი (2), კლობუჩარი (1).

ავსტრალია: ინგლესი (13), მილსი (13), ნილსენი (12 ქ, 8 მ), ანდერსენი (8), მარტინი (2), ნიული (3), ბარლოუ (2), უორტინგტონი (2), ბეინესი (2), მარიჩი (1), ჯიბსონი.

კენგურუები შეეცადნენ, მაგრამ საკუთარ თავს ვერ გადაახტნენ - ძლიერ სლოვენიასთან ვერას გახდნენ და 29 ქულის სხვაობით წააგეს. ბოლო ევრობასკეტზე სლოვენიელებმა მეოთხე ადგილი დაიკავეს, მათ სრულად გააამართლეს ფავორიტის სტატუსი. **იაკა ლაკოვიჩმა** თავისი 19 ქულიდან 11 პირველ ნახევარში ჩააგდო, კარგად ითამაშეს **პრიმოშ ბრეეჯმა** (12) და **გორან დრაგიჩმაც** (10).

გორან დრაგიჩი (სლოვენია): *„ფანტასტიკურია - მეოთხედფინალში გავედით. ჩვენ ძალიან ბევრი ვიშრომეთ, რომ აქამდე მოვსულიყავით. დღევანდელი თამაშით უზომოდ კმაყოფილი ვარ, კარგად ვისროლეთ, კარგად დავიცავით თავი და მეტოქეც დავსაჯეთ, როცა საჭირო იყო“.*

მეტიუ ნილსენი (ავსტრალია): *„სლოვენია ძალიან ძლიერი გუნდია, მეტისმეტად ძლიერი ჩვენი ნაკრებისათვის. მაგრამ არა მგონია, ასე ჩამოვრჩებოდეთ ძალით სლოვენიას, როგორც ეს დღევანდელ ანგარიშში აისახა, უბრალოდ, დღეს მეტოქეს ყველაფერი გამოსდიოდა, ჩვენ - თითქმის არაფერი“.*

თურქეთი–საფრანგეთი 95:77

19:14, 24:14, 28:17, 24:32

თურქეთი: თურქოგლუ (20), გიულე[illegible] (17), აშიკი (10 ქ, 5 მ), სავაში (9), არსლანი (9), ილიასოვა (9 ქ, 5 მ), ონანი (7), აკიოლი (5), ერდენი (5), ერმიში (2), გიონლუმი (2), ტუნჯერი.

საფრანგეთი: დიაუ (21 ქ, 5 მ, 4 გ), დე კოლო (15), ბატუმი (11), პიეტრუსი (6 ქ, 4 გ), ჯოფი (5), ბოკოლო (4), ტრაორე (4), ალბისი (3), კოზეუ (3), ჟულაბალი (3), მაინმი (2), ჯექსონი[illegible]

მასპინძელთა ნაკრებმა ზონური დაცვის წყალობით იოლად დაამარცხა საფრანგეთის ნაკრები და სლოვენიასთან მატჩი დაიბევა. როცა საფრანგეთი შეტევას ცდილობდა, თურქთა გუნდი გაუვალი კედელივით იდგა დაცვაში, ეს კედელი მხოლოდ ბოლო მეოთხედში გაირღვა, თუმცა უკვე ძალიან გვიანი იყო - ფრანგებით 18 ქულის სხვაობით წააგეს.

ბოგდან ტანიევიჩი (თურქეთი): *„ძალიან ბედნიერი ვარ. საფრანგეთი ძლიერი მეტოქე იყო და მათ წინააღმდეგი დაცვაში ასეთი კარგი თამაში საამაყოა. სლოვენია ბრწყინვაველად თამაშობს და მათთან ძალიან გაგვიჭირდება“.*

დღეს

აშშ-ანგოლა
რუსეთი-ახ. ზელანდია

ხვალ

ლიტვა-ჩინეთი
არგენტინა-ბრაზილია

ნიკოლოზ ნეფარიძე

3 სექტემბრიდან

- ბასქეთი, თავისუფლება და... ბერლინიზი - ETA
- რისთვის სჭირდება „ვისტრალი“ რუსეთს?...
- ბრაზილიური ბანკები ვეძებენ ზლიფლი ოვის საუკეთესო ბუღალტერებს

...სრულად იხილეთ ჟურნალში

- „მეგობრული ცეცხლი“ - პრობლემა და გამოსავალი...
- ზოგიერთი რამ ინდივიდუალურ დაჯავშნაზე
- „პაერსაწინააღმდეგო ქოლგები“ ოკუპირებულ ტერიტორიებზე

ყველაზე კაცური ჟურნალი
არა მარტო მამაკაცებისთვის

უტევს ნენად კრსტიჩი (სერბეთი)